ლელო 80 წლისაა

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
1 მაისი ხუთშაბათი 2014
№082 (14 303) ფასი 80 თეთრი

# დიეGO!






↳8

## წლეულს ლიგა და მადრიდი ერთია

24 მაისს, ლისაბონში. ჩემპიონთა ლიგის ფინალი

## რეალი–ატლეტიკო

## ქეცბაია აეკ-ში?



↳2

თემურ ქეცბაია (მარცხნივ) აეკ-ის თავკაც ტრაიანოს დელასთან (შუაში) და აეკ-ის მფლობელ დიმიტრის მელისანიდისთან ერთად




↳4

UEFA EUROPA LEAGUE

## დღეს კიდევ ერთი ფინალი გაირკვევა

მოიგე და დარჩი ტურინში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვრთნელი


თემურ ქეცბაია (მარცხნივ) აეკ-ის თავკაც ტრაიანოს დელასთან (შუაში) და აეკ-ის მფლობელ დიმიტრის მელისანიდისთან ერთად

# ქეცბაია ათენის აეკ-ს ჩაიბარებს?

ბერძნული „ონსპორტსის" ინფორმაციით, მომავალი სეზონიდან ათენის აეკ-ს შესაძლოა, მისმა ყოფილმა ფეხბურთელმა **თემურ ქეცბაიამ** უთავკაცოს.

აეკ-ი ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი გუნდია საბერძნეთში (11-გზის ჩემპიონია), მაგრამ ახლა დაქვეითებულია - აეკ-ი ბეტა ეთნიკის ლიგას იგებს და რანგით მეორე დივიზიონში გადადის. მას **ტრაიანოს დელასი** წვრთნის.

თუმცა „ონსპორტსი" იუწყება, რომ დელასს არ აქვს გარანტირებული სამსახური მომდევნო სეზონში, მეტიც, მის შემცვლელად საქართველოს ნაკრების თავკაცი თემურ ქეცბაია სახელდება.

*„ყველაფერი 21 მაისის მერე გაირკვევა, როცა ბეტა ეთნიკი სრულდება. ამბობენ, რომ დიმიტრის მელისანიდისს აინტერესებს ქართველის დამტება, მაგრამ გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის"*, - წერს ვებსაიტი. ჩვენი მხრიდან ვიტყვით, რომ **მელისანიდისი** აეკ-ის მფლობელი გახლავთ.

ორშაბათს ქეცბაია ათენში იყო, სადაც აეკ-ის 90 წლისთავთან დაკავშირებულ წიგნის პრეზენტაციას დაესწრო და ბერძენ ჟურნალისტებსაც გაესაუბრა.

*„ბედნიერი ვარ, რომ ამ საღამოს ვესწრები. აეკ-თან ძალიან კარგი მოგონებები მაკავშირებს. ახლა აეკ-ს გარკვეული პრობლემები აქვს, თუმცა მსურს, ის მალე ისევ ელიტაში ვიხილო. ვიცი, რომ კლუბის ხელმძღვანელობა ბევრს აკეთებს იმისთვის, რათა გუნდი მალე დაბრუნდეს სუპერლიგაში. იმედი მაქვს, ყველაფერი ასეც მოხდება. მახსენდება აქ თამაში, ორჯერ მოგებული თასი, ვთამაშობდით ლამაზ ფეხბურთს, კარგი დრო იყო"*, - განაცხადა მან.

*„ენსვიმ"* დაუსვა კითხვა აეკ-ში შესაძლო მუშაობის შესახებაც: *„ამჟამად მე ვმუშაობ. მომავალში? ვინ იცის, რა მოხდება მომავალში, ყველაფერი შესაძლებელია"*, - განაცხადა ქეცბაიამ.

სხვათა შორის, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ფოტომ, რომელსაც აქვე გთავაზობთ, რომელშიც ქეცბაია აეკ-ის ხელმძღვანელობასთან ერთად არის გადაღებული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

აქტუალურ თემაზე

# ფრიდონ ინჯია
# ასეთი არგუმენტები მიუღებელია

**მარტში ფეხბურთის ფედერაციამ ქვეყანაში მოქმედი ტოტალიზატორების მეპატრონეები გააფრთხილა, რომ უკანასკნელ პერიოდში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე ფსონები არ მიეღოთ. ამავე დროს შეიქმნა სფფ-ში საეჭვო მატჩების გამოძიებისა და ანალიზის ჯგუფი...**

## ...ლოგიკურად, მასში მსაჯებიც უნდა მონაწილეობდნენ

ამ კუთხით საინტერესო მოსაზრება ჰქონდა **ფრიდონ ინჯიას**. საზოგადოებრივი მაუწყებლობის გადაცემა „საფეხბურთო მიმოხილვაში" მარტვილის „მერანის" პრეზიდენტმა ახალი, დამოუკიდებელი კომისიის შექმნაც მოითხოვა, რომელიც მსაჯობაში არსებულ ვითარებას შეისწავლიდა. არგუმენტად კი ეს დაასახელა:

*„ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება (საეჭვო მატჩების გამოძიებისა და ანალიზის ჯგუფის შექმნის შესახებ - რედ) დროული იყო. სასურველია, რომ ამ ჯგუფმა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ითანამშრომლოს. სხვაგვარად, გარიგებული მატჩების გამოვლენა შეუძლებელი იქნება. ამავე დროს, საჭიროდ მიმაჩნია, რომ პარალელურ რეჟიმში ჩამოყალიბდეს ჯგუფი, რომელიც მსაჯების საქმიანობასაც გამოიკვლევს. ფეხბურთში ბევრი უცნაური მოვლენა თუ ხდება, ლოგიკურად, მასში მსაჯებიც უნდა მონაწილეობდნენ"*.

ამ ინიციატივით, ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე** დაინტერესდა, რომელმაც ორიოდე დღის წინ განაცხადა, რომ ასეთი კომისიის შექმნა ნამდვილად იგეგმება.

თუმცა ეს ამბავი ინჯიასთვის უცნობია: *„კარგია, თუ ეს იდეა გაიზიარეს. მაგრამ პირადად მე არაფერი მსმენია, რომ რამე შეცვლილიყოს. საერთოდ, ბევრი წესიერი მსაჯია. მაგრამ ბევრი ისეთი შემთხვევაც იყო, როცა მსაჯები ჩვენთან მატჩებისას შეცდნენ. ეს საკითხი მკაცრ კონტროლს ამიტომაც საჭიროებს"*.

## ინვესტორს სუფთა გარემო სჭირდება

ინჯია „ლელოსთან" ფეხბურთის ფედერაციის იურისტის, სპორტული სამართლიანობის ჯგუფის წევრის **კესო ჩხიკვაძის** განცხადებასაც გამოეხმაურა, სადაც ის ამბობდა, რომ კლუბებმა თავად უნდა დაამტკიცონ, რომ უეფას ინფორმაციაში ხსენებული თამაში გარიგებული არ არის.

*„კარგია, რომ გარიგებული მატჩების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს. ამას, უპირველესად, მე მივესალმები, რადგან ფეხბურთში ფულს ვდებ, კერძო ინვესტორს კი სუფთა გარემო სჭირდება. მაგრამ მტკიცებულებების გარეშე გუნდისთვის ბრალდების წაყენება და დასჯა გამართლებული ვერ იქნება. „მერანი" დასაჯეს და მე მსურს, მივილო მტკიცებულებები. არადა, ამბობენ, რომ მას არ წარმოადგენენ და გამოძიება თავად უნდა ჩავატაროთ. მე კი მსურს დოკუმენტური მტკიცებულებები, ჩემს კლუბში ვინმე რამეს თუ აშავებდა"*, - ამბობს ინჯია.


ფრიდონ ინჯია

„მერანის" პრეზიდენტი სახელმწიფო პროგრამის დამუშავების აუცილებლობაზე გველაპარაკა: *„ბოლო დროს რამდენიმე საინტერესო მოსაზრება გამოითქვა და აშკარაა, რომ სახელმწიფოს ფეხბურთის განვითარების სურვილი გააჩნია. მაგრამ ფეხბურთის განვითარების პროგრამა დროულად უნდა დაიდოს და განხორციელდეს. მთავრობის დახმარების გარეშე, ჩვენი ფეხბურთი საშუალო დონეზეც ვერ განვითარდება. ამ დროს, საქართველოში ბევრი ნიჭიერი მოთამაშეა, რომელიც არსებულ გარემოში ვერ იზრდება"*.

## ახალი მოედანი ზაფხულში...

ინჯია ამბობს, რატომ არის დღეს ქართული ფეხბურთი ბიზნესისთვის წამგებიანი: *„მარტვილის „მერანმა" უმაღლესი ლიგისკენ სვლა ნულიდან დაიწყო. ამ პერიოდში ერთი ფეხბურთელიც არ გაგვიყიდია, შემოსავალი არც ბილეთებიდან გვაქვს და არც სიმბოლიკის გაყიდვიდან, სატელევიზიო შემოსავლებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. რაც მთავარია, ბიზნესს ფეხბურთში ხელშეწყობა არ ჰქონდა და ახლა სწორედ ამის შეცვლა გვსურს. მე რომ სახელმწიფოს დახმარებაზე ვლაპარაკობ, ეს საწყის ეტაპზე უნდა მოხდეს, რათა კლუბები მოღონიერდნენ. ასე განვითარდება ინფრასტრუქტურა, პირობები და მერე კლუბმა მენეჯმენტი უნდა გააუმჯობესოს და კერძო რელსებზე გადართვის წინაპირობა შექმნას"*.

ფრიდონ ინჯია უმაღლესი ლიგის 16 გუნდამდე გაზრდის ინიციატორი გახლავთ. თუმცა კლუბის მიტოვებას ამ იდეის განუხორციელებლობის შემთხვევაშიც არ აპირებს:

*„თუ ლიგა არ გაფართოვდა, ისევ პირველ ლიგაში მოგვიწევს თამაში. მაგრამ ეს ჩვენთვის პრობლემა არ არის. „მერანმა" არსებობა მე-2 ლიგაში დაიწყო და უმაღლესში გადავიდა. მაგრამ 16-გუნდიანი ლიგა საქართველოს ჰაერივით სჭირდება, მით უფრო, რომ მთავრობა გვეხმარება. წლევანდელი სეზონის ჩავარდნის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ მარტვილში ერთი საშინაო შეხვედრაც ვერ ჩავატარეთ. არ გახსოვთ, ერთხელ მეტოქეს მცხეთაშიც კი „ვუმასპინძლეთ". ცხადია, ამან გუნდზე ძალზედ ცუდი გავლენა მოახდინა. რამდენი წელია, სხვადასხვა სტადიონის რეაბილიტაცია მოხერხდა და მათ რიცხვში მარტვილი არ ყოფილა. მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა და იმედი მაქვს, ახალ მოედანს ზაფხულში დაგვიგებენ"*.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველო და ევროპა


უეფას მოთხოვნებს მხოლოდ დინამო არენა პასუხობს

# ბავშვური ოცნებები და რეალობა

**25 აპრილს ამოიწურა ვადა, როცა ევრო 2020-ის მასპინძლობის მსურველ ქვეყნებს კანდიდატურები უნდა წარედგინათ. როგორც ცნობილია, ამ ტურნირის 60 წლისთავი სწორედ 2020 წელს ემთხვევა და უეფამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო - ევროფინალის მასპინძლობის შანსი მთელ კონტინენტზე 12 ქვეყნის 13 ქალაქს მისცა...**

## ერთი კანდიდატურაც არ გვყავს

თავდაპირველად, დასკვნით ტურნირში თამაშების მასპინძლობის ინტერესი 32-მა ეროვნულმა ასოციაციამ გამოთქვა. მათ მოთხოვნების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიეწოდათ, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც მომდევნო ეტაპზე მოხვდებოდნენ. მეორე ეტაპზე გაფილტვრა 2013 წლის 12 სექტემბერს დასრულდა. მესამე ეტაპი კი, როგორც გითხარით, 25 აპრილს. საბოლოოდ, 19-მა ქვეყანამ 19 ქალაქის კანდიდატურა წარადგინა: აზერბაიჯანმა (ბაქო), ინგლისმა (ლონდონი), უელსმა (კარდიფი), შოტლანდიამ (გლაზგო, უეფამ დიდი ბრიტანეთის სამეფოში შემავალი ქვეყნების განაცხადები ცალკე ქვეყნებად დაასახელა), ბელარუსმა (მინსკი), ბელგიამ (ბრიუსელი), ბულგარეთმა (სოფია), მაკედონიამ (სკოპიე), უნგრეთმა (ბუდაპეშტი), გერმანიამ (მიუნხენი), დანიამ (კოპენჰაგენი), ისრაელმა (იერუსალიმი), ირლანდიამ (დუბლინი), ესპანეთმა (ბილბაო), იტალიამ (რომი), ჰოლანდიამ (ამსტერდამი), რუსეთმა (სანქტ-პეტერბურგი), რუმინეთმა (ბუქარესტი) და შვედეთმა (სტოკჰოლმი). ნახევარფინალური და ფინალური მატჩების ჩატარების სურვილი კი ინგლისმა და გერმანიამ გამოთქვეს.

უკრაინას მატჩების კიევსა და დონეცკში მასპინძლობა სურდა, მაგრამ რუსული აგრესიის გამო, ამ ქვეყანაში ყველაფერი თავდაყირა დადგა და იძულებულები გახდნენ, ჩანაფიქრზე უარი ეთქვათ. მასპინძელ ქალაქებთან დაკავშირებით, უეფას აღმასკომი საბოლოო გადაწყვეტილებას 19 სექტემბერს, ჟენევაში მიიღებს.

*„გვიხარია, ევრო 2020-ის მასპინძლობაზე ამდენი მოთხოვნა რომ მივიღეთ. ჩვენ 13 ქვეყნის გულშემატკივარს მივცემთ საშუალებას, ამ ჯადოსნური ტურნირის სიხარული უშუალოდ გაიზიაროს. ასევე ისარგებლებენ ეროვნული ასოციაციები, რადგან ბევრი მათგანი მიიღებს ელიტურ ჩემპიონატს და თავიანთ ქვეყნებში ფეხბურთის განვითარების სტიმულირებას შეძლებს"*, - განაცხადა უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინმა**.

## ოცნებების გაცხადება

ევრო 2020-ით ვერც ჩვენს გულშემატკივარი გაიხარებს და ვერც ჩვენი ფედერაცია ისარგებლებს. არადა, როგორც ცნობილია, ევრო 2020-ის მასპინძლობის მსურველი საქართველოც იყო. მეტიც, თავდაპირველად, ჩვენი ფედერაცია აზერბაიჯანს სთავაზობდა, რომ ჯგუფური ტურნირი ერთობლივად მიეღოთ.

2012 წლის 15 მაისს უეფაში წინასწარი განაცხადის შეტანის ბოლო დღე იყო. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა **ლადო ვარძელაშვილმა** და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** ერთობლივი საგანგებო ბრიფინგიც გამართეს.

*„ევრო 2020-ის მასპინძლობაზე უეფაში განაცხადების შეტანის ვადა დღეს იწურებოდა. სფფ-მ უეფას გენერალურ სამდივნოში 14 მაისს გენერალური მდივნის, ჯანი ინფანტინოს სახელზე გაგზავნილ საგანგებო წერილში ოფიციალურად დაადასტურა საქართველოს სურვილი, უმასპინძლოს ევროპის 2020 წლის ჩემპიონატს"*, - განაცხადა მაშინ სფფ-ს პრეზიდენტმა.

*„შედეგს რომ ვერც მივაღწიოთ, ეს განაცხადი მოგვცემს საშუალებას, რომ განვახორციელოთ მსხვილი პროექტები და განვაახლოთ ცენტრალური სტადიონები, ბაზები, მთლიანად ქვეყნისა და საფეხბურთო ინფრასტრუქტურა. ცნობილია, რომ სახელმწიფოს დახმარებით ბათუმში ახალი ულტრათანამედროვე სტადიონის მშენებლობა იწყება. ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვა რეგიონებსა და თბილისში მდებარე ყველა სტადიონის ინფრასტრუქტურა, ქუთაისის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, გორის, ქობულეთის, თელავის"*, - ეს განცხადება იმავე პრესკონფერენციაზე ვარძელაშვილმა გააკეთა.

## ესეც თქვენი ინფრასტრუქტურა...

...მაგრამ შარშან, შემოდგომაზე, ცნობილი გახდა, რომ საქართველო უეფას მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა და ევრო 2020-ის კანდიდატთა დავას საკუთარი ნებით ჩამოსცილდა. ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის ჩასატარებლად კი ძალიან მკაცრი მოთხოვნები წამოგვიყენეს: უეფას ლიცენზირებული სტადიონი, რომელიც მინიმუმ 30 ათას მაყურებელს დაიტევდა, პლუს სათადარიგო სტადიონი; ვიპ-ადგილების რაოდენობა - 350-დან 800-მდე; პრესლოჟაში - 300-დან 600 ადგილამდე.

გარდა ამისა, მკაცრი მოთხოვნებია ტრანსპორტზე (მატჩამდე 10 საათით ადრე და 10 საათის შემდეგ უნდა იყოს რეისები, მატჩის დღეს აეროპორტს უნდა შეეძლოს 100 ჩარტერული რეისის მიღება, ქვეყნის შიდა ტრანსპორტი 24-საათი უნდა მუშაობდეს და ა.შ.), სასტუმროების რაოდენობასა და ხარისხზე, აუცილებელია ფან-ზონების შექმნა...

იდეაში, ევროპის ჩემპიონატის მასპინძლად შემდეგი ქალაქები მოიაზრებოდა - თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, გორი და ზუგდიდი. მაგრამ უეფას მოთხოვნებს მხოლოდ თბილისის „დინამო არენა" პასუხობდა, 30 ათასს არ იტევს „მიხეილ მესხი", გორის სტადიონი მხოლოდ 5 ათას მაყურებელზეა გათვლილი, ბათუმსა და ზუგდიდში კი სტადიონები საერთოდ არ არის.

ქართული მხარის სურვილის გაცხადებისას კულუარებში ლაპარაკობდნენ, რომ ეს ყველაფერი წინა ხელისუფლების (რომელსაც წინასაარჩევნოდ „პიარი" სჭირდებოდა) მოთხოვნით კეთდებოდა. მაგრამ ეს მხოლოდ ვერსიაა და ვერსიადვე დარჩება, სანამ ფედერაციის ხელმძღვანელები არ იტყვიან, რა მოხდა რეალურად.

სამწუხარო რეალობა ის არის, რომ ამ ყველაფრის ინიციატივა დღემდე სფფ-ს მიეწერება, 25 აპრილს უეფაში შესულ განაცხადებში კი არც ერთი ქართული ქალაქი არ იყო ნახსენები. ამ ფაქტით კიდევ ერთხელ დაფიქსირდა, რომ ევროპას (მათ შორის, აღმოსავლეთსაც, დასავლეთზე რომ არაფერი ვთქვათ) არა მხოლოდ საფეხბურთო დონით, ქვეყნის განვითარებითა და ინფრასტრუქტურითაც გვარიანად ჩამოვრჩებით.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# სირბილაძის სათასო გოლი

რუსეთის I დივიზიონში 35-ე ტურში **აკაკი ხუბუტიას** „მორდოვიამ" 2:0 მოუგო „როტორს", არადა, წინა ტურში გაინაღდა პრემიერლიგის საგზური. ქართველმა მცველმა ამ შეხვედრაში შეუცვლელად ითამაშა. ნალჩიკის „სპარტაკი" კი „უფას" დაუზავდა - 0:0. მასპინძელთა რიგებში 58-ე წუთამდე ითამაშა **დავით სირაძემ**, ხოლო **გუჯა რუხაია** მოედანზე 67-ე წუთზე გამოჩნდა. „სპარტაკი" 45 ქულით მე-12 ადგილზეა.

ფინეთის თასზე თავი გამოიჩინა **ირაკლი სირბილაძემ** - მისმა „ინტერმა" სტუმრად 2:1 დაამარცხა „კუოპიო". ირაკლიმ გამარჯვების გოლი 50-ე წუთზე გაიტანა. ლატვიურ ვირსლიგაში უხვგოლიანი გამოდგა „დაუგავასა" და „ლიეპაიას" მატჩი - 5:3. 26 წლის **გიორგი ჩიხრაძემ** ამ მატჩში დუბლი შეასრულა - 50-ე და ბოლო წუთებზე, ორივე გოლი მან პენალტის ნიშნულიდან გაიტანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ქართველები ცხელ წერტილში

# ბესიკ ჩიხრაძე
# ასე თუ გაგრძელდა, უკრაინის დატოვება მოგვიწევს


ბესიკ ჩიხრაძე

უკრაინაში მიმდინარე მოვლენები საქართველოზეც რომ აისახება, ამაზე აღარავინ დავობს. სტუმართმოყვარე ქვეყანამ გაჭირვებისას ბევრი ქართველი შეიფარა, კარიერისა და ბიზნესის აწყობის საშუალება მისცა. მარტო **კახა კალაძის** მაგალითიც კმარა, რომ უკრაინელებისადმი ჩვენი დამოკიდებულება ჩამოგვიყალიბდეს.

უკრაინაში ახლაც ბევრი ქართველი თამაშობს და რუსული აგრესიის დაწყების შემდეგ სისტემატურად ვინტერესდებოდით, რა ხდებოდა მათ თავს - მაგალითად, „სევასტოპოლში", სადაც ეროვნული ნაკრების კანდიდატი **მათე ღვინიანიძე** და 19-წლამდელთა ნაკრების წევრი **დავით დარციმელია** ირიცხებიან. ახლა მათ საფრთხე აღარ ემუქრებათ. მაგრამ ვითარება უკიდურესად გამწვავდა სწორედ იმ ქალაქებში (ლუგანსკი, დნეპროპეტროვსკი, ოდესა, მარიუპოლი), სადაც საქართველოს ნაკრების წევრები თუ კანდიდატები თამაშობენ: „ზარიაში" - **ჯაბა ლიპარტია** და **გიული მანჯგალაძე** თამაშობენ, დნეპროპეტროვსკის „დნიპროში" - **ჯაბა კანკავა, სანდრო კობახიძე** და **უჩა ლობჟანიძე**, „ჩერნომორეცში" - **თორნიკე ოქრიაშვილი,** ხოლო „ილიჩივეცში" - **დავით თარგამაძე**.

უკრაინაშივე საქმიანობს „გაგრის" პრეზიდენტი **ბესიკ ჩიხრაძე,** რომელიც ამბობს, რომ თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, უკრაინიდან წამოსვლა ბევრ ჩვენებურს მოუხდეს.

*„პოლიტიკა და ფეხბურთი გამიჯნული უნდა იყოს, მაგრამ ახლა უკრაინაში მცხოვრები ქართველები დაძაბულ მოლოდინში ვართ. ძალიან მძიმე ვითარებაა, ყოველდღე რომელიმე ქალაქში შეტაკება ხდება, ნორმალური ცხოვრების რეჟიმი დაირღვა და ეს საფეხბურთო ცხოვრებაზეც აისახა. თუ რუსები მართლა შემოიჭრებიან, ჩვენ აქ გამჩერებლები არ ვართ. ასევე ფიქრობს თორნიკე ოქრიაშვილიც, რადგან ოდესაში ნორმალური ცხოვრება უკვე შეუძლებელია. ახლა იქ ქუჩებში ბარიკადებია აღმართული და ხალხი ომის მოლოდინშია. ბევრ უკრაინულ კლუბს გაუჭირდა, განსაკუთრებით - „ჩერნომორეცს", სადაც თორნიკე თამაშობს",* - გვითხრა ჩიხრაძემ.

„გაგრის" პრეზიდენტი ქართველი მოთამაშეების მომავალსაც შეეხო: *„ჯერ კიდევ არის იმედი, რომ უკრაინის ეკონომიკა გადარჩება და აქედან გამომდინარე - უკრაინული კლუბებიც, სადაც ჩვენი მოთამაშეები მრავლად არიან. თითოეული მათგანი საქართველოს ნაკრების წევრი ან კანდიდატია და მეეჭვება, რომელიმე დაიკარგოს და უგუნდოდ დარჩეს. მაგრამ საწყენი ისაა, რომ უკრაინა ჩვენი ყველაზე დიდი პარტნიორია ეკონომიკაშიც და ფეხბურთშიც - აქ ქართველები თავს კარგად გრძნობენ, სოლიდურ ხელფასებს იღებენ, ელემენტარულად, ოჯახებს და სანათესაოს არჩენენ. ბევრი მათგანი სწორედ აქ ჩამოყალიბდა და ჩვენს ნაკრებს ეხმარებიან. მე არც ვიცი, მეორე ასეთი ქვეყანა სად არის და ამიტომ ვდარდობ, ღმერთმა არ ქნას, ცუდი პროგნოზები გამართლდეს, თორემ პრობლემები ჩვენს ფეხბურთსაც შეექმნება".*

**მერაბ მამულაშვილი**

I ლიგა

# სიახლეების მოლოდინში

პირველი ლიგის გათამაშება დასასრულს მიუახლოვდა: A ზონაში ორი ტურიღა დარჩა, B ზონაში კი, დღევანდელის ჩათვლით - სამი. შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში პირველი ლიგის გათამაშება ახლებური ფორმატით ტარდება: 28 გუნდი ორ ზონაში (14-14 გუნდი) გადანაწილდა და ორწრიან ტურნირში ჩაება. თუმცა, სეზონის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე გათამაშებას გამოეთიშა აჩაბეთის „ლიახვი" და ამიტომაც A ზონაში 13 გუნდი ამთავრებს შეჯიბრებას.

## რეორგანიზაცია პირველ ლიგასაც შეეხება

2013/14 წლების სეზონის რეგლამენტის თანახმად, A და B ზონაში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები პლეი ოფში იასპარეზებენ. ეს პლეი ოფი კი სავარაუდოდ, 19-20 მაისიდან დაიწყება და თბილისში გაიმართება: პირველი ლიგის ოთხი საუკეთესო გუნდი ერთწრიან ტურნირს ჩაატარებს და ამ ტურნირის ორი საუკეთესო გუნდი მომავალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს.

აი, რაც შეეხება დაქვეითებას, იმავე რეგლამენტის თანახმად, ორივე ზონაში ბოლო სამ ადგილზე გასული გუნდები 2014/15 წლების სეზონს მეორე ლიგაში დაიწყებენ. თუმცა, A ზონიდან მეორე ლიგაში დაქვეითება ბოლო ორ ადგილზე გასულ გუნდს ემუქრება, რადგანაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აჩაბეთის „ლიახვი" უკვე გამოეთიშა ასპარეზობას. ეს ყველაფერი ზემოთქმული, როგორც ამჩნევთ, 2013/14 წლების სეზონის რეგლამენტს ეფუძნება, თუმცა, დიდია იმის ალბათობაც, რომ პირველი ლიგის გათამაშების დასრულებისთანავე (ან, ოდნავ მოგვიანებით) ბევრი რამ შეიცვალოს.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მომავალი სეზონისათვის დაგეგმილი საქართველოს ჩემპიონატის რეორგანიზაცია ხომ აუცილებლად შეეხება პირველ ლიგასაც. აი, თუნდაც ის მოდელი გავიხსენოთ, დაახლოებით ერთი თვის წინ რომ შემოგვთავაზა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, რის მიხედვითაც მომავალ სეზონში პირველი ლიგა ზონების გარეშე იქნება და მასში 18 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, საიდანაც I-II ადგილებზე გასული გუნდები პირდაპირ გადავლენ უმაღლეს ლიგაში.

ანუ, ჯერჯერობით ძნელია იმის თქმა, თუ რომელი გუნდები იასპარეზებენ მომავალი სეზონიდან პირველ ლიგაში. ეგ კი არა, ზემოთ რომ მოახლოებული პლეი ოფი ვახსენეთ, აქაც, შესაძლოა, ბევრი რამ შეიცვალოს; ყოველ შემთხვევაში, პრიორიტეტად სპორტული პრინციპები კი რჩება (ანუ, ზონებში პირველ-მეორე ადგილებზე გასულმა გუნდებმა უნდა მიიღონ პლეი ოფში მონაწილეობა), მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გუნდები ლიცენზირების მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ.

აქედან გამომდინარე, არავის გაუკვირდეს, რომ სულაც სამგუნდიანი პლეი ოფი ვიხილოთ (ასევე ერთ წრედ რომ ჩატარდება), ხოლო თუ ზონებში გამარჯვებული ოთხი გუნდიდან მხოლოდ ორი დააკმაყოფილებს ლიცენზირების მოთხოვნებს, მაშინ ეს ორი გუნდი ავტომატურად მიიღებს უმაღლესი ლიგის საგზურს. ისე, არ დავმალავთ და ასეთ „სიმკაცრეს" მივესალმებით კიდეც: თუ გუნდს შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ გააჩნია, არც ასაკობრივი გუნდები ჰყავს და არც ფინანსური გარანტიები აქვს, მაშინ უმაღლეს ლიგაში არაფერი ესაქმება!

პირველი ლიგის გათამაშება ჯერჯერობით არ დასრულებულა და არც ის არის ცნობილი, თუ რომელმა გუნდებმა გაიარეს ლიცენზირება და რომელს ეთქვა უარი. ამის მიუხედავად, A ზონაში მიმდინარე მოვლენებზე მაინც შეიძლება საუბარი: ჯერ კიდევ წინა ტურის შემდეგ გაირკვა, რომ პლეი ოფის საგზური (როგორც სეზონის დაწყების წინ ვივარაუდეთ) ფოთის „კოლხეთმა" და ქობულეთის „შუქურამ" საგზური მოიპოვეს.

სეზონის დასრულებამდე სამი ტურით ადრე ამ გუნდების დაწევის (გნებავთ - გადასწრების) შანსი ამ ბოლო დროს ჩინებულად ათამაშებულ თბილისის „დინამო 2-ს" ჰქონდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, რომ ეს გუნდი ფარმ-კლუბია და უმაღლესში აღზევების უფლება არა აქვს. აი, დანარჩენებისათვის კი „შუქურა" და „კოლხეთი" მიუწვდომელი არიან...

## ორი ფავორიტი

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ „შუქურა" თავისი ზონის ერთ-ერთი ფავორიტი უნდა ყოფილიყო და ასეც მოხდა: ზამთრის პაუზის მერე გუნდის მთავარ მწვრთნელად **ბესიკ შეროზია** (ბოლოს, მეორე ლიგაში, ზუგდიდის „ლაზიკაში" მუშაობდა) დაინიშნა და მისი ხელმძღვანელობით ქობულეთელებმა 8 მატჩი მოიგეს, ერთი ითამაშეს ფრედ (ფოთის „კოლხეთთან") და მხოლოდ ერთ შეხვედრაში დამარცხდნენ (ისიც, უმოტივაციო მატჩში). იმასაც შეგახსენებთ, რომ „შუქურამ" სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა, როცა თასის ნახევარფინალამდე მიაღწია.

თუმცა, ახლა მთავარი იწყება: გუნდი მაქსიმალურად მომზადებული უნდა შეხვდეს პლეი ოფს. „შუქურაში" ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია, პლუს ლეგიონერებიც - **რობერტ ლობე** (კამერუნი), **მაქსიმ გოლიხინი** (რუსეთი).

ამათ გარდა, გუნდის წარმატებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ იმ გამოცდილ ფეხბურთელებსაც, სხვადასხვა დროს უმაღლეს ლიგაში რომ უთამაშიათ: 31 წლის **მიხეილ კაკალაძეს** და 28 წლის **არჩილ ბაჯელიძეს,** აგრეთვე მეორე ეტაპიდან დამატებულ ფეხბურთელებს: 26 წლის **ლაშა ჩალაძეს,** 22 წლის **ლაშა კალანდაძეს,** 24 წლის **ლევან კუტალიას** და 20 წლის **ნიკა ჭკუასელს.** რაც მთავარია, სწორედ „შუქურაში" თამაშობს პირველი ლიგის საუკეთესო ბომბარდირი, 22 წლის **გიორგი ჩელებაძე!**

ასევე არავისთვის იყო მოულოდნელი „კოლხეთის" წარმატებული ასპარეზობაც: **ზაზა ინიაშვილის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდი


ბესიკ შეროზია

პირველ ცდაზევე რომ დააპირებდა უმაღლესში დაბრუნებას, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა. ჯერ ერთი, „კოლხეთმა" წინა სეზონის ძირითადი ბირთვი შეინარჩუნა (**გიორგი კილასონია, პაატა ცხვიტარია, გიორგი კრასოვსკი, ომარ გოგონაია, ლევან გულუა, ალექსანდრე ქორჩილავა**).

ამას გარდა, ჯერ სეზონის დაწყების წინ, შემდეგ კი ზამთრის პაუზის მერე სხვა ისეთი ფეხბურთელებიც დაიმატა, სხვადასხვა დროს უმაღლეს ლიგაში რომ უთამაშიათ: 26 წლის **ლაშა ძაგანია,** 22 წლის **ლაშა კუკავა,** 23 წლის **ვაჟა ნემსაძე** და 22 წლის **თეიმურაზ შარაშენიძე.** „კოლხეთი" უდავოდ გააძლიერეს ცენტრალურმა მცველმა 30 წლის **თეიმურაზ ფარულავამ** და 25 წლის შემტევმა **დათა სიჭინავამ,** რომლებიც ფოთელთა გუნდს გარკვეული პაუზის მერე დაუბრუნდნენ.

„შუქურა" და „კოლხეთი" სეზონის სტარტიდანვე დაწინაურდნენ და მთელი ტურნირი ისე განვლეს, ფაქტობრივად, კონკურენტი არც ჰყოლიათ. ერთი პერიოდი, თერჯოლის „საპოვნელა" ცდილობდა „სიტუაციის არევას", მაგრამ ზამთრის პაუზის მერე **მირიან გენაძის** გუნდიდან რამდენიმე გამოცდილი მოთამაშე წავიდა და ამან შედეგებზეც იმოქმედა; **თენგიზ სიჭინავას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „გაგრას" მეტისმეტად ახალგაზრდული შემადგენლობა ჰყავს, თანაც გუნდში აღარ არიან ლეგიონერებიც (**აბაიომი ოვონიკოკო, ჯონ ჯერემია, ბენჯამინ ტეიდი**).

## სასიამოვნო სიურპრიზი

მართლაც სასიამოვნო სიურპრიზი იყო თბილისის „დინამო 2"-ის ჩინებული თამაში: შეგახსენებთ, რომ გუნდს წარუმატებელი სტარტი ჰქონდა, შემდეგ **მალხაზ ჟვანიას** მოსვლის შემდეგ წაუგებელი სერია „გამოაცხო"; ზამთრის პაუზის მერე კი უკვე ახალი თავკაცის, ახალგაზრდა სპეციალისტის **უჩა სოსიაშვილის** („სამტრედიიდან" გადმოვიდა) ხელმძღვანელობით „დინამო 2-მა" ტურნირი „მძიმედ" დაიწყო (ფრე - „გაგრასთან", წაგება - „შუქურასთან"), აი, ამის შემდეგ ჩატარებულ ცხრა შეხვედრაში გუნდმა 8 მატჩი მოიგო და 1 ითამაშა ფრედ. ახლა, ბურთების სხვაობას აღარ იკითხავთ: ამ ცხრა მატჩში „დინამო 2-მა" მეტოქეთა კარში 53 გოლი გაიტანა და საკუთარში მხოლოდ 2 გაუშვა!

„დინამო 2-ში" ერთი-მეორეზე პერსპექტიული ბიჭები თამაშობენ, საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებშიც წამყვან ფეხბურთელებად რომ მიიჩნევიან. ზოგიერთ მათგანს „დინამოს" ძირითად გუნდშიც (ან, 18-კაციან განაცხადში) ვხედავთ ხოლმე; თუმცა, ერთი ახალგაზდა ფეხბურთელი კი მართლაც ცალკე აღნიშვნის ღირსია: 20 წლის თავდამსხმელი **ბუდუ ზივზივაძე** მოედანს უგოლოდ კი არ ტოვებს, ლამის არის, ყოველ მატჩში „დუბლი" ან „ჰეთ-თრიქი" შეასრულოს!

## პლეი ოფში ერთი ცნობილია

B ზონაში სამი ტური დარჩა, თუმცა პლეი ოფში გამსვლელი ერთი გუნდის ვინაობა უკვე ცნობილია: **გელა სანაიას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „სამტრედია" უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად ემზადება! აი, რომელი გუნდი „დაუმშვენებს" მხარს პლეი ოფში „სამტრედიას" ამას, დღევანდელი მატჩი გაარკვევს: ორი უშუალო კონკურენტის, ბათუმის „დინამოსა" და ხელვაჩაურის „მაჭახელას" დაპირისპირებაში, ფაქტობრივად, პლეი ოფის საგზურის ბედი წყდება!

**გია ტუხაშვილი**

### I ლიგა. XXIV ტური

#### A ზონა

| | |
|---|---|
| გაგრა-კოლხეთი (ფ) | 1:1 |
| ალგეთი-მეშახტე | 4:1 |
| საპოვნელა-კახეთი | 2:1 |
| ჩხერიმელა-მერცხალი | 3:4 |
| შუქურა-სქური | 6:1 |
| დინამო 2 (თბ)-იმერეთი | 7:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შუქურა | 22 | 17 | 3 | 2 | 71-19 | 54 |
| 2. კოლხეთი (ფ) | 22 | 16 | 3 | 3 | 47-12 | 51 |
| 3. დინამო 2 (თბ) | 23 | 15 | 3 | 5 | 75-26 | 48 |
| 4. გაგრა | 23 | 11 | 8 | 4 | 43-24 | 41 |
| 5. საპოვნელა | 22 | 12 | 4 | 6 | 38-21 | 40 |
| 6. ალგეთი | 22 | 9 | 3 | 10 | 33-34 | 30 |
| 7. მეშახტე | 21 | 8 | 6 | 7 | 35-33 | 30 |
| 8. ჩხერიმელა | 22 | 6 | 4 | 12 | 27-49 | 22 |
| 9. მერცხალი | 23 | 6 | 2 | 15 | 24-52 | 20 |
| 10. სქური | 22 | 6 | 2 | 14 | 23-52 | 20 |
| 11. ადელი | 22 | 5 | 3 | 14 | 23-58 | 18 |
| 12. იმერეთი | 22 | 5 | 3 | 14 | 21-54 | 18 |
| 13. კახეთი | 22 | 5 | 2 | 15 | 25-52 | 17 |

### II ლიგა

#### აღმოსავლეთი ზონა. XXIV ტური

| | |
|---|---|
| გოლიადორი-არაგვი | 0:4 |
| მარკ სტარი-სასკო | 5:0 |
| დურუჯი-დინამო (სხ) | 3:0 |
| ჰერეთი/საქ უნ-ლიახვი | 1:0 |
| ივერიონი-ივერია | 2:3 |
| აბული-ფორვარდი | 2:0 |
| იბერია-ბორჯომი | 0:2 |
| რუსთავი-ალაზანი | 4:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარკ სტარი | 24 | 20 | 2 | 2 | 95-23 | 62 |
| 2. ბორჯომი | 24 | 19 | 4 | 1 | 83-22 | 61 |
| 3. ჰერეთი/საქ უნ | 24 | 14 | 4 | 6 | 66-42 | 46 |
| 4. ლიახვი | 24 | 13 | 6 | 5 | 53-32 | 45 |
| 5. ივერია | 24 | 13 | 3 | 8 | 59-44 | 42 |
| 6. არაგვი | 24 | 10 | 8 | 6 | 61-40 | 38 |
| 7. აბული | 24 | 11 | 3 | 10 | 39-46 | 36 |
| 8. ივერიონი | 24 | 10 | 5 | 9 | 47-45 | 35 |
| 9. დურუჯი | 24 | 10 | 2 | 12 | 43-45 | 32 |
| 10. რუსთავი | 24 | 9 | 3 | 12 | 57-79 | 30 |
| 11. ალაზანი | 23 | 8 | 4 | 11 | 37-50 | 28 |
| 12. გოლიადორი | 21 | 8 | 1 | 12 | 46-52 | 25 |
| 13. ფორვარდი | 23 | 5 | 3 | 15 | 33-64 | 18 |
| 14. დინამო (სხ) | 24 | 5 | 1 | 18 | 22-64 | 16 |
| 15. იბერია | 23 | 4 | 1 | 18 | 31-78 | 13 |
| 16. სასკო 2 | 24 | 3 | 2 | 19 | 24-73 | 11 |

#### დასავლეთი ზონა. IX ტური

| | |
|---|---|
| საირმე-სამეგრელო | 1:0 |
| დინამო 2 (ბთ)-საპოვნელა 2 | 1:1 |
| ეგრისი-კოლხეთი 2 (ფ) | 3:2 |
| მარგვეთი-რაჭა | 2:0 |
| მერცხალი 2-ლაზიკა | 0:5 |
| კოლხეთი 2 (ხ)-ქუთაისი | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლაზიკა | 18 | 16 | 1 | 1 | 56-8 | 49 |
| 2. მარგვეთი | 18 | 12 | 4 | 2 | 43-19 | 40 |
| 3. რაჭა | 19 | 12 | 1 | 6 | 34-28 | 37 |
| 4. ეგრისი | 18 | 11 | 0 | 7 | 37-28 | 33 |
| 5. დინამო 2 (ბთ) | 18 | 8 | 5 | 5 | 30-23 | 29 |
| 6. შუქურა 2 | 18 | 8 | 4 | 6 | 31-29 | 28 |
| 7. საპოვნელა 2 | 19 | 8 | 3 | 8 | 38-33 | 27 |
| 8. კოლხეთი 2 (ფ) | 19 | 8 | 2 | 9 | 29-34 | 26 |
| 9. საირმე | 19 | 8 | 1 | 10 | 32-35 | 25 |
| 10. კოლხეთი 2 (ხ) | 19 | 6 | 5 | 8 | 27-26 | 23 |
| 11. ქუთაისი | 18 | 5 | 3 | 10 | 32-40 | 18 |
| 12. სამეგრელო | 18 | 2 | 2 | 14 | 15-51 | 8 |
| 13. მერცხალი 2 | 19 | 0 | 1 | 18 | 10-60 | 1 |

● ევროპალიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩების წინ



კარლოს ტევესის გოლმა „იუვენტუსს“ ფინალში გასვლის კარგი შანსი შეუნარჩუნა

# მოიგე და დარჩი ტურინში

**1 მაისი**

**იუვენტუსი-ბენფიკა 23:05 (1 მატჩი 1:2)**

**დისკვალიფიკაცია:** გომეში (ბენფიკა)

**ტრავმა:** ვიდალი (?), პეპე - ფეისა, სილვიო, სალვიო, გაიტანი

**იმისთვის, რომ „ბებერმა ქალბატონმა“ „იუვენტუს არენაზე“ ფინალში ითამაშოს, საჭიროა იმავე არენაზე დღეს „ბენფიკა“ საჭირო ანგარიშით დაამარცხოს. ეს „საჭირო“ ანგარიში არც ისე მიუღწეველია, მაგრამ პორტუგალიური გრანდი შესაშურ ფორმაშია.**

## დაუმარცხებელთა ჯახი

ევროპალიგის ფინალი 14 მაისს ტურინში გაიმართება. „იუვეს“ ფანები წარმოსახვით, ალბათ, უკვე იქ არიან, თუმცა მანამდე **ანტონიო კონტეს** გუნდს პორტუგალიის ჩემპიონის 1-გოლიანი უპირატესობა აქვთ აღმოსაფხვრელი. „ბებერ ქალბატონს“ ერთი გოლის გატანაც აწყობს იმ პირობით, თუ მასპინძლები **ჯანლუიჯი ბუფონის** კარს „მშრალად“ შეინახავენ. საქმეც ისაა, რომ „იუვეს“ ევროტურნირებზე ძალიან უჭირს ეს - მართალია, „იუვენტუსი“ შინ ევროპალიგაზე 6 მატჩია, დაუმარცხებელია, მაგრამ აქედან მხოლოდ ერთხელ შეძლო ბუფონმა ნულზე თამაში.

„ბენფიკა“ დიდებულად თამაშობს, ჩემპიონობა უკვე დაიბევა, ამ უქმეებზე კი პორტუგალიის ლიგის თასის ფინალშიც გავიდა, მას მერე, რაც პენალტების სერიაში „პორტუ“ დაამარცხა. ამის გარდა, „ბენფიკა“ ევროპალიგას შემორჩენილი ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდია ამ სეზონში. არ დაგვავიწყდეს, რომ შარშან ამ ტურნირში „არწივები“ ფინალამდე მივიდნენ, რომელიც ტრადიციულად წააგეს („ჩელსის“ წინააღმდეგ). **ჟორჟე ჟესუსის** ბიჭებმა ამ ტურნირზე ბოლო 4 საგარეო მატჩი მოიგეს, მაშინ, როცა „იუვემ“ საკუთარ სტადიონზე ამ სეზონში (ყველა შეჯიბრებაში) 24-დან 21 მატჩი მოიგო და 3 ფრედ დაასრულა და ალბათ, მომავალ უიქენდზე გაინაღდებს სკუდეტოს. მოკლედ, ერთმანეთს ტურნირს შემორჩენილი საუკეთესო კლუბები ეთამაშებიან, ამიტომაც უწოდეს მათ დაპირისპირებას ნაადრევი ფინალი.

## პირველი მატჩი: არგენტინულ-ბრაზილიური საქმე

„და ლუჟზე“ „ბენფიკამ“ იძალა - ფავორიტი 2:1 დაამარცხა. უკვე მე-2 წუთზე **მირალემ სულეიმანის** ჩაწოდებულ კუთხურს თავურით არგენტინელი **ესეკილ გარაი** შეეგება. 73-ე წუთზე „იუვემ“ ასე მნიშვნელოვანი საგარეო გოლი გაიტანა - **კვადვო ასამოამ** საჯარიმოში **კარლოს ტევესი** მოძებნა და არგენტინელმაც გაიტანა. არგენტინელებმა კი გამოიჩინეს თავი, მაგრამ გამარჯვების გოლი ბრაზილიელის იყო - მასპინძლებს **ლიმამ** მოაგებინა, რომელსაც ასისტენტობას **ენცო პერესი** უწევდა.

რამდენი ფეხბურთელი ჩამოვთვალეთ და ერთიც არ არის ან პორტუგალიელი ან იტალიელი. თუმცა „ბენფიკას“ სასტარტოში ისედაც ერთადერთი პორტუგალიელი თამაშობდა („იუვეში“ 5).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# მესტალიური სასწაული, დუბლი II?


„ვალენსიას“ გმირობის ჩადენა გოლეადორ პაკო ალკასერის გარეშე მოუწევს

**1 მაისი**

**ვალენსია-სევილია 23:05 (1 მატჩი 0:2)**

**დისკვალიფიკაცია:** ალკასერი

**ტრავმა:** დიეგო ალვეში (?), სენდეროსი (?), რუისი, რ. კოშტა - კრისტოფორო, ჩერიშევი, კარისო (?)

**„ვალენსიას“ სეზონის გადარჩენის ბოლო შანსი აქვს - „მესტალიაზე“ იმის მსგავსი გმირობა უნდა ჩაიდინოს, რაც წინა ეტაპზე, თუმცა მეტოქე „ბაზელზე“ ბევრად სერიოზული და ასე ნაცნობია...**

## პაკოს გარეშე

დღეს „მესტალიაზე“ გამოჩნდება, რამდენად მზად არის **ხუან ანტონიო პიცის** გუნდი კიდევ ერთი სასწაულისთვის. შეგახსენებთ, რომ „ვალენსიამ“ მეოთხედფინალში „ბაზელთან“ 0:3 წააგო და როცა ყველამ ჩამოწერა, შინ ეს ანგარიში „ამოქაჩა“ და დამატებით დროში კიდევ 2 გოლი გაიტანა და ორი მატჩის ჯამში 5:3 მოიგო. იმ თამაშში **პაკო ალკასერმა** გაიბრწყინა და ჰეთთრიკი შეასრულა.

„მესტალიაზე“ **უნაი ემერი** მტრის როლში ჩადის, სტადიონზე, სადაც მისთვის ყოველი კუთხე ასე მშობლიურია და კლუბი ასეთი ნაცნობი, მაგრამ ბასკი სპეციალისტი აცხადებს, რომ მისთვის „ვალენსია“ წარსულია და ახლა მხოლოდ „სევილიას“ წარმატებაზე ზრუნავს.

„ვალენსიამ“ უეფას თასი 2004 წელს მოიგო, მომდევნო ორი სეზონის განმავლობაში კი ამ ტიტულს სწორედ „სევილია“ ფლობდა.

ორივე გუნდი ცუდ განწყობაზე ხვდება ამ შეხვედრას - „ვალენსიას“ შეეძლო „ატლეტიკოს“ საჩემპიონო რბოლა შეეფერხებინა, ბევრიც ებრძოლა, მაგრამ შინ 0:1 დათმო. აი, „სევილიამ“ კი უფრო მეტი დაკარგა - ბილბაოში გადამწყვეტი დაპირისპირება წააგო „ატლეტიკთან“ 1:3 და ჩემპიონთა ლიგის საგზურიც გამოიტირა.

მასპინძელთა უდიდესი დანაკარგი ევროპალიგაზე 7 გოლის გამტანი პაკო ალკასერია, რომელიც დისკვალიფიცირებულია.

## პირველი მატჩი: მარცხი პირველ ტაიმში

„სანჩეს პისხუანზე“ პირველ ტაიმში „სევილიამ“ ორი უპასუხო გოლი გაუტანა „ღამურებს“ და ამ დაპირისპირების ფავორიტად იქცა. 33-ე წუთზე **სტეფან მბიამ** სტუმართა მიერ უაზროდ დაკარგული ბურთი მოიგდო და ანგარიში გახსნა. უნდა აღინიშნოს, რომ მსაჯი ამ ეპიზოდში მასპინძელთა სასარგებლოდ შეცდა. სამ წუთში **ვიქტორ ვიტოლომ** მოედნის ხედვის დიდებული უნარი გამოავლინა და კოლუმბიელ **კარლოს ბაკას** გაატანინა. „ღამურები“ ამის მერე ბევრს ეცადნენ, ბურთსაც აკონტროლებდნენ, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ამბები

## ახალგაზრდა ხორვატი პრემიერლიგაში

პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაში სულ სამმა ხორვატმა ფეხბურთელმა ითამაშა - **ნიკიცა იელავიჩმა** (ევერტონი, ჰალი), **დეიან ლოვრენმა** (საუთჰემპტონი) და **მლადენ პეტრიჩმა** (ვესტ ჰემი). უკანასკნელმა იანვარში ბერძნულ „პანათინაიკოსს“ მიაშურა. შესაძლოა, მომდევნო სეზონში ხორვატების რიცხვი ინგლისში ისევ გაიზარდოს. ბრიტანული გამოცემების მტკიცებით, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ზაგრების „დინამოდან“ 19 წლის **იოზო შიმუნოვიჩის** შეძენას შეეცდება, ვინც ასაკის მიუხედავად ბალკანელთა ძირითადში ადგილი უკვე დაიბევა. შიმუნოვიჩი 191 სმ-ის ცენტრალური მცველია, ვისი მთავარი პლუსიც არა ფიზიკური მონაცემები, არამედ სხარტი აზროვნებაა. ცნობილია, რომ „იუნაიტედის“ გარდა თინეიჯერის ყიდვას „რომა“ და „დორტმუნდიც“ ცდილობენ. „ეშმაკები“ „დინამოს“ ფეხბურთელში სამ მილიონ ევროს სთავაზობენ.


იოზო შიმუნოვიჩი

## ლივერპული გამოიძიებს

კვირას „ლივერპული“-„ჩელსის“ შეხვედრისას (0:2) მასპინძელთა მავანმა გულშემატკივარმა პირველი გოლის ავტორ **დემბას ბას** კანის ფერის გამო შეურაცხყოფა მიაყენა. ფეხბურთელის თქმით, მას მსგავსი არაფერი გაუგია, თუმცა ორგანიზაცია Kick It Out-ს აქვს კონკრეტული მოწმის ჩვენება, ვინც მომხდარს დეტალურად აღწერს. ცხადია, რასიზმთან ბრძოლისთვის შექმნილმა არასამთავრობომ ამის შესახებ „ლივერპულს“ უკვე აცნობა. „საქმის კურსში უკვე ვართ ჩვენი მეგობრების დახმარებით და პირობას ვდებთ, რომ ინციდენტს აუცილებლად გამოვიძიებთ და დავადგენთ, ჰქონდა თუ არა ადგილი სისხლის სამართლის დანაშაულს. სტადიონის უსაფრთხოების სამსახური დეტალურად შეისწავლის კამერების ჩანაწერებსა და სტიუარდებს დამატებით ჩვენებებს ჩამოართმევს,“ - აცხადებს „ლივერპულის“ წარმომადგენელი.

## მარტინესი ლიდერებს არ ყიდის

„ევერტონის“ მთავარი მწვრთნელი **რობერტო მარტინესი** სეზონის დასრულების შემდეგ გუნდის ლიდერებთან გამოთხოვებას არ გეგმავს. პირიქით, ესპანელს იჯარით აყვანილი **რომელუ ლუკაკუსა** (ჩელსი) და **ჟერარდ დელოფეუს** (ბარსელონა) შენარჩუნება სურს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მათი შემცვლელების ყიდვაზე მოუწევს ზრუნვა. „თითოეულმა კლუბმა, ვინც ჩვენგან ფეხბურთელების ყიდვას აპირებს, უნდა იცოდეს, რომ ტრანსფერს ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში დავეთანხმებით, თუკი ამას საჭიროდ ჩავთვლით. ფინანსური პრობლემები არ გვაწუხებს. ასე რომ, თავს მაინცდამაინც ნუ შეიწუხებენ,“ - აცხადებს „ევერტონის“ თავკაცი.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ინტერვიუ. როი ჰოჯსონი

# გამორჩეული მუნდიალი: კოპაკაბანა, ქრისტეს ქანდაკება...

**ინგლისის ნაკრები უკვე თითქმის 50 წელია, ელოდება მსოფლიოს ჩემპიონატზე ტრიუმფს. ახლა ნაკრები 66 წლის როი ჰოჯსონის ხელშია. ამ გამოცდილ ტაქტიკოსს ცხოვრებისა და სათამაშო თუ სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში არაერთი ქვეყანა აქვს მოვლილი. იგი თავის მოგონებებს გვიზიარებს, 1994 წელს ჰოჯსონი მუნდიალზე შვეიცარიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად მოგვევლინა, გავიდა 20 წელი და იგი მსოფლიოს ჩემპიონატზე ინგლისს გაუძღვება...**

**- პირველი, რომელი მსოფლიოს ჩემპიონატი დაგამახსოვრდათ?**

- 1958 წლის შვედეთის მუნდიალი, მაგრამ ეს ალბათ უფრო ჩემი იქ ყოფნის და შემდგომი დაინტერესების გამო. ინგლისსა და დიდ ბრიტანეთს დიდი ინტერესი ჰქონდა ამ მსოფლიოს ჩემპიონატის, რადგან ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც მუნდიალზე ყველა ბრიტანული ქვეყანა იყო წარმოდგენილი. იმ ჩემპიონატისგან ბევრი ვისწავლე და დავუმეგობრდი ორვარ ბერგმარკს, რომელიც წლების განმავლობაში ნაკრებში ჩატარებული 92 მატჩით რეკორდსმენი იყო. შემდეგ ეს შედეგი არაერთგზის გაუმჯობესდა, მაგრამ იმ მომენტში ასე გახლდათ. შემიძლია გავიხსენო სხვადასხვა მწვრთნელებიც და ფეხბურთელებიც - ბენგტ გუსტავსონი, აგნე სიმონსონი... ის შვედეთის ნაკრები ყველასთვის ცნობილი გახლდათ. შემდეგ, იტალიაში გადავბარგდი, სადაც ნილს ლიდჰოლმი და გუნარ გრენი ვნახე. ერთი სიტყვით, ბევრი ვისწავლე. 1962 წლის მუნდიალი კარგად არ მახსოვს, სამაგიეროდ, 1966 წლის პირველობა უკვე ძალიან კარგად მახსოვს.

**- სად იყავით 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დროს?**

- „კრისტალ პალასში“, ფეხბურთელობას ვცდილობდი!

**- როგორ გაიხსენებთ ამ მუნდიალს? რომელიმე თამაშს თუ დაესწარით?**

- სიმართლე ითქვას, არა. თუ არ ჩავთვლით მატჩებს, რომლებიც „უემბლიზე“ გაიმართა. მაშინ მთელი ქვეყნის მასშტაბით არაერთი მატჩი იმართებოდა და საშუალება არ მქონდა, რომ ბილეთები მეყიდა და მევლო სხვადასხვა თამაშზე. ამიტომაც, მათ ძირითადად ტელევიზიით ვადევნებდი თვალყურს. მატჩები, განსაკუთრებით ინგლისის, ძალიან კარგად მახსოვს. მახსოვს შთამბეჭდავი და საკამათო მომენტები. იგივეს ვიტყოდი 1970 წლის მუნდიალზე, როდესაც მოქმედი ჩემპიონების რანგში დიდი იმედები გვქონდა, თანაც ნაკრებს რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი დაემატა. 1974 წელს სამხრეთ აფრიკაში ვიყავი, ასე რომ, მხოლოდ ფინალი ვნახე, თანაც ჩანაწერი... მე და ჩემი თანაგუნდელი პრეტორიიდან იოჰანესბურგში წავედით, „უიტსის უნივერსიტეტში“, სადაც სტუდენტებისთვის იყო ჩვენება და ბილეთები შევიძინეთ, თამაში ფირზე იყო ჩაწერილი, თითქოს კინოში ვიყავით, ანგარიშიც ვიცოდით, მაგრამ ეს მაინც დაუვიწყარი იყო. თუმცა იმ ჩემპიონატიდან მხოლოდ ეს ერთი მატჩი ვნახე. 1978 წელს კი შვედეთში გახლდით და მუნდიალს თვალი დეტალურად ვადევნე.

**- ბოლო მუნდიალებიდან რომელი მატჩები და ნაკრებები დაგამახსოვრდათ განსაკუთრებით?**

- განსაკუთრებით 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს გამოვარჩევდი, რომელშიდაც მეც ვიღებდი მონაწილეობას შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელის რანგში. ყველა მატჩი ძალიან კარგად მახსოვს, განსაკუთრებით პირველი ორი, დეტროიტში ამერიკის წინააღმდეგ და შემდეგ რუმინეთთან დაპირისპირება. ორივე გადახურულ სტადიონზე იმართებოდა, რაც იმ მომენტში რევოლუციური ნოვაცია გახლდათ. როგორც მახსოვს, ევროპაში მსგავსი რამით მხოლოდ არნემი იწონებდა თავს და ასეთ არენაზე გამართული თამაშები განსაკუთრებული სპეციფიკისა გახლდათ.

**- ალბათ, ტენიანობა და სიცხეც განსაკუთრებული იყო, არა?**

- ამ კუთხით პალო ალტოში გამართული ჩვენი მესამე მატჩი მახსენდება, ძალიან ცხელოდა, მზე პირდაპირ კალიფორნიას აცხუნებდა. თუმცა ტენიანობის და სიცხის კუთხით ყველაზე რთული დეტროიტის თამაში იყო. ასეთ დროს ღია სტადიონზეც ძალიან ცხელა და მით უმეტეს, დახურულ არენაზე. ვაშინგტონში შედარებით ნორმალური სიტუაცია გახლდათ - თამაში მოგვიანებით დაიწყო, ტემპერატურა ნორმალური იყო, ჩვეულებრივი სასიამოვნო საზაფხულო დღე გახლდათ.

**- თქვენი აზრით, რა გახდის ბრაზილიის მსოფლიოს ჩემპიონატს განსაკუთრებულს?**

- ჩემი აზრით, ასეთი მოლოდინი ბრაზილიისა და ფეხბურთის ურთიერთობიდან გამომდინარე გვაქვს. ფეხბურთს ყველა ავტომატურად ბრაზილიას უკავშირებს. ერთი მხრივ, ეს ამ ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებული წარმატებების გამოა და მეორე მხრივ, უშუალოდ ბრაზილიელი ფეხბურთელების გამო, რომლებიც მრავლად თამაშობენ მსოფლიოს გარშემო. ვხედავთ რომ კოპაკაბანა თუ ქვეყნის სხვა პლაჟები სავსეა ადამიანებით, რომლებიც ფეხბურთს თამაშობენ... ამ ქვეყანაში ეს სპორტი სიგიჟემდე უყვართ და ფეხბურთელობა ყველასთვის სასურველია. მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი დიდი ზეიმის მოლოდინისა, ბრაზილიის, როგორც ქვეყნის ხასიათია - ქრისტეს ქანდაკება, სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხი, ტემპერამენტი, რიოს სილამაზე, ფერები, სამბა, ცეკვა, კარნავალები... ვფიქრობ, ვინც არ უნდა გააჩერო ქუჩაში და ჰკითხო თუ, სად არის ქრისტეს ქანდაკება, თითქმის ყველა გიპასუხებს - რიო დე ჟანეირო. ასე რომ, ბრაზილია ფეხბურთის გარდა ამ ყველაფერსაც უკავშირდება. თანაც ბევრი ადამიანი არ არის, ვისაც კარგად ახსოვს და უნახავს ბრაზილიაში გამართული 1950 წლის მუნდიალი. ამიტომაც, მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის განსაკუთრებული მოლოდინი გვაქვს.


როი ჰოჯსონი

**გიორგი კაკაბაძე**



● ამბები


ფაბიო კაპელო

## კაპელოს აზრები

**ფაბიო კაპელომ** საინტერესო განცხადება გააკეთა - მისი აზრით, თანამედროვე რეალობაში მწვრთნელის წვლილი ამა თუ იმ შეხვედრის საბოლოო შედეგზე მხოლოდ 15-20%-ია. მსგავსი განცხადება გამოცდილი იტალიელი სპეციალისტისაგან ბევრისთვის ცოტა მოულოდნელი იყო.

*„10%? ცოტაა. 15-20%-ს ვიტყოდი. მწვრთნელმა უნდა სცადოს, რომ მისი ფეხბურთელები გაიხსნან, ფსიქოლოგიურად უნდა დამუხტოს ისინი. მწვრთნელზე ძალიან ბევრი წვრილმანი დეტალია დამოკიდებული, რაც საბოლოოდ შედეგზე აისახება. რაც შეეხება რუსეთის ნაკრებს, არ მინდა ბრაზილიაში ნაადრევად გავემგზავროთ, რადგან ფეხბურთელებზე სერიოზული ზეწოლა იქნება“* - განაცხადა კაპელომ.

## რომამ ბენ არფას თვალი დაადგა

იტალიური „რომა“ ჰატემ **ბენ არფათი** დაინტერესდა. როგორც ამბობენ, „ნიუკასლი“ მზად არის 27 წლის ფეხბურთელს შეელიოს, ოღონდ სოლიდური კომპენსაციის სანაცვლოდ. ბენ არფას ამ სეზონში ტრავმა კი ჰქონდა, მაგრამ ჯამში თავის წარმოჩენა მაინც კარგად მოახერხა და მსურველები მრავლად ჰყავს, თუმცა „გლადიატორები“ შეეცდებიან ყველას აჯობონ და სავარაუდოდ, „კაჭკაჭებთან“ მოლაპარაკებას უახლოეს მომავალში დაიწყებენ.

## ზეედორფი გალათასარაიში?

თურქული „გალათასარაი“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე **კლარენს ზეედორფის** მოწვევას ფიქრობს. სტამბოლელები **რობერტო მანჩინის** მუშაობით ბოლომდე კმაყოფილები არ არიან და იტალიელს ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა გაუფუჭდა. რაც შეეხება 38 წლის ზეედორფს, ჰოლანდიელმა „მილანში“ სიტუაცია შედარებით დაალაგა, მაგრამ ბოლო დროს მასაც დაეძაბა ურთიერთობა უფროსობასთან და ამის გამო შესაძლოა სეზონის ბოლოს „როსონერიდან“ გაუშვან.

**გიორგი კაკაბაძე**



კლარენს ზეედორფი

● მოსაზრება

# ჟოზე მოურინიოს ცვლილებები მართებს

„სქაი სპორტსის“ საფეხბურთო ანალიტიკოსი, „ვესტ ჰემის“, „ფულჰემის“, „ლივერპულისა“ და ირლანდიის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი **რეი ჰაუტონი** მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რას მიაღწევს ჟოზე მოურინიოს „ჩელსი“, თუკი ის „სტემფორდ ბრიჯზე“ დარჩენას დიდხანს გეგმავს, პორტუგალიელს საფეხბურთო ფილოსოფიის შეცვლა და პრაგმატული, წმინდად შედეგზე ორიენტირებული ფეხბურთის ნაცვლად მიმზიდველი სანახაობის ჩვენება მოუწევს, რადგან ასეთია **რომან აბრამოვიჩის** ნება.

კვირას „ენფილდზე“ მოურინიომ ორგანიზებული, მაგრამ მხოლოდ კონტრშეტევებზე აგებული ფეხბურთი გვიჩვენა და „ლივერპული“ უკვე ტრადიციულ სტილში დაამარცხა (2:0). ჰაუტონის მტკიცებით, მხოლოდ შედეგები არ იქნება საკმარისი რუსი ოლიგარქის ამბიციების დასაკმაყოფილებლად, რადგან მას ტიტულები კი ახარებს, მაგრამ ამასთან თამაშის მანერასაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. აი, რას ამბობს ჰაუტონი: „აბრამოვიჩმა რამდენიმე მწვრთნელი დაითხოვა, რადგან გუნდის თამაშის სტილი არ მოსწონდა. მას ღია, გახსნილი ფეხბურთის თამაშის ხილვა სურს, რომელიც გულშემატკივრისთვისაც მისაღები იქნება და ხალხი „სტემფორდ ბრიჯზე“ სწორედ ამ სანახაობისთვის ივლის. თანამედროვე გულშემატკივარი კი უპირატესობას სწორედ შემტევ ფეხბურთს ანიჭებს. რობერტო დი მატეომ, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების მიუხედავად, პოსტი სწორედ ამ მიზეზით ვერ შეინარჩუნა. ეს არის ის, რასაც კლუბის მესაკუთრე ესწრაფვის და დანარჩენი უკვე მწვრთნელზეა დამოკიდებული. იმ თანხების გათვალისწინებით, რაც „ჩელსიმ“ ბოლო წლებში დახარჯა, ლოგიკური იქნებოდა, რომ გუნდისგან უფრო მიმზიდველი ფეხბურთი მოგვეთხოვა“.


ჟოზე მოურინიო

თანამემამულეს არ ეთანხმება მეორე ირლანდიელი საფეხბურთო ექსპერტი **ტონი კასკარინო**, ვინც აცხადებს, რომ „ჩელსის“ ამჟამინდელი შემადგენლობა იდეალურად ჯდება მოურინიოს ფილოსოფიაში და სხვაგვარ ფეხბურთს საკადრო ცვლილებები სჭირდება: „ვფიქრობ, ლონდონელებმა დაამტკიცეს, რომ საუკეთესოდ ორგანიზებული გუნდი ჰყავთ. მათ შემადგენლობაში ვერ ვხედავთ აგუეროს, სუარესის ან სტარიჯის დონის თავდამსხმელს, თუმცა მეორე მხრივ ფეხბურთელები ბოლომდე ერთგულები არიან იმ სტრატეგიის, რის დანერგვასაც მწვრთნელი ცდილობს. მათ იდეალურად იციან საკუთარი როლი პირველიდან ბოლო წუთამდე და მიმაჩნია, რომ მოურინიო ამისთვის განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებს. მიუხედავად ამისა, არ მგონია, რომ „ჩელსიმ“ მუდმივად ამ სტილში თამაში შეძლოს. პორტუგალიელი წუწუნებდა, რომ მას გუნდში არ ჰყავს ექსტრაკლასის თავდამსხმელი, რომ ამჟამინდელ შემტევებს არ აქვთ ის, რაც საჭიროა უმაღლესი მიზნების მისაღწევად. დარწმუნებული ვარ, სწორედ ამ პრობლემის აღმოფხვრა იქნება კლუბის მომდევნო ნაბიჯი. დღეს მოურინიოს მდგომარეობა გუნდში არაერთმნიშვნელოვანია, რადგან რაღაც მომენტში მას აუცილებლად მოუწევს ცოტა უფრო მეტ ავანტიურაზე წასვლა“.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ნიუკასლი

# ფანები პარდიუს წინააღმდეგ



ფანებმა ალან პარდიუს გადადგომისკენ მოუწოდეს

„ნიუკასლმა“ პირველად საკუთარ ისტორიაში პრემიერლიგაში ზედიზედ ექვსი შეხვედრა წააგო, რომელშიც მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა. ბუნებრივია, ამან გულშემატკივრის სამართლიანი წყრომა გამოიწვია. „კაჭკაჭების“ ფანებში გუნდის 52 წლის დამრიგებელ **ალან პარდიუს** მხარდამჭერი თითქმის აღარ შემორჩა. ამის დატური იყო „ემირეიტსზე“ მათ მიერ გადმოფენილი პლაკატი „პარდიუ, წადი“. ტაინსაიდელები 3 მაისს სეზონში უკანასკნელ საშინაო შეხვედრას გამართავენ „კარდიფთან“, რომლის დაწყებამდე ფანკლუბი მწვრთნელის საწინააღმდეგო აქციას გამართავს. მსვლელობა „სენტ ჯეიმს პარკთან“ დასრულდება.

ხალხის გულის მოსაგებად „ნიუკასლის“ მესაკუთრე **მაიკ ეშლი** ზაფხულზე შემადგენლობის გასაძლიერებლად სოლიდური თანხების დახარჯვის პირობას იძლევა. „დეილი მირორის“ ცნობით, ბიუჯეტი არ შემოიფარგლება იანვარში „პარი სენ-ჟერმენისგან“ **იოან კაბაიში** მიღებული 20.5 მილიონი ფუნტით. სახელდება კონკრეტული ფეხბურთელები, ვის ყიდვასაც „ნიუკასლი“ უახლოეს მომავალში შეეცდება. ესენი არიან: **ფრეიზერ ფორსტერი** (სელტიკი, 26 წლის მეკარე), **სიმ დე იონგი** (აიაქსი, 25 წლის, ნახევარმცველი), **ხოელ კემპბელი** (ოლიმპიაკოსი, 21 წლის, გარემარბი). „ნიუკასლი“ ფორსტერს იმ შემთხვევაში შეიძენს, თუკი **ტიმ კრულმა** საბოლოოდ გადაწყვიტა წასვლა, კემპბელის თაობაზე კი მას მოლაპარაკებების გამართვა „არსენალთან“ მოუწევს, ვინც ახალგაზრდა კოსტარიკელის სატრანსფერო უფლებებს განკარგავს. ამას გარდა „ნიუკასლი“ შეეცდება იჯარით აყვანილი ფეხბურთელების გამოსყიდვასაც. მოგეხსენებათ, **ლუკ დე იონგს** კონტრაქტი „მიონხენგლადბახთან“ აკავშირებს, **ლოიკ რემის** - „ქუინზ პარკ რეინჯერსთან“. უკანასკნელის სამსახურით დაინტერესებულები არიან „ტოტენჰემი“, „ევერტონი“, „ლივერპული“, „არსენალი“ და „ბაიერნი“.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ტოტენჰემი

# ურთიერთგამომრიცხავი ცნობები

სულ რაღაც 24 საათის ინტერვალით ამსტერდამსა და ლონდონში ერთსა და იმავე საკითხზე ურთიერთგამომრიცხავი ცნობები გავრცელდა. ჯერ „აიაქსმა“, შემდეგ კი უკვე **ფრანკ დე ბურმა** პირადად დაადასტურეს, რომ „ტოტენჰემის“ წარმომადგენლები დაუკავშირდნენ და მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზეს. „დეზებმა“ კი ინფორმაცია კატეგორიულად უარყვეს. რა გახდა ამის მიზეზი, ნამდვილად ვერ გეტყვით. ფაქტია, რომ კლუბმა **ტიმ შერვუდსაც** უარი უთხრა კონტრაქტზე და ჯერჯერობით არც სხვა მწვრთნელთან გაუფორმებია ხელშეკრულება. გუნდის ამჟამინდელმა დამრიგებელმა რამდენიმე დღის წინ გულდაწყვეტილმა აღნიშნა, რომ მისი კოლეგები კლუბის ხელმძღვანელობას საკუთარ კანდიდატურას ღიად სთავაზობენ, მაშინ, როცა „ტოტენჰემს“ ჯერ კიდევ მოქმედი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. *„ლამის ყოველ პრესკონფერენციაზე მიწევს ჟურნალისტების შეკითხვებზე პასუხის გაცემა, თუ ვის დანიშნავენ ჩემს ადგილას სეზონის დასრულების შემდეგ, ვინ იქნება ეს, ლუი ვან გაალი თუ გლენ ჰოდლი. ზოგიერთი საკუთარი თავის დაუფარავ რეკლამასაც კი ეწევა, რაც გაუმართლებელი საქციელი მგონია,“* - განაცხადა შერვუდმა.

ჩრდილოლონდონელთა თავკაცის მიერ თვითრეკლამირებად სპეციალისტებს შორის მოხსენიებამ „ტოტენჰემისა“, „ჩელსისა“ და ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცი **გლენ ჰოდლი** გააღიზიანა. აი, რაუპასუხა 56 წლის სპეციალისტმა შერვუდს: *„მე მხოლოდ გაზეთებიდან ვიგებ, რომ თურმე ერთი, მეორე და მესამე პოსტის ჩაბარების ფავორიტი ვყოფილვარ, რომ თურმე მზად ვარ, სამწვრთნელო კარიერა განვაახლო და ასე შემდეგ, მაგრამ ეს ასე არ არის. ჭორებთან მე საერთო არაფერი მაქვს“.*

**ლევან ბიბილაშვილი**


ტიმ შერვუდი კოლეგებზე გულნატკენია

## ● კვირა ციფრებში

**დღევანდელ** მიმოხილვაში „აიაქსის“ და „ფენერბაჰჩეს“ ჩემპიონობაზე, „იუვენტუსის“ რეკორდზე, ჩილეში გამართულ საოცარ შეხვედრაზე და მადრიდის „რეალის“ შესანიშნავ ასპარეზობაზე ვისაუბრებთ...



# ტიტულები, ტიტანები და მადრიდული მასტერკლასი

კრიშტიანო რონალდოს გოლის ზედხედი

**93** - ქულა მოაგროვა „იუვენტუსმა“ მიმდინარე სეზონის სერია A-ში და საკლუბო რეკორდი (91 ქულა) დაამხო, რომელიც **ფაბიო კაპელოს** „იუვემ“ 2005/06 წლების სეზონში დაამყარა. ორშაბათს, ტურინულმა გუნდმა „სასუოლოს“ 3:1 მოუგო და 30-ე გამარჯვება მოიპოვა, რაც „ტორინოს“ (1945/46) და „ინტერის“ (2006/07) რეკორდის გამეორებაა. „ბებერ ქალბატონს“ სეზონის დასრულებამდე სამი მატჩი დარჩა და **ანტონიო კონტეს** გუნდს აქვს შანსი, რომ ერთ სეზონში ყველაზე მეტი ქულა მოაგროვოს. ჯერჯერობით, საუკეთესო შედეგი „ინტერს“ ეკუთვნის, რომელმაც ჩემპიონატი 97 ქულით მოიგო.

**კლაუდიო მარკიზიომ** იტალიის ჩემპიონატში თავისი მე-200 მატჩი ჩაატარა და იუბილე გოლით აღნიშნა. თავი გამოიჩინა **კარლოს ტევესმაც**, ვინც რამდენიმე დღით ადრე, „ბენფიკასთანაც“ გაიტანა და ევროთასებზე 5-წლიანი და 27-მატჩიანი უგოლო სერია შეწყვიტა.

კარგი ტური გამოდგა „რომასთვისაც“, რომელმაც „მილანს“ 2:0 მოუგო, ზედიზედ მეცხრე გამარჯვება მოიპოვა და 85 ქულის მოგროვებით ახალი საკლუბო რეკორდი დაამყარა.

**19** - გზის ჩემპიონია „ფენერბაჰჩე“, რომელიც მოპოვებული ტიტულებით „გალათასარაის“ გაუთანაბრდა. თურქული ფეხბურთის გრანდმა ბოლო ოთხი მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო, მაგრამ ჩემპიონობა მაინც სამი ტურით ადრე მოიპოვა. მართალია, უკანასკნელ შეხვედრაში „ფენერმა“ „რიზესპორთან“ 0:0 ითამაშა, მაგრამ მისმა მდევარმა „ბეშიქთაშმა“ „სივასპორთან“ 0:3 წააგო და „ფენერბაჰჩე“ მისთვის მიუწვდომელი გახდა.

**5** - გოლი გაიტანა 47 წუთში **ესტებან პარედესმა**, მისმა „კოლო კოლომ“ კი „ნუბლენსეს“ 5:3 მოუგო. პარედესის კლუბს ისტორიაში 30-ე საჩემპიონო ტიტული ბოლო ტურამდე მოპოვებული ჰქონდა, ამ ხუთი გოლის წყალობით კი 33 წლის ვეტერანმა 16 გოლი დააგროვა და ბომბარდირთა დავაში პირველ ადგილზე მყოფ **დავიდ ლიანოსს** გაუსწრო.

„კოლო კოლოს“ ფორვარდისთვის ეს დღეები მართლაც იდეალური გამოდგა. გარდა იმისა, რომ მან ჩილეს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული მოიპოვა, მოგვიანებით, ჩილეს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ხორხე სამპაოლიმ** ის ნაკრების გაფართოებულ სიაში შეიყვანა, საიდანაც არგენტინელი სპეციალისტი სამუნდიალო შემადგენლობას ამოარჩევს.

**4** - საჩემპიონო ტიტული ზედიზედ - ამსტერდამის „აიაქსმა“ ისტორიაში პირველად მოახერხა ზედიზედ 4-ჯერ გაჩემპიონება. კვირას, „ჰერაკლესთან“ ფრედ (1:1) დასრულებული მატჩის შემდეგ, ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე, „აიაქსსა“ და „ფეიენოორდს“ შორის 4-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა. ამსტერდამელებმა ან უკვე სამოყვარულო „HVV დენ ჰაგის“ („ADO დენ ჰააგში“ არ აგერიოთ) (1899/1900-დან 1902/03 სეზონის ჩათვლით) და „პსვ ეინდჰოვენის“ (ორჯერ: 1985/86-დან 1988/89 სეზონის ჩათვლით და 2004/05-დან 2007/08 სეზონის ჩათვლით) მიღწევა გაიმეორა.

„აიაქსისთვის“ ეს ტიტული ისტორიაში 33-ე იყო და ახლა, ამსტერდამელები უახლოეს მდევარ პსვ-ს უკვე 12 ტიტულით უსწრებენ. გარდა ამისა, ამ გუნდის ქომაგებს შეუძლიათ იამაყონ იმ ფაქტითაც, რომ „ოლიმპიაკოსის“ (41-გზის ჩემპიონი) გარდა, „აიაქსზე“ მეტჯერ საკუთარი ქვეყნის ჩემპიონი ევროპის კონტინენტზე არავინ გამხდარა.

**4** - უპასუხო გოლი გაუტანა მადრიდის „რეალმა“ მიუნხენის „ბაიერნს“ და ამ უკანასკნელს ევროტურნირებზე ყველაზე დიდი მარცხი აგემა. აქამდე, „რეკორდმაისტერის“ ყველაზე სამარცხვინო წაგება 1963 წლის ბაზრობათა თასზე, ზაგრების „დინამოსთან“ 1:4 იყო. გარდა ამისა, საკუთარ მოედანზე ასეთი ანგარიშით „ბაიერნი“ 35 წელიწადი არ დამარცხებულა. უკანასკნელი გუნდი, ვინც მიუნხენელებს 4:0 მოუგო, ბილეფელდის „არმინია“ გახლდათ, რომელმაც ეს 1979 წელს მოახერხა.

„რეალი“, რომელსაც მიუნხენში წინა ათი ვიზიტიდან 1 ფრე და 9 წაგება ჰქონდა, ჩემპიონთა ლიგის (თასის) ფინალში მეცამეტედ გავიდა, რაც რეკორდია. მადრიდელთა მხრიდან ორ-ორი გოლი **სერხიო რამოსმა** და **კრიშტიანო რონალდომ** გაიტანეს. პორტუგალიელმა თავისი მე-15 და მე-16 გოლი შეაგდო და ერთ სეზონში გატანილი ბურთების მიხედვით ჩემპიონთა ლიგის რეკორდი დაამყარა.

## ● რეალი

# ერთი ნაბიჯი მეათემდე

„რეალი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში 12-წლიანი პაუზის შემდეგ გავიდა. „სამეფო კლუბმა“ მიუნხენში ისტორიაში პირველად მოიგო და მართლაც ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. **სერხიო რამოსის** და **კრიშტიანო რონალდოს** ორ-ორი გოლის წყალობით, **კარლო ანჩელოტის** გუნდმა „დესიმამდე“, ანუ ისტორიაში მე-10 ჩემპიონთა თასამდე ბოლოსწინა ნაბიჯი გადადგა.

ისტორიული იყო რონალდოს გოლებიც - პორტუგალიელს ამ სეზონში უკვე 16 გოლი დაუგროვდა, რაც, როგორც ჩემპიონთა ლიგის, ასევე ჩემპიონთა თასის საუკეთესო შედეგია.

თამაშის შემდეგ კმაყოფილი იყო კარლო ანჩელოტი, რომელსაც სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში, „ბაიერნთან“ არასდროს წაუგია (6 მოგება, 2 ფრე):

*„მინდა „რეალის“ ყველა გულშემატკივარს მივულოცო - დღეს ჩვენმა ფეხბურთელებმა შესანიშნავად ითამაშეს. ვიცოდით, რომ მეტოქეს სტანდარტულების დროს შორეულ ძელთან პრობლემები ჰქონდა და ვარჯიშებზე ყურადღებას სწორედ ამაზე ვამახვილებდით. სერხიო რამოსი ფანტასტიკურ სეზონს ატარებს - ის საუკეთესო მცველია მსოფლიოში. მომეწონა ჩვენი ფეხბურთელების თამაში, როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში - განაპირა მცველები და ნახევარმცველები სწრაფი შეტევების დროს წინ კარგად მიდიოდნენ“* - განაცხადა ანჩელოტიმ.

„რეალისთვის“ სამწუხაროდ, ყვითელი ბარათი მიიღო **ჩაბი ალონსომ**, რომელიც ფინალს გამოტოვებს.

ისევ ანჩელოტი: *„ფინალში გასვლა ჩვენი მიზანი იყო. „ბორუსიასთან“ საპასუხო შეხვედრაში კარგად ვერ ვითამაშეთ, მაგრამ იმ მატჩის გარდა, თითქმის ყველა ეტაპზე ძალიან კარგად გამოვიყურებოდით. ჩაბი ალონსო, რა თქმა უნდა, იმედგაცრუებულია და ჩვენ ის ფინალში დაგვაკლდება, მაგრამ ახლა, ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ მოვიგეთ და გადამწყვეტ შეხვედრაში მონაწილეობის უფლება მივიღეთ“.*

ბედნიერი იყო სერხიო რამოსიც, რომელმაც 2012 წელს, სწორედ „ბაიერნთან“ გამართულ 1/2 ფინალში, 11-მეტრიანი ვერ გამოიყენა, თანაც ისე ცუდად დაარტყა, რომ რალაც პერიოდის განმავლობაში, ესპანელი მცველი პენალტის ცუდად შესრულებასთან ასოცირდებოდა:

*„ჩემი ოცნება ასრულდა. მართალია, ჯერ არაფერი მოგვიგია, მაგრამ ფინალში გასვლა ნამდვილად სასიხარულო ფაქტია. „რეალში“ თითქმის 10 წელია ვირიცხები, მაგრამ აქამდე, ჩემპიონთა ლიგის ფინალში არასდროს მითამაშია. ჩვენ ბევრი ვიშრომეთ, თავი გადავდეთ და ეს გამარჯვება დავიმსახურეთ. ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. პირველმა გოლმა „ბაიერნი“ დააბნია, რადგან ისინი ჩვენს შეტევებს და მით უმეტეს, გოლს არ ელოდნენ. ვარჯიშებზე სტანდარტულებს დიდ დროს ვუთმობდით, რადგან ვიცოდით, რომ ჯარიმების თუ კუთხურების დროს, მეტოქეს პრობლემებს აუცილებლად შევუქმნიდით და გვიხარია, რომ ჩვენი მოლოდინი გამართლდა“.*

კრიშტიანო რონალდო: *„ვფიქრობ, ბევრი ადამიანი თვლიდა, რომ ჩვენ აქ გოლის გატანას ვერ მოვახერხებდით, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება. დღეს დავამტკიცეთ, რომ შესანიშნავი გუნდი გვყავს. ფინალში გასვლა დავიმსახურეთ და მინდა ეს ფაქტი ყველას მივულოცო - გულშემატკივრებს, ფეხბურთელებს, მწვრთნელს და მისი შტაბის წევრებს. რა თქმა უნდა, რეკორდის დამყარება გამიხარდა, მაგრამ დღე და ღამე ამ მიღწევაზე ნამდვილად არ ვფიქრობდი“.*

ერთ სეზონში გატანილი გოლების გარდა, ეს დუბლი კიდევ რამდენიმე მიზეზით იყო გამორჩეული. პორტუგალიელმა ჩემპიონთა ლიგაში, „რეალის“ მაისურით 50-ე და 51-ე გოლები გაიტანა და კლუბის ბომბარდირებში **ალფრედო დი სტეფანოს** გადაასწრო. მასზე წინ მხოლოდ **რაულია**, რომელმაც „სამეფო კლუბის“ მაისურით 66 გოლი გაიტანა.

ასევე, რონალდოს ანგარიშზე უკვე 67 გოლია, რითაც ის ჩემპიონთა ლიგის ყველა დროის ბომბარდირებში მეორე ადგილზე მყოფ **ლიონელ მესის** წამოეწია. ამ დუეტს მხოლოდ რაული უსწრებს, რომელმაც „რეალის“ გარდა, კიდევ ხუთი გოლი „შალკეში“ ყოფნის დროს გაიტანა და 71 გოლით პირველ პოზიციასაც იკავებს.



„რეალის“ ფეხბურთელები ფინალში გასვლას ზეიმობენ

## ● ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები



ასუნსიონის „ნასიონალი“ ლიბერტადორესის 1/4 ფინალში ისტორიაში პირველად გავიდა

# სტრონგესტი დეფენსორია

**დეფენს.-სტრონგეს. 2:0 პენ. 4:2 (0:2)**

გოლები: 1:0 დე არასკაეტა (60), 2:0 ნ. ოლივერა (65)

**ველესი-ნასიონალი (ა) 2:2 (0:1)**

გოლები: 1:0 ხ. კორეა (75), 1:1 ს. ტორალესი (79-პენ), 2:1 ხ. კორეა (85), 2:2 დერლის ორუე (90+4)

**გაძევება:** ლ. რომერო (78. ველეს სარსფილდი), კანტეროსი (87. ველეს სარსფილდი)

ლიბერტადორესის თასზე მერვედფინალის კიდევ ორი საპასუხო მატჩი გაიმართა. ორივე შეხვედრა ძალიან დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ურუგვაიში, ამ ქვეყნის ერთადერთმა შემორჩენილმა წარმომადგენელმა, „დეფენსორ სპორტინგმა“ ბოლივიურ „სტრონგესტს“ უმასპინძლა და ორბურთიანი ჩამორჩენა მეორე ტაიმის შუაში, 5-წუთიან მონაკვეთში აღმოფხვრა. შეხვედრის გმირები, 20 წლის ამომავალი ვარსკვლავი, **ჯიორჯიან დე არასკაეტა** და 35 წლის ვეტერანი, ცვლილებაზე შემოსული **ნიკოლას ოლივერა** გახდნენ. მასპინძელთა ნახევარმცველებმა ერთმანეთს გაატანინეს - მე-60 წუთზე ოლივერას პასით დე არასკაეტამ იხეირა, 5 წუთის შემდეგ კი მოთამაშეებმა როლები გაცვალეს. ძირითადი დრო ასეც დასრულდა, პენალტების სერიაში კი უკეთ ურუგვაელები გაისარჯნენ - 4:2. გადამწყვეტი 11-მეტრიანი იმავე ოლივერამ შეასრულა და „დეფენსორი“ 1/4 ფინალში გაიყვანა.

რვა საუკეთესოს შორის მოხვდა ასუნსიონის „ნასიონალიც“, რომელმაც მინი-სენსაცია მოახდინა და „ველეს სარსფილდს“ აჯობა. პარაგვაის დედაქალაქში გამართული მატჩი მასპინძლებმა 1:0 მოიგეს და ამ მინიმალურ უპირატესობას „ნასიონალის“ ფეხბურთელები საპასუხო შეხვედრის 75-ე წუთამდე ინარჩუნებდნენ. მატჩის ბოლო 15 წუთში კი უამრავი საინტერესო რამ მოხდა. ჯერ 20 წლის **ხორხე კორეამ** გაიტანა და ორი მატჩის ჯამში ანგარიში გაათანაბრა, თუმცა სულ რამდენიმე წუთში, კიდევ ერთმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა, **ლუკას რომერომ** საჯარიმოში იუხეშა, რასაც მისი გაძევება და 11-მეტრიანის დანიშვნა მოჰყვა. **სილვიო ტორალესმა** ანგარიში გაათანაბრა და „ველესი“ უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო - 10 კაცით დარჩენილ მასპინძლებს ორი გოლი სჭირდებოდათ. ერთი ხორხე კორეამ 85-ე წუთზე გაიტანა, რის შემდეგაც არბიტრმა მეორე ყვითელი უკვე **ექტორ კანტეროსს** უჩვენა. მიუხედავად იმისა, რომ არგენტინელებს მეტოქესთან შედარებით ორი კაცით ნაკლები ჰყავდათ, **„ტურო“ ფლორესის** შეგირდებმა ბოლომდე გაიბრძოლეს, მაგრამ მე-4 დამატებულ წუთზე გოლი აქეთ გაუშვეს - 2:2.

„დეფენსორი“ 1/4 ფინალში „ატლეტიკო მინეიროს“ და „ატლეტიკო ნასიონალის“ წყვილში გამარჯვებულს შეხვდება, „ნასიონალის“ მეტოქეს კი სარანდის „არსენალი“ და ჩილეს „უნიონ ესპანიოლა“ გაარკვევენ.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# მიუნხენი შოკშია

## რატომ ჩაიძირა რეკორდმაისტერი?

**„რეალთან" 0:4-ის შემდეგ საფეხბურთო გერმანია შოკირებულია. არა იმიტომ, რომ „ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგის ფინალში ვერ გავიდა, ლისაბონში ვერ წავა და შარშანდელ ჰეთთრიკს ვერ გაიმეორებს, არამედ, პირველ რიგში, იმ ანგარიშის გამო, რომელიც გუშინწინ, საფინალო სასტვენის შემდეგ მიუნხენის „ალიანც არენას" ტაბლოზე ენთო. ცოტა ხნის წინ მსოფლიოში საუკეთესო კლუბად ცნობილი რეკორდმაისტერი, რომელსაც ყველა დროის საუკეთესო „ბაიერნსაც" კი უწოდებდნენ, „რეალთან" საკუთარ მოედანზე 0:4 განადგურდა, ორი მატჩის ჯამში კი სულაც 0:5 დამარცხდა.**

ეს არის ყველაზე დიდი ანგარიშით მარცხი **ხოსეპ გვარდიოლას** სამწვრთნელო კარიერაში და ყველა დროის ყველაზე სამარცხვინო საშინაო წაგება „ბაიერნის" ევროსარბიელურ ისტორიაში. ცხადია, მიუნხენური კლუბი ორი მატჩის ჯამში აქამდე 0:5-ზეც არასდროს დამარცხებულა.

*„0:4 ძალიან მწარე დარტყმაა. ასეთი განადგურებული არასდროს ვყოფილვარ. მაგრამ ეს წაგება უნდა მივიღოთ, სახლში წავიდეთ, ვიტიროთ და მერე მომავალზე ვიფიქროთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წინ გერმანიის თასის ფინალი გველის, თანაც „დორტმუნდთან" - გუნდთან, რომელიც დღე და ღამ ჩვენს დამარცხებაზე ოცნებობს,"* - განადგურებული იყო მატჩის შემდეგ **არიენ რობენი**. გერმანიის თასის ფინალი 17 მაისსაა და „დორტმუნდთან" დუელი მართლაც ძალიან პრინციპულია (მით უმეტეს, ევროპაში შერცხვენის შემდეგ), მაგრამ თუ მიუნხენელები თასის ფინალშიც ისე ითამაშებენ, როგორც „რეალთან" ითამაშეს, „დორტმუნდი" უპირობო ფავორიტი იქნება.

### გვარდიოლა: პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ!

ასეთი თამაში და, მით უმეტეს, ასეთი ანგარიში „ბაიერნის" თავკაც **ხოსეპ გვარდიოლას** ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც კი არ დაესიზმრებოდა: *„ტაქტიკა ჩემი პასუხისმგებლობაა. მე შევცდი. ძალიან ცოტა მომენტი შევქმენით. პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ!"* - აღიარა პეპმა მატჩის შემდეგ.

ჩვენი გერმანელი კოლეგები განსაკუთრებით მრისხანე კომენტარებს რეკორდმაისტერის სპორტული დირექტორისგან, **მათიას ზამერისგან** ელოდებოდნენ, მაგრამ ეს უკანასკნელი საკმაოდ მშვიდი განცხადებით შემოიფარგლა: *„რა თქმა უნდა, ბევრი რამ არ იყო ისე, როგორც უნდა ყოფილიყო. ამაზე ორი აზრიც არ არსებობს. მაგრამ ახლა ქაოსურად კი არ უნდა ვიმოქმედოთ, არამედ მომხდარი მშვიდად უნდა გავაანალიზოთ,"* - აღნიშნა ზამერმა.

სანამ „ბაიერნის" ხელმძღვანელები ყველაფერს გააანალიზებენ და მერე თავიანთ მოსაზრებებს საზოგადოებას გაანდობენ, ჩვენ ვცადოთ იმ ყველაფრის გაანალიზება, რაც „ბაიერნს" დაემართა.



ხოსეპ გვარდიოლამ შეცდომა აღიარა

### ფაქტები

„ბაიერნმა" გერმანიის ჩემპიონობა სარეკორდო დროში, ბუნდესლიგის 27-ე ტურში გაინაღდა. აშკარაა, რომ მას მერე მიუნხენელებს ჩავარდნა დაეწყოთ - ოღონდ დაღმასვლას არავინ აღიარებდა, რადგან რეკორდმაისტერს გერმანიის ჩემპიონობა განაღდებული ჰქონდა და გოლების გაშვება თუ ქულების დაკარგვა პრობლემად არავინ აღიქვა. თუკი ჩემპიონობის განაღდებამდე „ბაიერნი" დაუმარცხებელი იყო, 27-ე ტურის შემდეგ გვარდიოლას გუნდმა ოთხი თამაში ისე წააგო, ერთი გოლიც კი არ გაუტანია.

ჩემპიონობის განაღდების შემდეგ ჩატარებული 10 მატჩიდან, „ბაიერნს" 8 შეხვედრაში ანგარიში გაუხსნეს. ის ორი თამაში კი, რომელშიც „ბაიერნმა" გახსნა ანგარიში, „ბრაუნშვაიგთან" და „კაიზერსლაუტერნთან" (თასზე) მატჩები იყო. ეს კონცენტრაციის დაქვეითების დასტურია.

ცუდ ფორმაში მყოფი „მანჩესტერ იუნაიტედის" ბარიერის გადალახვამ „ბაიერნის" მწვრთნელსა და ხელმძღვანელებს თვალები ვერ აუხილა. „რეალთან" კი პრობლემის წინაშე დამდგარმა რეკორდმაისტერმა რეაგირება ვერ შეძლო! ორი მატჩის ჯამში პეპის ბიჭებმა მადრიდულ გრანდთან მხოლოდ სამი კარგი მომენტი შექმნეს.

*„მონდომებისა, ცივსისხლიანობის და კონცენტრაციის პრობლემა გამოჩნდა,"* - ეს „ბაიერნის" ბოსის, **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** სიტყვებია.



შვაინიმ თამაში აშკარად ჩააგდო

### მიზეზები

„ბაიერნის" აქტუალური შემადგენლობის წევრთა უმრავლესობა სამი წელია, შესაძლებლობების ზღვარზე თამაშობს.

2011/2012 წლების სეზონში, **იუპ ჰაინკესის** ხელმძღვანელობით მიუნხენურმა კლუბმა სამივე ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა - ბუნდესლიგაში „დორტმუნდს" ჩამორჩა, გერმანიის თასიც „დორტმუნდთან" წააგო (2:5), ჩემპიონთა ლიგის ფინალი კი საკუთარ მოედანზე, „ჩელსისთან" დათმო.

მიუხედავად ამისა, მომდევნო სეზონში ჰაინკესის ფორმაციის „ბაიერნმა" ძალები მოიკრიბა და ისტორიული ჰეთთრიკი შეასრულა, რის შემდეგაც ხელმძღვანელებმა მწვრთნელი შეცვალეს, რის გამოც დღეს უკვე კრიტიკის მოსმენა უწევთ. თუმცა აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ გვარდიოლას დანიშვნა მათ იმაზე გაცილებით ადრე ჰქონდათ გადაწყვეტილი და გახმაურებული, სანამ ჰაინკესი „ბაიერნს" ჩემპიონთა ლიგას მოაგებინებდა. ესეც ერთგვარი პარადოქსია. ტიპური გერმანული პარადოქსი.

თუმცა გვარდიოლას ხელში „ბაიერნმა" კიდევ უფრო ლამაზი, კიდევ უფრო გააზრებული და ეფექტური ფეხბურთის თამაში დაიწყო, ტიტულებიც მოიგო (ევროპის სუპერთასი, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონობა, ბუნდესლიგა) და, ერთი სიტყვით, ამ სეზონში მართლაც თვალსასეირო ფეხბურთს თამაშობდა.

ოღონდ მანამ, სანამ გვარდიოლამ ბუნდესლიგის 27-ე ტურში ჩემპიონობის განაღდების შემდეგ კონკრეტულად ბუნდესლიგის სეზონი დასრულებულად არ გამოაცხადა.

*„ბუნდესლიგა უკვე წარსულია. „ვერცხლის სინი" ვიტრინაში გვიდევს!"* - თქვა მაშინ პეპმა და მისი სიტყვები ფეხბურთელებმაც სიამოვნებით გაიმეორეს მოედანზე. გვარდიოლას ასეთ განცხადებაზე გუნდის რეაქცია აბსოლუტურად ადამიანური იყო: ბიჭებმა ამოისუნთქეს და მოეშვნენ.

გვარდიოლამ კი უდიდესი როტაციით ცეცხლზე ნავთი დაასხა. თუკი მანამდე „ბაიერნის" ძირითადი შემადგენლობისთვის გერმანიის ჩემპიონატის მატჩები ჩემპიონთა ლიგის დუელების მშვენიერი რეპეტიციები იყო, როტაციისა და მოშვების შემდეგ ბურთის ფლობაზე დამყარებულმა ტაქტიკამ ტემპი, სიმსუბუქე და მრისხანება დაკარგა - ჯერ ბუნდესლიგაში, მერე კი, შესაბამისად, ჩემპიონთა ლიგაშიც.

„რეალთან" მატჩის შემდეგ პეპმა ისიც თქვა, შესაძლოა, სწორედ ის იყო ჩემი შეცდომა, რომ ჩემპიონობის განაღდების შემდეგ როტაცია დავიწყეო.

ახლა კი ფაქტია, რომ გვარდიოლამ მასზე 15 წლით უფროსი **კარლო ანჩელოტისგან**, რომელსაც ჩემპიონთა ლიგა ფეხბურთელისა და მწვრთნელის რანგში ორ-ორჯერ აქვს მოგებული, შესანიშნავი ლექცია მოისმინა იმის შესახებ, რომ ერთი შეხედვით ძველმოდური, პრესინგსა და კონტრიერიშებზე აგებული 4-4-2 (მადრიდში) და დამუშავებულ სტანდარტულებს (საპასუხო მატჩში) დამატებული ბრძოლისუნარიანობა დიახაც ამარცხებს თანამედროვე „ტიკი-ტაკას".

### შედეგები

ორი აზრი არ არსებობს, რომ გვარდიოლა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო და წარმატებული მწვრთნელია, რომელსაც ახლა „ბაიერნის" ხელმძღვანელებთან ნამდვილად მოუწევს იმაზე საუბარი, თუ როგორ აპირებს მუშაობის გაგრძელებას და გუნდის განვითარებას. უშუალოდ მატჩის შემდეგ პეპმა თქვა: *„ჩვენ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, არის თუ არა ეს (სისტემა - ავტ) ამ ფეხბურთელებისთვის საუკეთესო."*

გვარდიოლას ეს განცხადება ორ რამეს შეიძლება ნიშნავდეს: ტაქტიკის შეცვლას, ან ახალი ფეხბურთელების მოთხოვნას. სავარაუდოდ, პეპმა ამ სიტყვებით სწორედ გუნდის გაძლიერება მოითხოვა. ამის თქმის საფუძველს მისი მომდევნო წინადადება გვაძლევს: *„მე არ შემიძლია იმის შეცვლა, რაც მიყვარს. მიყვარს, როცა ჩემი გუნდი ბურთით თამაშობს."*

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გვარდიოლას ხელში „ბაიერნის" მომავალი მთავარი სტრატეგი მოქნილი ნახევარმცველი ესპანელი **ტიაგო ალკანტარაა** და არა **ბასტიან შვაინშტაიგერი**, რომელსაც მნიშვნელოვან მატჩებში ჩავარდნები ახასიათებს.

„რეალთან" დუელებში ისიც გამოჩნდა, რომ „ბაიერნმა" დაცვის ცენტრიც უნდა გააძლიეროს, დაცვის მარცხენა ფლანგზე კი **დავიდ ალაბას** ერთი კარგი კონკურენტი სჭირდება, თორემ უკვე ზედმეტად თავდაჯერებული და შესაბამისად, მოდუნებულია. გვარდიოლას ბოსებისთვის, სავარაუდოდ, იმის ახსნაც მოუწევს, თუ რატომ არ ენდობა **თომას მიულერს** უფრო ხშირად და რატომ სხედან „ბაიერნის" ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული შენაძენები, **ხავი მარტინესი** (40 მილიონი) და **მარიო გიოტცე** (37 მილიონი) უმეტესად სათადარიგოთა სკამზე...

„რეალთან" 0:4-ის შემდეგ საფეხბურთო გერმანია შოკირებულია, ექსპერტები კი ახლა იმას შიშობენ, ეს შოკი „ბაიერნის" ფეხბურთელებით დახუნძლულ გერმანიის ნაკრებსაც არ გადაედოს. წინ ხომ მსოფლიოს ჩემპიონატია, რომელზეც გერმანია ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტადაა შერაცხილი.

### რიბერი: არაფერსაც არ ვნანობ!

**ფრანკ რიბერიმ** 44-ე წუთზე „რეალის" მარჯვენა მცველ **დანიელ კარვახალს** სახეში ხელი გაარტყა და მსაჯს ეს მომენტი რომ შეემჩნია, მიუნხენელთა ფრანგი ნახევარმცველი აუცილებლად წითელ ბარათს მიიღებდა.

*„მანაც მომარტყა. ეს ჩემპიონთა ლიგაა. არაფერსაც არ ვნანობ!"* - განაცხადა რიბერიმ მატჩის შემდეგ. დიდი შანსია, რომ რიბერი უეფამ დასაჯოს.

---

დორტმუნდის ბორუსია

# ვის იყიდის კლოპი?

## დორტმუნდთან ყველაზე ახლოს ჩირო იმობილეა

**დორტმუნდის „ბორუსიამ" ბუნდესლიგაში მეორე ადგილი, ანუ გერმანიის ვიცე-ჩემპიონობა და, შესაბამისად, მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაში გაინაღდა, რაც დამატებით მილიონების განაღდებასაც ნიშნავს. ახლა საინტერესო ისაა, თუ როგორ და რომელ ფეხბურთელებში დააბანდებს „დორტმუნდი" ამ ფულს.**

როგორც იცით, გადაწყვეტილია, რომ დორტმუნდის „ბორუსიას" **რობერტ ლევანდოვსკი** დატოვებს. სანაცვლოდ, „ბორუსიამ" უკვე გაიფორმა ბერლინის „ჰერტას" 28 წლის თავდამსხმელი **ადრიან რამოსი** (9 მილიონად) და „აუგსბურგის" 22 წლის ნინახავზელი **დონ-ვონ ჯი** (უფასოდ). ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ „ფრაიბურგის" ნიჭიერი მცველი, 20 წლის **მათიას გინტერიც იურგენ კლოპის** შეგირდი გახდება.

თუმცა ისიც ცხადია, რომ დორტმუნდელთა სატრანსფერო გეგმები ამით არ ამოიწურება. კლუბის პრეზიდენტმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ** უკვე თქვა, ზაფხულში ფულის დახარჯვას ვაპირებთო. „ბილდის" ინფორმაციით, დორტმუნდელები პირველ რიგში კიდევ ერთ ტოპ-თავდამსხმელს ეძებენ. გავრცელდა ჭორები „რეალის" ფრანგ ფორვარდ **ქარიმ ბენზემას** და ბრაზილიელი **ჟოს** შესახებ, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, რომელიმე მათგანის „დორტმუნდში" გადაბარგება ნაკლებად სავარაუდოა. უფრო რეალური კანდიდატი სამია - ჰოფენჰაიმელი **რობერტო ფირმინო**, მანჩესტერელი **შინჯი კაგავა**, რომელიც „იუნაიტედში" სწორედ „დორტმუნდიდან" გადავიდა და იტალიური „ტორინოს" გოლეადორი **ჩირო იმობილე**.



ჩირო იმობილე



იურგენ კლოპი

„ჰოფენჰაიმის" 22 წლის ნინახავზელი რობერტო ფირმინო პირველ რიგში გამთამაშებელია, თუმცა გარემარბისა და ცენტრფორვარდის პოზიციებზეც შეუძლია თამაში. „დორტმუნდი" ფირმინოთი შარშანაც იყო დაინტერესებული, ახლა კი ბრაზილიელმა „ჰოფესთან" ახალი კონტრაქტი (2017 წლამდე) გააფორმა. „ბილდის" ცნობით, უფრო რეალური ისაა, რომ ფირმინო „ჰოფენჰაიმში" კიდევ ერთი წელი დარჩეს.

რაც შეეხება შინჯი კაგავას: 25 წლის იაპონელის დაბრუნებაზე „დორტმუნდის" ყველა გულშემატკივარი ოცნებობს. ცნობილია, რომ კაგავა მანჩესტერში ბედნიერი არაა, მაგრამ მას მერე, რაც **დევიდ მოიესი** გაათავისუფლეს, იაპონელს ახალი იმედები გაუჩნდა. მას ურჩევნია, „იუნაიტედში" კიდევ ერთხელ სცადოს ბედი.

„ბილდის" ინფორმაციით, ყველაზე რეალური 24 წლის იტალიელი თავდამსხმელის, ჩირო იმობილეს ტრანსფერია. „ტორინოს" გოლეადორს იტალიის მიმდინარე ჩემპიონატში 21 გოლი აქვს გატანილი და ბომბარდირთა დავაში პირველ ადგილზეა. როგორც ირკვევა, კლოპს იმობილე ძალიან მოსწონს. პრობლემა ისაა, რომ ჩიროს სატრანსფერო უფლებების ნახევარი „იუვენტუსს" ეკუთვნის. თუმცა, თუ „ბორუსიას" ბოსები სერიოზულად მოინდომებენ, იმობილეს დაითანხმებენ კიდეც.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

# მადრიდული ეიფორია

**ჩელსი–ატლეტიკო 1:3**

პირველი მატჩი 0:0

**გოლები:** 1:0 ტორესი (36), 1:1 ადრიანი (44), 1:2 დიეგო კოშტა (61-პენ), 1:3 არდა თურანი (72)

**ჩელსი (4-2-3-1):** შვარცერი - ივანოვიჩი, კეჰილი, ტერი, კოული (54. ეტო'ო) - დავიდ ლუიზი, რამირესი - ვილიანი (77. შიურლე), აზარი, ასპილიკუეტა - ტორესი (67. ბა).

**ატლეტიკო (4-4-2):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - ტიაგო, მარიო სუარესი - კოკე, არდა თურანი (83. კ. როდრიგესი) - ადრიანი (66. რაულ გარსია), დიეგო კოშტა (76. სოსა).

**გაფრთხილება:** კეჰილი - დიეგო კოშტა, ადრიანი.

**კუთხური:** 4-9; **ჯარიმა:** 12-18; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 17-14(10-10); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 37 918

**არბიტრი:** ნიკოლა რიცოლი (იტალია)

ორივე გუნდს დისკვალიფიცირებული კაპიტანი აკლდა: „ჩელსის" - **ფრენკ ლემპარდი,** ხოლო „ატლეტიკოს" - **გაბი.** მასპინძლებს ასევე **პეტრ ჩეხი და ჯონ ობი მიკელი** არ ჰყავდათ. სხვა მხრივ კი შემადგენლობები საბრძოლო იყო და ლონდონელთა განაცხადში ყველა ის ფეხბურთელი მოხვდა, რომლის თამაშიც საეჭვო გახლდათ.

**ჟოზე მოურინიოსთვის** მთავარი **ედენ აზარის** მომჯობინება იყო. თუმცა ბელგიელს ეტყობოდა, რომ ტრავმამ ფორმიდან ამოაგდო. აზარს მონდომებას ვერ დავუკარგავთ, მაგრამ მინდორზე ჩვეულად ვერ დაფარფატებდა.

ალვნიშნოთ, რომ პორტუგალიელმა სპეციალისტმა 6 ნომინალური მცველი დააყენა, მაგრამ **სესარ ასპილიკუეტა** ფლანგზე უფრო შემტევ ნახევარმცველად გვევლინებოდა, ხოლო **დავიდ ლუიზი** ნახევარდაცვის ცენტრში მოქმედებდა, რასაც მიჩვეულები ვართ.

**დიეგო სიმეონემ** კი ერთგვარ სიურპრიზად ის შემოგვთავაზა, რომ ამჯერად ძირითადში გაამწესა **ადრიანი, დიეგო კოშტას** შეუწყვილა.


ჩელსის ატლეტიკოსგან მწარე ალიყური მოხვდა

„ჩოლოს" გუნდი კინალამ დასაწყისშივე დაწინაურდა, როცა **კოკეს** გამჭოლ გადაცემას რიკოშეტი მოჰყვა - ბურთი ლონდონელთა კარის ხარიხასა და ძელს მოხვდა, ხოლო მომდევნო რიკოშეტის მერე კარს გადასცდა.

სწორედ ასპილიკუეტამ გააკეთა გადაცემა **ვილიანის** აქტიური და კარგი თამაშის მერე, როცა **ფერნანდო ტორესმა** დაარტყა და **მარიო სუარესისგან** ბურთი მადრიდელთა კარში აღმოჩნდა. „ელ ნინიომ" ყოფილ და, შეიძლება ითქვას, მშობლიურ კლუბს პატივი სცა და არ იზეიმა.

გარდამტეხი მომენტი კი 44-ე წუთზე მოხდა, როცა დიდებულად მოთამაშე კოკეს ჩაწოდებულ ბურთს შეუჩერებელი **ხუანფრანი** მარცხენა ფლანგიდან შეეგება, „ლურჯების" დაცვა, კაპიტან **ჯონ ტერის** თამადობით, ჩავარდა და **ადრიანმა** ზუსტად დაარტყა - 1:1.

სიმეონეს ტყუილად არ უთქვამს - ადრიანის დაბრუნება შეტევაში მრავალფეროვნებას შეგვმატებს და ძალიან მიხარია, რომ ფორმა აღიდგინა და ისევ ძველი ადრიანიაო...

ტერი ჩვეული თავგანწირვით თამაშობდა, მაგრამ აშკარად არ იყო ბოლომდე მზად. ამასთან, მთლიანად ლონდონელთა დაცვაც სცოდავდა, განსაკუთრებით მარცხენა ფლანგი, რომელიც სავალალოდ გამოიყურებოდა - ხუანფრანს ვერაფერს უხერხებდნენ.

მოურინიომ ამის გამოსწორება სცადა და 54-ე წუთზე საბედისწერო შეცვლა გააკეთა - ერთი მხრივ, დაცვის მარცხენა ფლანგს კოშმარულად მოთამაშე **ეშლი კოული** მოაცილა და ასპილიკუეტა უკან დახია, ხოლო მეორე მხრივ, მინდორზე **სამუელ ეტო'ო** შეუშვა შეტევის გასაძლიერებლად. თუმცა დაცვაში იგივე პრობლემები დარჩა, ხოლო კამერუნელმა...

...დიეგო კოშტამ ეტო'ოს დაასწრო, ამ უკანასკნელმა კი მას ფეხი მიარტყა, ხოლო იტალიელმა არბიტრმა **ნიკოლა რიცოლიმ** პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა. ბურთთან თავად დიეგო კოშტა მივიდა, დიდხანს ტკეპნა თერთმეტმეტრიანის წერტილი, მასპინძელთა ნერვებზეც ითამაშა, არბიტრისგან ყვითელი ბარათიც მიიღო და გოლიც გაიტანა - 1:2.

„ჩელსიმ" გაბრძოლება სცადა და ერთი-ორი მომენტიც ჰქონდა - დავიდ ლუიზის დარტყმული ძელს მოხვდა, შემდეგ **ტიბო კურტუას** რეაქცია იყო გამოსარჩევი, მაგრამ ჯამში, „ატლეტიკომ" მეორე ტაიმში მეტოქეს ძალიან აჯობა. ლონდონელები კი ზედმეტად ბევრ შეცდომას უშვებდნენ იმისთვის, რომ თამაში შემოეტრიალებინათ.

საბოლოო წერტილი **არდა თურანმა** დასვა, როცა ხუანფრანმა კიდევ ერთხელ ააწიოკა თავისი ფლანგი (ტყუილად არ დასახელდა მატჩის საუკეთესო მოთამაშედ), თურქმა თავურით ძელს მოარტყა ბურთი და იქიდან ასხლეტილს თავადვე დაამატა - მოურინიო, „ჩელსითურთ", კიდევ ერთხელ დამარცხდა ნახევარფინალში - 1:3.

ამ ტურნირის ისტორიაში (ჩემპიონთა თასის ჩათვლით) პირველად შედგება ფინალი, რომელშიც ერთი ქალაქის გუნდები ითამაშებენ. მადრიდი სრულ ეიფორიაშია. უშუალოდ ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ატლეტიკო" პირველად გავიდა, ჩემპიონთა თასის ფინალში კი „ათლეტებმა" ერთხელ ითამაშეს.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს დამსახურებულია. „როხიბლანკოს" არნახული სეზონი აქვს. ამ მომენტში „ატლეტიკო" უფრო ძლიერი გუნდია, ვიდრე „ჩელსი". გადამწყვეტი როლი გუნდურობამ ითამაშა. სიმეონემ კი ტაქტიკურ დუელში აჯობა მოურინიოს და ლიგის ფინალში გუნდი წაუგებლად გაიყვანა.

**გიორგი პაპაბაძე**






ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. პრესკონფერენცია

# პრობლემები წარმატებების ფონზე

გუშინ სასტუმრო „რედისონში“ პრესკონფერენცია გამართეს საფრანგეთიდან დაბრუნებულმა ძიუდოისტებმა, სადაც დიდი წარმატებით იჭიდავეს ევროპის ჩემპიონატში - პირადში 2-2 ოქრო-ვერცხლი მოიპოვეს, გუნდურში კი ზედიზედ მესამედ, ხოლო ისტორიაში მეშვიდედ გაიმარჯვეს. პრესკონფერენციას ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი დავით ქევხიშვილი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ირაკლი უზნაძე, ევროპის ჩემპიონები - ავთანდილ ჭრიკიშვილი (81), ვალერი ლიპარტელიანი (90), ვიცე-ჩემპიონი ადამ ოქრუაშვილი (+100), პირადი მწვრთნელები და ნაკრების თითქმის მთელი შემადგენლობა ესწრებოდა. თუმცა პრესკონფერენცია უფრო პრობლემებით დატვირთული გამოდგა, ვიდრე - ალმატებული ხარისხისა, ქართული ძიუდო იმდენი პრობლემის წინაშეა, ამათგან უმთავრესი კი საკუთარი ბაზის არქონაა.



მარცხნიდან: ზურაბ უსუფაშვილი, ავთანდილ ჭრიკიშვილი ,ადამ ოქრუაშვილი, ვარლამ ლიპარტელიანი, დავით ქევხიშვილი, ირაკლი უზნაძე, გურამ მოდებაძე
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

პრესკონფერენციის დასაწყისში ქომაგებსა და თავად სპორტსმენებს ფრანგული წარმატება ქევხიშვილმა და უზნაძემ მიულოცეს. თან აღნიშნეს, რომ ეს მიღწევა მთელი გუნდის - სპორტსმენების, მწვრთნელების, ფედერაციის, ექიმების ერთობლივი, კოორდინირებული მუშაობის შედეგია, თორემ ამის გარეშე ეს სასიხარულო ამბავი არ იქნებოდა. განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს ექიმთა ჯგუფს დახმარებისთვის, რადგან ნაკრებში რამდენიმე ტრავმირებული სპორტსმენი იყო. მათ შორის - ორივე ჩემპიონი, მაგრამ მათი დახმარებით მოახერხეს ტურნირის ბოლომდე და, რაც მთავარია, წარმატებით ჩამთავრება. მთავარი მწვრთნელი უზნაძე გუნდის გამოსვლასაც შეეხო და დადებითთან ერთად მსოფლიოსთვის გამოსასწორებელ პრობლემებზეც ილაპარაკა:

„ბიჭებმა საუცხოოდ იჭიდავეს როგორც პირადში, ასევე - გუნდურშიც. გუნდური ტურნირი ისეთ ფენომენად ჩამოყალიბდა, რომ მეტოქეები დათრგუნულები გამოდიან ჩვენთან საჭიდაოდ. ვიმედოვნებ, ეს ქართული სულისკვეთება, ქართული ჟინი კიდევ დიდხანს გაჰყვება ჩვენს ნაკრებს. პირად პირველობაში შეიძლებოდა უკეთესი შედეგის ჩვენებაც, მაგრამ გარკვეული მიზეზებით ასე არ მოხდა. 9 სპორტსმენიდან 8 შვიდეულში დარჩა, 4-მა კი მედალი მოიპოვა. აქედანაც ჩანს, რომ გუნდი კარგად იყო მომზადებული. ჩემპიონებმა საუცხოო ჭიდაობა აჩვენეს. ვიმედოვნებთ, მსოფლიოს პირველობისთვის კიდევ უფრო უკეთ მოვემზადებით, გარკვეულ შეცდომებს გამოვასწორებთ და კარგი შედეგით დავბრუნდებით. ოქროს მოპოვება პაპინაშვილსაც შეეძლო, მაგრამ ბოლო წუთებზე დასანანი შეცდომები დაუშვა და წააგო. მსოფლიოსთვის ეს ხარვეზები უნდა გამოვასწოროთ. ოქრუაშვილმა დაამსხვრია მითი რინერის დაუმარცხებლობის შესახებ - მსაჯების არაობიექტურობა რომ არა, ისიც ოქროს მედლით დაბრუნდებოდა, თუმცა ესეც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შემოვინახოთ“.

ახლა კი იმ პრობლემაზეც, რასაც პრესკონფერენციის უმეტესი ნაწილი დაეთმო - საკუთარი დარბაზის არქონა. მოგეხსენებათ, შარშანდელი ანალოგიური წარმატების შემდეგ მათ ქვეყნის მაშინდელი პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი** ძიუდოს სასახლის აშენებას შეჰპირდა, მაგრამ ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. როგორც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, მისი აშენება დროებით შეჩერდა, თუმცა რა პერიოდს მოიცავს ეს „დროებით“, ვერავინ აკონკრეტებს. ოღონდ ძიუდოისტები ახლა არა ახალ ბაზაზე, არამედ უკვე არსებული ძიუდოს აკადემიის ბედზე დარდობენ. ის თბილისის მერიის ბალანსზეა და ახლა იქ რემონტი მიმდინარეობს - „თბილისი-2015“ ერთ-ერთი ძირითადი ბაზაა, მაგრამ გაურკვეველია, ვის დარჩება მისი დასრულების შემდეგ - ისევ მერიას თუ ფედერაციას. თურმე უცხოელებს არ სჯერათ, რომ ჩვენს ნაკრებს დარბაზი არ გააჩნია.

„კურიოზია, როცა დარბაზის გარეშე აღწევ ამხელა წარმატებას. არ მინდა, ამ ხელისუფლებამაც გაიმეოროს წინამორბედის შეცდომა და მოტყუებული დარჩეს არა ერთი კონკრეტული ძიუდოისტი, არამედ ზოგადად ეს სფერო. იყო დაპირება, რომ ახლანდელი დარბაზი გადმოგვეცემოდა, მაგრამ არ შესრულდა. ვიმედოვნებ, ახალ ხელისუფლებასთან დაწყებული მოლაპარაკება შედეგს გამოიღებს და 2015 წლის ახალგაზრდული ფესტივალის შემდეგ იქაურობა ძიუდოს საკუთრება გახდება. ეს ცალსახად მნიშვნელოვანია, რადგან აკადემიის გაკეთება იგეგმება. ამ მიზნით უახლოეს ხანებში დაგეგმილია ვიზიტები იაპონიასა და საფრანგეთში, რადგან ეს სფერო ყველაზე მეტად იქაა განვითარებული.

გარკვეულ მაგალითებს მათგან ავიღებთ, თუმცა ეს არ იქნება პირდაპირ გადმოღებული მოდელი და აუცილებლად გავითვალისწინებთ ქართული ძიუდოს, ქართული სულის ტრადიციებს. ეს შენობა ძალიან გვჭირდება როგორც საწვრთნელი, ასევე სასწავლო პროცესისთვის იმავე მწვრთნელებისა და ექიმებისთვის. უამისოდ მომავალში ძალიან გაგვიჭირდება.“ - თქვა ქევხიშვილმა.

თემა მოგვიანებით ლიპარტელიანმა განაგრძო:

„კურიოზია, როცა გვეკითხებიან დარბაზის შესახებ და არ გვიჯერებენ, რომ არ გვაქვს. ჩვენთან ერთობლივი ვარჯიშების გამართვა ძალიან ბევრ გუნდს სურს, მაგრამ დარბაზის და ელემენტარული სტანდარტების არქონის გამო ვერ ვახერხებთ. აუცილებელია, ერთი დარბაზი მაინც იყოს ჩვენს განკარგულებაში“.

ამ პრობლემაზე ისაუბრა ძიუდოს ფედერაციის უხუცესმა წევრმა **ანზორ მარტყოფლიშვილმაც** და პრობლემის აქტიურად გაშუქებაში სამივემ დახმარება მედიას გვთხოვა, თუმცა იმ დროს დარბაზში ტელევიზიები თითქმის აღარ იყვნენ, რამაც სპორტსმენთა ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია.

ქევხიშვილმა ქართული ძიუდოს წინაშე არსებულ კიდევ ერთ მწვავე პრობლემაზეც ისაუბრა:

„სამწუხაროდ, ძიუდოს პროგრამული დაფინანსების განხილვა დღემდე ვერ მოხერხდა იმის მიუხედავად, რომ ყველა დოკუმენტი გამზადებულია, მაგრამ ვერაფრით მივაღწიეთ მის განხილვას ვერც პარლამენტში ან შესაბამის სტრუქტურებში. ესაა ძიუდოს განვითარების გრძელვადიანი - 4-წლიანი პროგრამა, სადაც გათვლილია ყველა ის ღონისძიება, რაც სამომავლოდ კიდევ უფრო დიდი წარმატებების საფუძველი გახდება. ეს აუცილებლად გასაკეთებელია, რაც დაფინანსების გაზრდას გამოიწვევს, მაგრამ მხოლოდ ერთჯერ და არა გრანდიოზულად და კოლოსალურად“.

**ირაკლი თავაძე**




**შემადგენლობა:**
1 ტაბლეტი შეიცავს:
ვიტამინ $B_6$-ს (პირიდოქსინი) - 5 მგ, მაგნიუმის კარბონატს - 60 მგ
1 შუშხუნა ტაბლეტი შეიცავს:
ვიტამინ $B_6$-ს (პირიდოქსინი) - 5 მგ, მაგნიუმის კარბონატს - 150 მგ

**მოქმედება:**
მაგნიუმი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიკროელემენტია, ის მონაწილეობს იმუნურ მექანიზმებში, ხელს უწყობს იმუნიტეტის გაძლიერებას, ზრდის ორგანიზმის წინააღმდეგობას ალერგიული და ანთებითი პროცესების მიმართ, ააქტივებს ფერმენტულ პროცესებს, ხელს უწყობს მაღალენერგიული ნაერთების - ნახშირწყლების, ცილებისა და ცხიმების სინთეზსა და მეტაბოლიზმს.
მაგნიუმს გააჩნია დამამშვიდებელი და სტრესის საწინააღმდეგო მოქმედება, იგი ამცირებს ნერვ-კუნთოვან გადაცემას, გლუვი და განივზოლიანი ბოჭკოების აგზნებადობას, დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე, ხელს უშლის იშემიის განვითარებას, იცავს სისხლძარღვის კედელს, ეწინააღმდეგება შემაერთებელ ქსოვილში ცვლილებების განვითარებას და ართეროსკლეროზის ჩამოყალიბებას.
მაგნიუმი მონაწილეობას ღებულობს კალიუმისა და კალციუმის იონების ტრანსმემბრანულ ტრანსპორტირებაში, იგი აუცილებელია ინსულინისა და ზოგიერთი სხვა ჰორმონის სინთეზისათვის. ვიტამინი $B_6$ აადვილებს მაგნიუმის შეწოვას კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან.

**ჩვენება:**
- ქრონიკული გონებრივი და ფიზიკური დაღლილობა;
- სტრესი;
- აგზნებადობა.

**მიღების წესი და დოზირება:**
ტაბლეტები: მიიღება დღეში 1-2 ტაბლეტის ოდენობით მცირე რაოდენობის წყალთან ერთად.
შუშხუნა ტაბლეტები: მიიღება დღეში 1 ტაბლეტი ჭამის შემდეგ. ტაბლეტი იხსნება ერთ ჭიქა წყალში.
მაგიტრონი არ შეიცავს შაქარს, ამის გამო მისი გამოყენება შესაძლებელია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას! გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს!
გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს! www.aversi.ge 2-967-227
ავერსი AVERSI

ინტერვიუ ავთანდილ ჭრიკიშვილთან

# რამ გაანაწყენა პიეტრი?

## ჭრიკიშვილი: პირველი გასაგებია, მაგრამ მეორეც გამიხარდა

მონპელიეში დასრულებულ ევროპის პირველობაზე ავთანდილ ჭრიკიშვილი (81) მეორედ გახდა ჩემპიონი და დაამტკიცა, რაოდენ დიდი შესაძლებლობების ფალავანია. მსოფლიო რეიტინგის ლიდერი დღეს შეუდარებლად ძლიერია კონკურენტებზე. ცხოვრებაშიც და სპორტშიც ყველაფერი ხდება, არც მონაცემებია წარმატების უცილობელი გარანტია. აქედან გამომდინარე, ვერ ვამტკიცებთ, რომ ის აგვისტოში მსოფლიოს ჩემპიონი გახდება, მაგრამ რაც მონპელიეში დავინახეთ, მისი წამქცევი ფალავანი არ გვეგულება. ავადმყოფობის გამო ჭრიკიშვილი ევროპის ჩემპიონატს ვერ შეხვდა ოპტიმალურ ფორმაში, პირიქით - გვარიანად აკლდა სისწრაფე, მაგრამ იმდენად მაღალი კლასის სპორტსმენია, მაინც უპრობლემოდ იმარჯვა. თანდაყოლილი ნიჭის ხარჯზე ისეთ ილეთებზე არახუნა მეტოქეები, ტურნირის საუკეთესო იპონთა ხუთეულში მისი ორი გდება შევიდა, ხოლო ფრანგ მსოფლიოს ჩემპიონ ლოის პიეტრისთან ფინალში შესრულებული გდება სულაც საუკეთესო დაასახელეს. ცხადია, ამ ყველაფრით მეტად გახარებულია.

- უკვე მეორედ გავხდი ევროპის ჩემპიონი და კმაყოფილი ვარ - გვითხრა ჭრიკიშვილმა. ამ გამარჯვებისთვის დიდ მადლობას ვუხდი ექიმთა ჯგუფს - ზურაბ კახაბრიშვილს, გიორგი მგელაძეს და დიმიტრი ბალათურიას, რომლებიც ძალიან დამეხმარნენ. რალაცით მოვიწამლე, ცუდად ვიყავი და საჭმელს ვერ ვჭამდი. საჭიდაოდაც ასე უჭმელი გავედი და რომ არა ექიმთა დახმარება, ასე მგონია, ვერ შევძლებდი ამ გამარჯვებას. ჭიდაობისას დიდი ენერგია გჭირდება, მე კი, პირიქით, დასუსტებული ვიყავი. პირველი სამი შეხვედრა როგორ მოვიგე, მეც არ ვიცი. ალბათ, უფრო მონდომების, ფსიქოლოგიის ხარჯზე. ვიცი ჩემი ჭიდაობა, საკუთარი თავის ამბავი და უფრო მეტიც შემიძლია.

**- იგებდით, მაგრამ მართლაც იგრძნობოდა, რომ მეტიც შეგეძლოთ, თუმცა მეორე პაექრობა რუს სირაზუდინ მაგომედოვთან გამონაკლისი იყო. იქ რამ მოგცათ სტიმული?**

- ალბათ, უფრო იმან, რომ ილეთი გამიკეთა. ამან სულ დამავიწყა ყველაფერი - დაღლაც, სისუსტეც და გამომაფხიზლა, თუმცა ვერ გეტყვით, ის ენერგია საიდან მოვიდა. ყველა შეხვედრისას ჩემს თავს ვაიძულებდი, რომ მეტად მომენდომებინა, რადგან ჩემპიონი უნდა გავმხდარიყავი. ყოველ პაექრობაში გავდიოდი ტურნირის და არა კონკრეტული შეხვედრის მოსაგებად. ეტყობა, ამანაც მომცა ძალა.

**- ბელარუს ალექსანდრ სტიაშენკასთანაც თითქოს გაგიჭირდათ ნახევარფინალში იმის მიუხედავად, რომ ხშირად უგებთ...**

- ესეც უფრო იმ დაღლილობის გამო, ფორმაში რომ არ ვიყავი, თორემ ის 7-ჯერ მყავს დამარცხებული და არც იმ დონის ფალავანი მგონია, ამხელა მეტოქეობა გამიწიოს. არც ახლა ველოდი ასეთ წინააღმდეგობას. ყოფილა სეზონი, მისთვის რამდენჯერმე მომიგია. თან ჩემზე უფროსიცაა და ვერ იტყოდი, რომ წინა წელს სუსტი იყო და ახლა მოუმატა. ის რომ ჩემზე პატარა იყოს, მაშინ კიდევ შეიძლებოდა ამის თქმა, ამ ასაკში კი უკვე არაფერი მოემატება. ანუ მე ვერ ვიყავი ფორმაში და ამიტომ გამიწია ამხელა წინააღმდეგობა.

**- ბერძენთა ქართველ მასტოპულოსთანაც დაძაბული შეხვედრა გამოგივიდათ, რაც ცოტა მოულოდნელი იყო... თითქოს არც ზოგავდით ერთმანეთს, მეტი მონდომებით ჭიდაობდით.**

- ერთმანეთს კარგად ვიცნობთ - ერთად ვვარჯიშობთ და ვმეგობრობთ. ვიცოდით ერთმანეთის ჭიდაობა და ამიტომ იყო ასე დაძაბული შეხვედრა. თუმცა ქართველებთან ყოველთვის დაძაბული ბრძოლა გამოგვდის, რადგან კარგად ვიცნობთ მეტოქეს, მის საჭიდაო სტილს.

**- საინტერესოა ფინალისთვის განწყობაც, სადაც ძველ მეტოქეს, მასპინძელ ლოის პიეტრის შეხვდით.**

- ასეთი განწყობით არც ერთ შეხვედრაზე არ შევსულვარ. ფსიქოლოგიურად ყოველთვის მე თვითონ ვაწყობ საკუთარ თავს, ახლაც დაახლოებით ხუთი წუთი ჩავჯექი და თავს ვეუბნებოდი, უნდა მოიგო-მეთქი. მოსაგებად გავედი, სხვა შანსს არც ვუშვებდი. იმდენად დარწმუნებული ვიყავი გამარჯვებაში, ალბათ, რომ წამეგო, ვერ დავიჯერებდი. ყოველ შეხვედრაზე მოსაგებად შევდივარ ტატამზე, მაგრამ წინასწარ გადაჭრით ლაპარაკი მაინც არ მიყვარს, რადგან სპორტია და ყველაფერი ხდება, თუმცა ამ ფინალზე გასვლის წინ ნაკრების მწვრთნელებს - ირაკლი უზნაძეს, გიორგი ვაზაგაშვილს, პირად მწვრთნელ გურამ მოდებაძეს და სხვებს ვეუბნებოდი, ნუ გეშინიათ, მოვუგებ, რადგან ახლა წარმატება არ ეკუთვნის-მეთქი. საქმე ისაა, რომ შეჯიბრება საფრანგეთში იყო და მას კიმონოს კონტროლი არ გაუვლია, მოკლე ფორმა ეცვა. სწორედ მაშინ ვთქვი, ეს უნდა დაისაჯოს-მეთქი.

**- მსაჯების მიკერძოება ტატამზეც გაგრძელდა, თუმცა არც ამაზე გინერვიულიათ.**

- ამას შეგუებული ვიყავი და არც გამკვირვებია.

**- თქვენი და პიეტრის პაექრობა ამ ტურნირზეც და ბოლო პერიოდშიც საგად იქცა, თუმცა მსაჯთა მიკერძოება გუნდურშიც იყო.**

- ფრანგებს ამხელა სპორტსმენები ჰყავთ და ძალიან უნდოდათ გუნდური შეჯიბრების მოგება. ტედი რინერიც კი აჭიდავეს, რომელიც წინა დღეს ადამ ოქრუაშვილს ეუბნებოდა, შენთვის ვიჭიდავებ, თორემ ისე არ ვაპირებდიო. ის გუნდურში არ გამოდის, მაგრამ მასპინძლებს იმდენად უნდოდათ გამარჯვება, მაინც დააყენეს. არაობიექტურობის და მსაჯების მიკერძოების მხრივ არა მარტო ჩემი შეხვედრაა გამოსაყოფი, ქარდავასთანაც იუკო იყო, ოქრუაშვილსაც გარეთ გაჰყავდა რინერი, მაგრამ იმას კი არა, პირიქით, ამას აფრთხილებდნენ.

**- საინტერესო იყო თქვენი რეაქცია პიეტრისთან გუნდურში გაუქმებულ გდებებზე - ადრე მსგავს ფაქტებს აპროტესტებდით, ახლა კი ამის ნაცვლად მრავალმნიშვნელოვნად გახედეთ არბიტრებს.**

- მოსალოდნელ არაობიექტურობას შეგუებული ვიყავი. თან, მანამ მწვრთნელები მარიგებდნენ, რომ არ მეკამათა მსაჯებთან. საჭიდაოდ ორმაგად მობილიზებული გავედი და ამ გაუქმებულ გდებებზე მხოლოდ მეღიმებოდა, ფსიქოლოგიურად კი მართლაც არ უმოქმედია. პირიქით, სტიმული მომცა.

**- პიეტრიმ ხელიც არ ჩამოგართვათ, მაგრამ თქვენ მიხვედით. რა გითხრათ, რითი ახსნა ის საქციელი?**

- იმ შეხვედრაში დასრულებამდე 20 წამით ადრე იყო მომენტი, როცა ჩემი კიმონო სახეზე ეჭირებოდა. ამ დროს მსაჯს უნდა გაეჩერებინა შეხვედრა, მაგრამ გამოეპარა ეს მომენტი, მე კი რატომ გავჩერდებოდი. ამ ჯაჯგურში ცხვირზეც დავაჭირე ხელი და ამაზე გაბრაზდა. შეხვედრის ბოლოს ცხვირზე მანიშნა კიდეც. მერე მივედი და ვუთხარი, სპორტში ყველაფერი ხდება-მეთქი. მთავარია, მეტოქეს შეურაცხყოფა არ მიაყენო და არ უნდა დაარტყა, თორემ ჭიდაობაა, ცეკვა ხომ არა - აქ კიმონოც შეიძლება, უხეშად მოგედოს სახეზე. რინერიც იქვე იყო, რომელმაც ხელი ჩამომართვა. ვფიქრობ, პიეტრი წაგების გამო უფრო განაწყენდა - ბოლო სამ თვეში საფრანგეთში მესამედ მოვუგე, ჯერ პარიზის „დიდ მუზარადზე“ და ორჯერ - ამ შეჯიბრებაზე. ცხადია, იქნება გაბრაზებული, რადგან ბევრი ქომაგი ჰყავს თავის ქვეყანაში.

**- საუკეთესო ხუთეულში თქვენი გდებებიდან ორი მოხვდა, ერთი კი სულაც საუკეთესოდ დაასახელეს...**

- ცხადია, ეს ძალიან სასიხარულო ამბავია.

**- ამ ორი გდებიდან თქვენ რომელს გამოარჩევთ - პიეტრისთან შესრულებულს თუ მაგომედოვთან?**

- ცხადია, პიეტრისთან ფინალში შესრულებულს. ოქროს გარდა, ეს მეტოქის ფაქტორითაცაა განპირობებული. შეიძლება, ვილაც სუსტს გაუკეთო იგივე, მაგრამ როცა ამას პიეტრის დონის ფალავანთან აკეთებ და თანაც ფინალში, ეს უკვე სულ სხვაა. პიეტრიმ შარშან მსოფლიოს ფინალი მომიგო, რეიტინგშიც მეორეა ჩემ შემდეგ და ნამდვილად ძლიერი მოჭიდავეა.



ავთანდილ ჭრიკიშვილი

**- მეორე ჩემპიონობა როგორი განწყობა იყო, დიდად განსხვავდება პირველისგან?**

- ცხადია, პირველი გასაგებია, მაგრამ მეორეც ძალიან გამიხარდა. ჩემი პირადი მწვრთნელი მოდებაძე მეუბნებოდა, შენარჩუნება უფრო ძნელია, ვიდრე - მოპოვებაო. მიხარია, რომ შევძელი და შევინარჩუნე. თან ერთხელ, შეიძლება, შემთხვევითაც მოიგო, მაგრამ როცა მეორედაც ახერხებ ამას, ესე იგი, გეკუთვნის და ალალია.

**ირაკლი თავაძე**

# ენგურ გოგიჩაიშვილის მემორიალი



თითქმის ერთი კვირის განმავლობაში გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლის დარბაზმა სამ საინტერესო და წარმომადგენლობით ტურნირს უმასპინძლა ჭაბუკთა და ახალგაზრდებს შორის. დჟუმიშხან ბერუაშვილის მემორიალი და თემურ ხუბულურის სახელობის ტურნირი საერთაშორისო იყო და ჩვენი ქვეყნის არაერთი ძიუდოს სკოლის ჭაბუკთა გუნდების გარდა მასში აზერბაიჯანელებმაც მიიღეს მონაწილეობა, ხოლო ენგურ გოგიჩაიშვილის მემორიალზე, რომელიც მისი ტრაგიკულად გარდაცვალების დღეს გაიმართა – ახალგაზრდა ძიუდოისტებმა იასპარეზეს ჩვენი ქვეყნის ათამდე ქალაქიდან.

ენგურ გოგიჩაიშვილი მიმდინარე წლის 3 აპრილს 50 წლის გახდებოდა. მისი სპორტული კარიერის საუკეთესო წლები 80-იანი წლების მიწურულს დაემთხვა. იგი იყო საქართველოს რამდენიმე გზის ჩემპიონი ძიუდოში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების სხვადასხვა სინჯის მედლების მფლობელი, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული. ენგური 2003 წელს ტრაგიკულად გარდაიცვალა. მისი სახელობის ტურნირი კი 2005 წლიდან იმართება გორის დარბაზში.

წლეულს შეჯიბრებამ ასამდე მონაწილეს მოუყარა თავი. ტატამზე გავიდნენ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრებიც. სპორტსმენებმა რვა წონით კატეგორიაში იბრძოლეს პირველობისათვის, თუმცა ზედა წონებში მონაწილეთა სიმცირე შეიმჩნეოდა. საპრიზო ადგილზე გასულებიდან რამდენიმე, ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის ძიუდოსა და სამბოში კონტინენტის ჩემპიონატების მედალოსნები არიან. წონით კატეგორიებში გამარჯვებულთა უმრავლესობა, როგორც მოსალოდნელი იყო, გორის ძიუდოს სკოლათა აღზრდილია.

### კვარცხლბეკი

**55 კგ.** 1. გიორგი მირუაშვილი (გორი), 2. რევაზ ნადირაძე (რუსთავი), 3. გიორგი მელქუაშვილი და ბექა მელქუაშვილი (ორივე – გორი);

**60 კგ.** 1. რობიზონ ბეგლარიშვილი, 2. აჩიკო ქარელიშვილი, 3. თენგო გორგიშელი (სამივე – გორი), ვლადიმერ გელაშვილი (ქარელი);

**66 კგ.** 1. გიორგი დიდებაშვილი (გორი), 2. ვლადიმერ ფირადაშვილი, 3. ვაჟა ალავიძე (ორივე – რუსთავი), გიგა ბედოშვილი (თბილისი);

**73 კგ.** 1. ზვიად ხუბულური, 2. ბექა შავდათუაშვილი, 3. ანზორ კალაიჯაშვილი (სამივე – გორი), ვასილ ბალაბანაშვილი (თბილისი);

**81 კგ.** 1. გიორგი კასაბური, 2. ივერი კერვალიშვილი (ორივე – რუსთავი), 3. გელა გასიტაშვილი (გორი), გიორგი ლაზრიშვილი (თბილისი);

**90 კგ.** 1. უჩა გასიტაშვილი (გორი), 2. გიორგი ვარდოსანიძე (ზესტაფონი), 3. ელგუჯა ხეჩიკაშვილი (გორი), გიორგი მულაძე (ქარელი);

**100 კგ.** 1. ფრიდონ შარიქაძე, 2. ნიკა მიქაბერიძე (ორივე – ზესტაფონი);

**+100 კგ.** 1. გუგა ლაზუაშვილი (ზესტაფონი), 2. გიგა გელაშვილი (გორი).

შეჯიბრება გორის ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ანზორ თენაძე) და გორის სპორტული ცენტრის (დირექტორი ნოდარ მეტრეველი) მიერ იყო ორგანიზებული.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან
ავტორის ფოტო

ადამიანი დროში

# კორიფე

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი საქმიანობით წარუშლელ კვალს ტოვებენ ცხოვრებაში. ასეთი პიროვნებების კოჰორტას ამშვენებს ქართული კალათბურთის კორიფე **ნიკოლოზ დერიუგინი,** რომელიც წლების განმავლობაში რომანტიკული თამაშით ხიბლავდა ქომაგებს შინ და გარეთ. 1956 წლის 30 აპრილს ქუთაისში დაბადებული და გაზრდილი კალათბურთელი (7 წლისა **ზაურ ჩარკვიანთან** ეზიარა სპორტის ამ სახეობის ანაბანას, მერე **სულიკო თორთლაძე** ავარჯიშებდა) 10 წლის განმავლობაში იცავდა თბილისის „დინამოს" ღირსებას. სხვადასხვა წლებში თამაშობდა „თბილისში" (1991-1992), უნგრეთის „მუფკში" (1992-1993), თბილისის „ვითასა" (1993-1994) და „სდასუში" (1994-1996), სლოვაკეთის „სლოვაკოფარმაში" (1995-1996). საბჭოთა კავშირის ნაკრებში 1978-1985 წლებში გამოდიოდა, ორი წელინადი (1995-1996) საქართველოს ნაკრებშიც იყო. მის საოჯახო სპორტულ კოლექციას მრავალი ჯილდო ამშვენებს: 1975 წელს ჭაბუკებში გახდა ევროპის ჩემპიონი, შემდეგ ორჯერ ახალგაზრდებში მიაღწია მსგავს წარმატებას. 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი 1982 წლის მსოფლიოს, 1981 წლის ევროპის ჩემპიონი და საკონტინენტთაშორისო თასის ორგზის (1978, 1979) მფლობელი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს (1997) პრიზიორია.

როგორც თავად აღნიშნავს, ქართველი კალათბურთელის მეხსიერებას ყველაზე ნათლად 1977 წელი შემორჩა. 14 იანვარს **ლევან მოსეშვილმა** პირველად ანდო ადგილი „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში. იმ დღეს სვერდლოვსკის „ურალმაშს" 81:63 მოუგეს. დებიუტანტმა 18 ქულა მოუტანა გუნდს. განსაკუთრებით დაუვიწყარი მაინც ცსკა-სთან მატჩია. იმ წელიწადს არმიელები შეუდარებლად ძლიერი იყვნენ - 9 ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ლიდერობდნენ საკავშირო ჩემპიონატს. მე-10 ტურში საკუთარ მოედანზე 110:100 აჯობეს თბილისის „დინამოს", რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ოლიმპიური ჩემპიონი მიხეილ ქორქია, გივი ბიჭიაშვილი, ლევან ჩხიკვაძე, იური პულავსკი, იური ძიძიგური, ნოდარ ქორქია, თამაზ ჩიხლაძე, ლევან გულდედავა და ახალბედა ნიკოლოზ დერიუგინი, რომელმაც თანაგუნდელთა თანადგომით მასპინძლებს... 57 ქულა ჩაუგდო. მეორე დღეს საკავშირო სპორტული გაზეთი „სოვეტსკი სპორტი" წერდა, რომ ასეთი რამ საკავშირო ჩემპიონატებზე ჯერჯერობით არც ერთ კალათბურთელს არ გაუკეთებიაო. თანაც რეკორდსმენთან ოთაბრძოლისას მიშკინმა 22-ე წუთზე მე-4 პერსონალური ჯარიმა მიიღო. 36-ე წუთზე 5 საჯარიმოთი მოედანი დატოვა სერგეი კოვალენკომ, ვერც მესამე მეტოქემ - ლოპატოვმა გააწყო მასთან ვერაფერი.

ქართველმა კალათბურთელმა მომდევნო წლებში არანაკლები თავსატეხი გაუჩინა მოწინააღმდეგეებს, დამსახურებულად იქცა საბჭოთა კალათბურთის ერთ-ერთ უძლიერეს ცენტრად. მეტოქე გუნდების მწვრთნელებს მეტწილად გადაუჭრელი რჩებოდათ „დერიუგინის პრობლემა". ასე იყო 1982 წელს კოლუმბიაში კალათბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე: ამერიკელებთან ფინალურ მატჩში შვიდი წუთი დაყო მოედანზე და ყველაზე გადამწყვეტ მომენტში 7 ქულა შესძინა გუნდს. საბჭოთა ნაკრებმა დაძაბულ ბრძოლაში 95:94 გაიმარჯვა და პირველი ადგილი დაიკავა.

*„ნიკოლოზ დერიუგინის ვარსკვლავი 1982 წელს კოლუმბიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ამობრწყინდა. ვიტყვი მეტსაც - რომ არა კოლია, არ ვიცი, ოქროს მედლებს მოვიპოვებდით თუ არა",* - წერს საბჭოთა კავშირის ნაკრების მაშინდელი თავკაცი გომელსკი. ცნობილი მწვრთნელები თავიანთ შეგირდებს ურჩევდნენ, მრავალმხრივი თამაში ნიკოლოზ დერიუგინისგან ესწავლათ. და ეს იყო სიმართლე, რადგან კოლიას თავის არსენალში ჰქონდა ბურთის „კაუჭით" ტყორცნა, ფინტები. შეეძლო მეტოქისთვის მაშინაც ეჯობნა, როცა ფარისკენ ზურგით იდგა. შესანიშნავად ხედავდა მოედანს და, რაც მთავარია, ბურთს უფრთხილდებოდა. ისეთ გიგანტებს, როგორებიც იყვნენ ტკაჩენკო, კოვალენკო, სილანტიევი, ლოპატოვი, გრიშაევი და სხვები, დერიუგინი ფინტებით ატყუებდა მათ და ისინიც იძულებული ხდებოდნენ, პერსონალური ჯარიმები მიეღოთ.

ნიკოლოზ დერიუგინმა 1986 წელს მძიმე ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა, დიდ სპორტზე უარი ეთქვა, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა მოედანს და კვლავაც კარგა ხანს ხიბლავდა ქომაგებს ვირტუოზული თამაშით. ქართული კალათბურთის კორიფე, რომელსაც გუშინ 58 წელი შეუსრულდა, დღემდე არჩევანის ერთგული რჩება - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელთა გუნდს წვრთნის და სამომავლოდ სერიოზული გეგმებიც აქვს.

**ვაჟა დანელია**



ბურთით ნიკოლოზ დერიუგინი

## გვილოცავენ...

გაზეთ „ლელოს" სამართლიანად შეუძლია იამაყოს თავისი 80 წლის ისტორიით, იამაყოს ადამიანებით, ვინც მის სათავეებთან იდგნენ, შემოქმედებითი და ტექნიკური მუშაკებით. ამ გაზეთმა ღირსეულად დაიმსახურა მკითხველთა თაობების სიყვარული და პატივისცემა.

ბედნიერება მქონდა, სამოციან წლებში მეთანამშრომლა „ლელოში" ბრწყინვალე პიროვნების, მიხეილ კაკაბაძის რედაქტორობის დროს. მას შემდეგ აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა. აქედან 30 წელიწადზე მეტია მოსკოში ვცხოვრობ, მაგრამ „ლელოსთან" კავშირი არ შემიწყვეტია, მით უმეტეს, რომ ახლანდელი და მისი წინამორბედი რედაქტორი, ბატონი არჩილ გოგელია, ჩემი ყმაწვილკაცობის მეგობრებია. მეამაყება, რომ „ლელოსადმი" სიყვარული ხალხში არ განელებულა, პირიქით ძლიერდება.

მრავალჟამიერ, ჩემო „ლელო"!

გილოცავთ!

ვალერიან (სულიკო) როგავა
სპორტის ოსტატი, დამსახურებული მწვრთნელი,
საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე,
საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი თანამედროვე ხუთჭიდში.
ქ.მოსკოვი

ფარიკაობა



გიორგი მარხულია და მისი მწვრთნელი ზურაბ ლოლუა



გიორგი ხანდაველი

## თურქული ბრინჯაოებით

ინგლისის, საქართველოს, ბულგარეთის, თურქეთის, კუვეიტის, აზერბაიჯანისა და ირანის ჭაბუკი მუშკეტერები მონაწილეობდნენ მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც თურქულმა ალანიამ უმასპინძლა. მედლები ორ ასაკში გათამაშდა. უმცროს მოხმალავეებში იყოჩაღა **გიორგი მარხულიამ** (აფხაზეთი, მწვრთნელი **ზურაბ ლოლუა**). ქართველმა მოფარიკავემ ჯგუფში ექვს მეტოქეს სძლია, პლეი ოფში ზედიზედ დაამარცხა ბულგარელი ერშოვი (8:4), თურქები - იგიტი (8:4), ბუდაკი (8:6) და არიდურუ (8:6), ხოლო ნახევარფინალში, ასევე, მასპინძელ ტასმან აჰმედს დანებდა - 7:8 და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. მსგავს წარმატებას მიაღწია რაპირაში რუსთაველმა **გიორგი ხანდაველმა** (მწვრთნელი **ზურაბ ჯაგაშვილი**): მანაც რვა მეტოქეს აჯობა, ნახევარფინალი კი მასპინძელთან წააგო და მესამე ადგილზე გავიდა. უფროსი ასაკის გოგონებში დაშნით მეხუთე ადგილი დაიკავა ქუთაისელმა **თინათინ ნუცუბიძემ.** ასევე, მეხუთე ადგილები ერგოთ მოხმალავე გოგონებსა (**ანასტასია ჩიქოვანი, თამარ ჩარკვიანი, ნინო მიქაბაძე, ანა ლოსაბერიძე**) და ბიჭებს (**გიორგი მერკვილაძე, ვახტანგ არჩვაძე, გიორგი მარხულია, თორნიკე მითაგვარია**).

**ვაჟა დანელია**

თარიღი

### 01-03 მაისი

**01. 1914.** დაიბადა **ვახტანგ კუხიანიძე** - თავ. და ბ\რ. ჭიდ. მწვრთნელი. გარდაიცვალა 1985 წელს

**01. 1927.** დაიბადა **კარლო ყრუაშვილი** - ფეხბურთი, მსაჯი. გარდაიცვალა 2002 წელს

**01. 1931.** დაიბადა **ნოე ლობჟანიძე** - მძლეოსნობა. გარდაიცვალა 12012 წელს

**02. 1914.** დაიბადა **მიხეილ ბერძენიშვილი** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1981 წელს

**02. 1961.** დაიბადა **სვეტლანა მკრტიჩიანი-ფეიქრიშვილი** - აკრობატიკა

**02. 1980.** დაიბადა **ავთანდილ ხურციძე** - კრივი

**02. 1882.** დაიბადა **იაგორ კაზალიკაშვილი** - ალპინიზმი. გარდაიცვალა 1935 წელს

**03. 1941.** დაიბადა **ნონა გაფრინდაშვილი** -ჭადრაკი

**03. 1982.** დაიბადა **ირაკლი ცირეკიძე** - ძიუდო

სპორტული ტანვარჯიში

# მოთელვა ევროპის წინ

წლეულს 11-26 მაისს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში სპორტულ ტანმოვარჯიშეთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება, რომელშიც უფროსებთან ერთად ახალგაზრდებიც იასპარეზებენ. ტურნირზე 2014 წლის ნანჯინგის მსოფლიო ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშებისა და 2015 წლის პირველი ევროპის ოლიმპიადის საგზურები გათამაშდება. სოფიაში საასპარეზოდ 44 ქვეყნის წარმომადგენლები მოიყრიან თავს. ჩინეთის საგზურებს მხოლოდ 19 ქვეყნის სპორტსმენები მიიღებენ. აქ ჩვენებურთაგან ლიცეზიის მაძიებელთა შორის იქნება 16 წლის **საბა აბესაძე.** ახალგაზრდებში საბასთან ერთად იასპარეზებს 15 წლის **იოანე ჯიმშელეიშვილი** - იგი აქედანვე ემზადება 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის, რომელიც თბილისში გაიმართება. უფროსებში ევროპაზე მოსინჯავენ ძალებს **პაატა ნოზაძე, მიხეილ ხარაბაძე, შალვა დაქალიშვილი** და **ნოდარ ლიონიძე** (მთავარი მწვრთნელი **ამირან ბერიანიძე**), ხოლო გოგონებში (მთავარი მწვრთნელი **ლუდმილა გოლოვინა,** მწვრთნელები - **რუსუდან სიხარულიძე** და **გურამ ჯინჭარაძე**) **ნატალია ძიძიგური** და **თამარ ჩაჩუა,** ახალგაზრდებში - 14 წლის **ნატა რობაქიძე.** საგულისხმოა, რომ შალვა დალაქიშვილი გერმანიაში ცხოვრობს და ვარჯიშობს, თამარ ჩაჩუა კი - მოსკოვში. ისინი სოფიაში სწორედ ალემანთა ქვეყნიდან და რუსეთიდან ჩავლენ. ამ ორი სპორტსმენის გარდა, ყველა უძლიერესი მონაწილეობდა საქართველოს პირველობაში, რომელიც ევროპის ჩემპიონატის წინ, ფაქტობრივად, ძალთა ერთგვარი შემოწმება იყო.

- პირველობის წინ მხარის მცირე ტრავმა მიიღო ნოდარ ლიონიძემ, ამიტომ შემდგომი გართულების თავიდან ასაცილებლად მას დასვენების უფლება მივეცით, - გვითხრა ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ბესარიონ გამსახურდიამ.** - შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ ჩვენი სპორტსმენები ურიგოდ არ არიან მომზადებული, თუმცა კონტინენტის პირველობამდე ჯერ კიდევ არის დარჩენილი დრო და ხარვეზების გამოსწორება შეიძლება.

ერთ ფაქტსაც მინდა გავუსვა ხაზი - მესამე წელიწადია, ჩვენთან სპორტულ ტანვარჯიშში მეცადინეობს საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი მილტონ ჰეიგის ქალიშვილი მოლი, რომელიც ქართველ პირველთანრიგოსან გოგონებს სათანადო მეტოქეობას უწევს. ხშირად მონაწილეობს ქვეყნის ჩემპიონატებსა და პირველობებშიც და არაერთხელ დაუპყრია კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური. ამჯერად მოლისა და მარი ფერაძეს შორის დაძაბულ პაექრობაში ჰეიგი მცირედით ჩამორჩა ქართველს და მეორე ადგილით დაკმაყოფილდა.

ერთიც მინდა დავძინო: 10 წელიწადზე მეტია, ქართველ არბიტრებს ქალთა საერთაშორისო ტურნირებში არ უმსაჯიათ. სოფიაში დიდი ხნის პაუზის შემდეგ სამსაჯო მაგიდას მიუსხდებიან ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი რუსუდან სიხარულიძე (უფროსებში) და სოფიო ბოდაველი (ახალგაზრდებში), რომლებმაც ბათუმელ ქეთევან ბოლქვაძესთან ერთად მოსკოვში საერთაშორისო სემინარების დამთავრების შემდეგ წარმატებით ჩააბარეს გამოცდები და საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის წოდება დაიმტკიცეს.

### კვარცხლბეკი

**სპორტის ოსტატის პროგრამით. გოგონები.** 1 ნატალია ძიძიგური (100,75), 2. მაგდა რობაქიძე (ორივე - ქუთაისი, 99,85), 3. ნინო გომარელი (თბილისი, 86,6). **ვაჟები.** 1. პაატა ნოზაძე (119), 2. საბა აბესაძე (ორივე - თბილისი, 116), 3. მიხეილ ხარაბაძე (ქუთაისი, 86,6);

**ოსტატობის კანდიდატის პროგრამით. გოგონები.** 1 ქრისტინე მორჩაძე (ქუთაისი, 88,7), 2. ნინო გუგესაშვილი (ბათუმი, 77,15), 3. თამარ გელდიაშვილი (თბილისი), რუსუდან ბოლქვაძე (ბათუმი, ორივეს - 76,2-76,2 ქულა). **ბიჭები.** 1. იოანე ჯიმშელეიშვილი (144,7), 2. ბიძინა სიჭინავა (141,5), 3. ლევან სხილაძე (სამივე-თბილისი, 128,5).

**პირველი თანრიგის პროგრამით. გოგონები.** 1. მარი ფერაძე (74,4), 2. მოლი ჰეიგი (73,7), 3. ანა-მარია აკოფაშვილი (სამივე-თბილისი, 70,5). **ბიჭები.** 1. ლაშა წიქორიძე (ქუთაისი, 97,1), 2. რამაზ კუხალაშვილი (თბილისი, 79,6).

**მეორე თარიგის პროგრამით. გოგონები.** 1. ანი გობაძე (ბათუმი, 74,45), 2. ინა კახაია (74,25), 3. მედეა სიმსივე (ორივე-ქუთაისი, 73,3).

**ვაჟა დანელია**



მოლი ჰეიგი

სამთო თხილამურები

# კოსტავა უთავკაცებს

შარშან საქართველოს სათხილამურო ფედერაციის მე-7 ყრილობაზე გადაწყდა, რომ პრეზიდენტის არჩევნები ოთხ წელიწადში ერთხელ გაიმართოს და საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა 4-წლიანი ოლიმპიური ციკლის ბოლოს ზამთრის ოლიმპიური თამაშებისა და საერთაშორისო საშეჯიბრო სეზონის დასრულებას დაემთხვას. და აი, გუშინ სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში" საქართველოს სათხილამურო ფედერაციის მე-8 ყრილობა გაიმართა, რომელმაც ფედერაციის მიერ 2009-2014 წლებში გაწეული მუშაობის ანგარიში და წესდებაში შესატანი ცვლილებები განიხილა. დელეგატებმა ხმათა უმრავლესობით (25 ხმა) ფედერაციის ახალ პრეზიდენტად სპორტის ამ სახეობის დიდი ქომაგი, ფედერაციის გენერალური სპონსორის - კომპანია „სილქნეტის" ბიზნესგანვითარების დირექტორი **ზურაბ კოსტავა** აირჩიეს. პირველ ვიცე-პრეზიდენტად გიორგი ცაგარელის, ვიცე-პრეზიდენტებად - ეკა ორჯონიკიძისა და დავით ნათაძის, ხოლო გენერალურ მდივნად ირინა აჩბას კანდიდატურებს დაუჭირეს მხარი.

**ვაჟა დანელია**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



მარცხნიდან მესამე ზურაბ კოსტავა

სუპერლიგა 1/4-ფინალი

# სამი 2:0

საქართველოს ჩემპიონატის მეოთხედფინალური სერიის მეორე მატჩების შემდეგ, სამი გუნდი 2:0 დაწინაურდა. სერიები კი 3 მოგებამდეა. მხოლოდ „ქუთაისი"-"სოხუმის" წყვილშია ანგარიში თანაბარი - 1:1.

მესამე მატჩები 3 მაისს გაიმართება.

## რა მოხდება ბათუმში?

30 აპრილი, თბილისი

**შსს აკადემია-ბათუმი 82:89**

14:20, 18:25, 23:15, 27:29

**შსს აკადემია:** ჩიკვილაძე (9ქ), ბოქოლიშვილი, ლონდარიძე (14ქ, 17მ), ილიჩი (15ქ, 12მ, 4პ, 3დ), ლომოური, ბრაუნი (21ქ, 5მ), როგავა, ტომარაძე (1ქ), ფაცაცია (22ქ, 12მ, 4პ).

**ბათუმი:** რამიშვილი (10ქ), ელიაშვილი, მაქკერი (3ქ, 5მ), კეშელავა, ბოლქვაძე (9ქ. 9მ), ქედუგანი (27ქ, 7მ, 8პ, 4ჩ), სეფოლდი (27ქ, 8მ), ჯექსონი (13ქ, 10მ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი, ი. ბერიშვილი

სერიას იგებს „ბათუმი" - 2:0

მეორე წრეში „შსს აკადემიამ" საკუთარი თამაში იპოვნა, სხვებთან ერთად ფავორიტი „დინამოც" დაამარცხა და მეხუთეადგილოსან „ბათუმთან" ფავორიტადაც ითვლებოდა, მაგრამ პირველ მეოთხედფინალში აჭარლები მტკიცედ დაუდგნენ, თბილისში გაიმარჯვეს და არათუ მოედნის, არამედ ფსიქოლოგიური უპირატესობაც მოიპოვეს.

ეს მეორე შეხვედრაზეც აისახა: თუ ბათუმელები თავისუფლად თამაშობდნენ, თავს შორეული სამქულიანების ტყორცნის უფლებასაც აძლევდნენ და სამ-ოთხ მოწინააღმდეგეს შორის შეჭრასაც არ რისკავდნენ, შსს-ელები გამოზომილად, რეგულარული ეტაპისას დამუშავებული, აპრობირებული ტაქტიკით ცდილობდნენ ბათუმელთა ზონური დაცვის გარღვევას, მაგრამ ერთ არაზუსტ ტყორცნას შეცდომა მოსდევდა და თამაშის დალაგება ვერ ხერხდებოდა. ამას დაერთო მეორე წუთზე სასტარტო მსროლელის, **მერაბ ბოქოლიშვილის** ტრავმა, რომელიც შსს-ს ვეღარ დაეხმარა.

პირველ ტაიმში ზღვისპირელებმა 16-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს. შესვენებისას პრესლოჟაში მასპინძელთა შანსების ანალიზისას არ ჩანდა გზა, რითაც ძალოვნებს მეორე ტაიმში თამაშის შემოტრიალება შეეძლოთ. მაგრამ გამოჩნდა: „შსს აკადემიას" კალათბურთელები სულ სხვა შემართებით გამოვიდნენ, მათ თამაშში აგრესიულობის მარცვალი გასამმაგდა, პრესინგს კი მოედნის ცენტრიდან იწყებდნენ, **პერიშ ბრაუნმა** პერიმეტრიდან გაილაღა და შედეგიც შესაბამისი იყო - 50:52.

სწორედ ამის შემდეგ იფეთქა ბათუმის ლეგიონერმა **ჯერემი სეფოლდმა**. მას პირველ ტაიმში ოთხივე სამქულიანი აცილებული ჰქონდა, მეორეშიც ოთხი სტყორცნა და ოთხივე კალათში მოათავსა. მან საბოლოოდ 27 ქულა მოაგროვა. ამდენი ჩააგდო მისმა თანაგუნდელმა **ჯუნიორ ქედუგანმა**, რომელიც პლეიმეიქერის შესაფერისად გამარჯვების მთავარი შემოქმედი გახდა.

ცალკე ლაპარაკის თემაა ფარქვეშეთი. სტატისტიკას მეტად საინტერესო სურათის დახატვა შეუძლია: მოხსნებში შსს-მ დიდი უპირატესობით, 61:44 იმარჯვა, მაგრამ არ გამართლდა გამოთქმა - ვინც იგებს ფარს, ის იგებს თამაშს. რატომ არ გამართლდა? - იმიტომ, რომ „ბათუმის" სამწამიან ზონას **მამუკა ბოლქვაძე** იცავდა, მეურვეობდა შსს-ს ტანმაღალ ლეგიონერ **მილე ილიჩს**. მამუკას დიდი დამსახურებაა, რომ 61 მოხსნის მიუხედავად თბილისელებმა მხოლოდ 22 ქულა ჩააგდოს სამწამიანი ზონიდან. ბათუმმა კი ფარქვეშიდან 40 ქულას მოუყარა თავი - ეს უმთავრესად სწრაფი შეტევების შედეგი იყო, როცა მასპინძელი ტანმაღლები უკან დაბრუნებას ვერ ასწრებდნენ.

0:2 ჩამორჩენა იოლი აღმოსაფხვრელი არ არის. ამიტომაც თქვა „შსს აკადემიას" მწვრთნელმა **არჩილ ჟღენტმა**, ფავორიტი უკვე „ბათუმიაო", მაგრამ ისიც დასძინა, იმედი მაქვს, მეოთხედფინალების მეორე ნახევარში თამაშს ისევე გამოვასწორებთ, როგორც მეორე წრეშიო.



შსს-ბათუმი. ქედუგანი ილიჩს გასცდა



არმია-რუსთავი. გიორგი ჯგერენაიას ჩატენვა



ქუთაისი-სოხუმი. ბრძოლა ფარქვეშ

## ასი

30 აპრილი, თბილისი

**არმია-რუსთავი 100:66**

25:17, 29:10, 24:15, 22:24

**არმია:** ბაბუნაშვილი (5ქ, 5პ, 5ჩ), ბაბიაშვილი (9ქ), ბოისა (2ქ, 8მ, 3პ), მ. ბერიშვილი (21ქ, 5მ, 3პ, 3ჩ), კვიმსაძე (8ქ), ჯგერენაია (9ქ, 6მ, 3პ), ნივწივაძე (19ქ), შარაბიძე (10ქ, 6მ, 3პ), ჩაჩიბაია (3ქ), ფარლალავა (14ქ, 4პ).

**რუსთავი:** მაჭავარიანი (3ქ), გ. არაბული (4ქ), არწივიძე (4პ), ხმელიძე (13ქ, 5მ), აბაიშვილი, ჩაჩანიძე (15ქ), ყველაშვილი (11ქ, 12მ, 3პ, 5დ), ჯ. არაბული (4ქ), გუგავა (12ქ, 9მ), ოქროჭელიძე (4ქ).

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, მ. ვართანოვი, მ. ანდღულაძე

არმიელებმა მეორე მატჩში უკეთ იასპარეზეს და საბოლოოდ 100 ქულამდეც დაამრგვალეს. ძალთა თანაფარდობიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, სერია რუსთავში დასრულდება.

## ერთიც და ნახევარფინალია

30 აპრილი, თბილისი

**დინამო-ოლიმპი 89:49**

19:14, 19:11, 25:10, 26:14

**დინამო:** გამყრელიძე (10ქ, 4პ), ს. ლეჟავა (7ქ), კარტერი (21ქ, 15მ), ბ. ლეჟავა (11ქ, 3პ), ბიბილური, ვახანია, ლილუაშვილი (5ქ), მილოშევიჩი (8ქ, 13მ), პეშიჩი (9ქ), ჭოჭუა (13ქ, 7მ), ორმოცაძე, სტოიაკოვიჩი (5ქ).

**ოლიმპი:** გულისაბედაშვილი (1ქ), ნადირაძე (2ქ), მიქელაძე (4ქ, 6პ), გოგოძე (2ქ), ხანიაშვილი (2ქ), თენიეშვილი (10ქ), ათანელიშვილი (10ქ, 6მ), ჩიტაშვილი (10ქ), ფხაკაძე, მათიაშვილი (2ქ, 9მ), ხიზანიშვილი (6ქ), ლომიძე.

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, მ. ვართანოვი, ი. ბერიშვილი

ისევე როგორც „არმიას", „დინამოს" საფიქრალიც ნახევარფინალია და მეოთხედფინალს სწორედ მომდევნო ეტაპისთვის მოსამზადებლად იყენებს.

საამისოდ კარგი სპარინგი გამოუვიდა „ოლიმპთან".

**ვაჟა სიმონიშვილი**

გიორგი ჯიქიას ფოტოები

## გათანაბრდა

30 აპრილი, ქუთაისი

**ქუთაისი-სოხუმი 81:70**

15:17, 23:15, 23:16, 20:22

**ქუთაისი:** ფაშაევი (22ქ, 9პ), დიდია (4ქ, 6პ), ცეკვავა (16ქ, 6პ), გ.ბარბაქაძე (17ქ, 9მ), ა.დვალიშვილი (15ქ, 20მ), გრძელიძე, ცირეკიძე, დ. ბარბაქაძე (7ქ)

**სოხუმი:** ჩლაიძე (34ქ), ბააკაშვილი (5ქ, 9პ), ქადარია (6ქ, 6პ), დეკანოიძე (2ქ), ბექაური (10ქ, 15მ), კოპალიანი (3ქ), გოლეთიანი, მარგალიტაძე, შვანგირაძე (10ქ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერიშვილი, გ. მიქელაძე.

პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრაში განცდილი მარცხის შემდეგ, „ქუთაისმა" შეცდომები გააანალიზა და მეორე მატჩში უფრო მობილიზებული გამოვიდა. **მალხაზ კოხრეიძის** შეგირდები თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას და სოხუმელთა მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, სერიაში ანგარიში გაათანაბრეს.

სტუმრებს მეტოქის ფარქვეშ საკმაოდ უჭირდათ და აქცენტი სამქულიანებზე გააკეთეს. სოხუმელთა ტაქტიკამ გაამართლა, **ჩლაიძემ** ქუთაისელებს პერიმეტრიდან ზედიზედ ორი სამქულიანი ჩაუგდო და საკუთარი გუნდი დააწინაურა - 13:17. პირველი პერიოდიც სოხუმელთა მოგებით 15:17 დასრულდა.

მეორე მეოთხედის დასაწყისში **ფაშაევმა და ჩლაიძემ** სამქულიანები გაცვალეს, რასაც **დავით ბარბაქაძის, დვალიშვილის** და ფაშაევის შედეგიანი შეტევები მოჰყვა და „ქუთაისი" 8 ქულით დაწინაურდა (30:22). მალხაზ კოხრეიძის შეგირდები მთლიანად დაეუფლნენ უპირატესობას, ცეკვავას ზუსტი სამქულიანისა და დვალიშვილის ორქულიანის შემდეგ ტაბლოზე მათ სასარგებლოდ 14-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა (38:24). სოხუმელებს მხსნელად ჩლაიძე მოევლინათ. მისი შესანიშნავი თამაშის წყალობით, რომელმაც პირველი მეოთხედის ბოლო წამებზე ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო, სოხუმლებმა სხვაობა საგრძნობლად შეამცირეს და დიდ შესვენებაზე მხოლოდ 6-ქულიანი ჩამორჩენით გავიდნენ (38:32).

მესამე მეოთხედის დასაწყისიდან მასპინძელთა გუნდი აღმაფრენით თამაშობდა და სტუმრები მათ გამკლავებას ვერ ახერხებდნენ, გიგი ბარბაქაძის ზუსტი სამქულიანისა და ფაშაევის ორქულიანის შემდეგ ტაბლოზე 22-ქულიანი სხვაობა დააფიქსირა 61:39. „სოხუმი" არ ნებდებოდა: ბოლო მეოთხედი სტუმართა სნაიპერის ირაკლი ჩლაიძის ზედიზედ ორი ზუსტი სამქულიანით დაიწყო და ქუთაისელთა უპირატესობაც თვალსა და ხელს შუა გაქრა - სოხუმელებმა 15:0 გაქცევა მოაწყვეს და სხვაობა 7 ქულამდე შეამცირეს - 61:54. მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა მალხაზ კოხრეიძემ წუთშესვენება აიღო, რის შემდეგაც „ქუთაისმა" სხვაობა ისევ გაზარდეს (75:58) და მას მერე უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვიათ. მასპინძლებმა მეტოქე 11 ქულის სხვაობით დაამარცხეს (81:70) და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სერიაში ანგარიში გაათანაბრეს.

„ქუთაისმა" „სოხუმს" სტატისტიკურად ყველა კომპონენტში აჯობა, განსაკუთრებით დიდი სხვაობა საჯარიმოებში დაფიქსირდა: მასპინძლებმა 11 დან 9 (81.8%) საჯარიმო გამოიყენეს, სტუმრები კი ცამეტჯერ დადგნენ ფართან და აქედან კალათში ბურთი მხოლოდ ხუთჯერ (38.5%) მოათავსეს.

ქუთაისელთაგან 15 ქულითა და 20 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა აკაკი დვალიშვილმა. სასარგებლოდ გაისარჯა ზაურ ფაშაევი, რომელიც საკუთარ გუნდს 22 ქულითა და 9 შედეგიანი გადაცემით შეენია. სტუმართაგან 10 ქულითა და 15 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა **ბექა ბექაურმა**, საუკეთესო მოთამაშედ კი „სოხუმის" მარცხის მიუხედავად მისი სნაიპერი ირაკლი ჩლაიძე უნდა დავასახელოთ, რომელმაც შეხვედრაში ყველაზე მეტი 34 ქულა დააგროვა. აღსანიშნავია, რომ სოხუმელთა ლიდერმა შორი დისტანციიდან 13-ჯერ ისროლა და 8 ჩააგდო (61.1%). თანაგუნდელებს მისთვის მხარი რომ აებათ, ალბათ, მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდებოდა.

**დავით კოხრეიძე**

ქუთაისიდან

აღიარება

## შერმადინი MVP-ად დაბრუნდა

საქართველოს ნაკრების ცენტრი **გიორგი შერმადინი** ბერძნულ „ოლიმპიაკოსში" თებერვალში გადავიდა და გუნდს მხოლოდ ევროლიგაზე ეხმარებოდა. ამ შეჯიბრებიდან გამოთიშვის შემდეგ პირეოსელები მთლიანად საბერძნეთის ჩემპიონატზე გადაერთვნენ და მიმდინარე სეზონში შერმადინის დებიუტიც „კიფისიასთან" შედგა. გაიმარჯვა „ოლიმპიაკოსმა" - 75:67.

მართალია, გიორგიმ მოედანზე მხოლოდ 14 წუთი გაატარა, მაგრამ მატჩის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა. მისი სტატისტიკიდან გამომდინარე, ეს არც არის გასაკვირი: 13 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი. მის ანგარიშზე 6-დან 5 საჯარიმო და 7-დან 4 ორქულიანია.

25 მატჩიდან 23 მოგებით „ოლიმპიაკოსი" საბერძნეთის ჩემპიონატში მეორე პოზიციაზეა. პირველია „პანათინაიკოსი" - 24 გამარჯვება.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

# გადამწყვეტი ბრძოლების ჟამი დადგა


არმაზი-ხარები

**საქართველოს ჩემპიონატის რეგულარული გათამაშება დასრულდა. ის „არმიამ" მოიგო, თუმცა ეს ყველაფერი არ არის. წინ გადამწყვეტი მატჩებია, რომელიც სეზონის საუკეთესო გუნდს გამოავლენს. ჩემპიონატის პირველი ექვსეული პლეი ოფში ითამაშებს. დარჩენილი ოთხიდან ორი, თბილისის „არმაზი" და რუსთავის „ხარები", კი იუქმებს.**

უმაღლეს ლიგას გამოემშვიდობა თბილისის „აკადემია". გუნდი, რომელიც უძლიერესთა შორის ყოველთვის გამორჩეული იყო ბრძოლისუნარიანობით, თუმცა თუ ერთ სეზონს არ ჩავთვლით, ფინანსურად არასდროს ულხინდა. ალბათ, სწორედ ამის შედეგია, რომ გუნდი ყოველი სეზონის დაწყების წინ წყებაწყება კარგავდა მოთამაშეებს.

„აკადემიას" შესანიშნავი სკოლა აქვს. ამ კლუბის ახალგაზრდული გუნდები ჭაბუკთა ლიგებში წამყვან პოზიციებზე არიან და საქართველოს ყველა ასაკობრივ ნაკრებში რამდენიმე მორაგბე ჰყავს მივლენილი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „აკადემიას" აღზრდილია საქართველოს ნაკრების შუამარბი, ქართული რაგბის იმედი **მერაბ შარიქაძე**, რომელიც „ლელოს" გამოკითხვაში 2013 წლის საუკეთესო სპორტსმენებს შორის მესამე ადგილზე გავიდა.

ცხადია, ასეთი თვითმყოფადი, საკმაოდ პროდუქტიული კლუბის უმაღლესი ლიგიდან გავარდნა ქართული რაგბისთვის პოზიტიური არ არის. თუმცა, კარგი გაკვეთილია თვითონ გუნდის ხელმძღვანელებისთვის. სწორი ანალიზისა და დასკვნების გაკეთების შემდეგ, მათ შეუძლიათ წამყვანი ქართული გუნდების მარაქაში ისევ დაბრუნდნენ.

უმაღლესი ლიგიდან გავარდნის ზღვარზეა „ბათუმი", რომელმაც რეგულარულ გათამაშებაში ბოლოსწინა ადგილი დაიკავა. ზღვისპირელებს პირველ ლიგაში დაქვეითება მაინც ემუქრებათ, რადგან გადათამაშებაში ორჯერ უნდა დაუპირისპირდნენ ქუთაისის „ბაგრატს", რომელიც ზედიზედ სამი წელიწადია უმაღლეს ლიგაში აღზევებას ცდილობს, თუმცა უშედეგოდ.

„ბათუმს" საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპის დაწყების წინ რამდენიმე უცხოელი მორაგბე დაემატა, თუმცა ეს გუნდის თამაშს დიდად არ დასტყობია. მიზეზად, შესაძლოა, ძველი და ახალი მორაგბეების შეუთამაშებლობა დავასახელოთ. თუმცა, ყველა შემთხვევაში ბათუმელებს მინიმუმ უკეთ უნდა ეთამაშათ, ვიდრე პირველ ეტაპზე იასპარეზეს. ზღვისპირელთა ქომაგების სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა და გუნდი ისევ საფრთხის წინაშე დგას.

როგორც უკვე ვთქვით, პლეი ოფის მიღმა დარჩნენ თბილისის „არმაზი" და რუსთავის „ხარები". არმაზელებმა სეზონი რიხიანად, დაიწყეს და მედლებისთვის ბრძოლაში უმთავრესი ფავორიტები იყვნენ. გუნდი, საქართველოს ნაკრების კაპიტნის **ირაკლი მაჩხანელის** მისვლის შემდეგ, „ბორჯღალოსნების" ყოფილმა კაპიტანმა **ირაკლი აბუსერიძემაც** გააძლიერა. თუმცა „არმაზს", როგორც ჩანს, სათადარიგო სკამის სიმოკლემ საშუალება არ მისცა ბოლომდე ალმავლობით ეთამაშა, რეგულარული გათამაშების ფინიშზე ზედიზედ ოთხი მატჩი წააგო და მედლებისთვის ბრძოლას ჩამოსცილდა.

„ხარები" კი, „არმაზისგან" განსხვავებით, მთელი სეზონის განმავლობაში აუტსაიდერთა შორის იყო და მისი ბედი სასიკეთოდ მხოლოდ ბოლო ტურშილა გადაწყდა. აღსანიშნავია, რომ რუსთაველებმა ბოლო ტურში სტუმრად სწორედ „არმაზს" მოუგეს - 16:14.

ახლა ჩემპიონობის მაძებრებზეც ვთქვათ. ბოლო ტურში ერთმანეთის პირისპირ ლიდერები, ქვეყნის ჩემპიონი თბილისის „ლელო" და გათამაშების ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი „არმია" დადგნენ. გამარჯვება არმიელებს დარჩათ და პირველ ადგილზე გავიდნენ. თუმცა, ამით თითქმის არაფერი შეცვლილა, რადგან შესარჩევ ფინალში მათ ისევ „ლელოსთან" მოუწევთ დაპირისპირება, რომელსაც გადამწყვეტ მატჩებში მაქსიმალურად მობილიზება სჩვევია, რაც საბოლოოდ წარმატების საწინდარია. თუმცა, გასათვალისწინებელია ერთი ნიუანსიც. ბოლო ტურის მატჩში დაშავდა „ლელოსა" და საქართველოს ნაკრების მგეზავი **ლაშა ხმალაძე,** რომელიც შესაძლოა გუნდს პლეი ოფში ვეღარ დაეხმაროს.

შესარჩევ ფინალს სხვათაგან ის უპირატესობა აქვს, რომ წაგებული ჩემპიონობის შანსს არ კარგავს და წინასწარ ფინალში ითამაშებს, რათა ისევ ოქროს მედლებისთვის ბრძოლა განაგრძოს.

ჩემპიონობაზე პრეტენზია მარტო ამ ორ გუნდს როდი აქვს. რეგულარული გათამაშება მესამე ადგილზე დაასრულა ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა თბილისის „ლოკომოტივმა", რომელიც ჩემპიონატის ბოლო ეტაპზე ტრადიციულად ბევრად უკეთ თამაშობს, ვიდრე სეზონის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ სეზონის წინ გუნდი რამდენიმე წამყვანმა მორაგბემ დატოვა, რკინიგზელებმა მაინც მოახერხეს ლიდერებში ადგილის დამკვიდრება და, დარწმუნებულნი ვართ, მიზნად ჩემპიონობა აქვთ დასახული.

გასავარდნ ფინალში მოსახვედრად „ლოკომოტივმა" ჯერ მეექვსეადგილოსანის, თბილისის „ჯიქების" წინააღმდეგობა უნდა დასძლიოს, რომელიც საკმაოდ ბრძოლისუნარიანი, ჟინიანი გუნდია და მხოლოდ პლეი ოფში მოხვედრით არ დაკმაყოფილდება.

მეორე წყვილში კი ბოლნისის „ყოჩები" შინ მიიღებს ქუთაისის „აიას", რომელსაც ამავე საჩემპიონო ამბიციები აქვს და საამისო პოტენციალიც გააჩნია. ცხადია, იგივეზე ოცნებობს „ყოჩებიც", რომელმაც ბოლნისის გამგეობის ფინანსური დახმარებით კრიზისი დასძლია და ისევ მისთვის ჩვეულ მდგომარეობას დაუბრუნდა.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არმია | 18 | 13 | 1 | 4 | +186 | 63 |
| 2.ლელო | 18 | 12 | 0 | 6 | +235 | 59 |
| 3.ლოკომოტივი | 18 | 13 | 0 | 5 | +89 | 58 |
| 4.ყოჩები | 18 | 12 | 1 | 5 | +82 | 56 |
| 5.აია | 18 | 11 | 0 | 7 | +123 | 52 |
| 6.ჯიქები | 18 | 9 | 2 | 7 | +47 | 47 |
| 7.არმაზი | 18 | 8 | 0 | 10 | -121 | 36 |
| 8.ხარები | 18 | 5 | 0 | 13 | -188 | 23 |
| 9.ბათუმი | 18 | 3 | 0 | 15 | -285 | 17 |
| 10.აკადემია | 18 | 2 | 0 | 16 | -168 | 17 |

**უმაღლესში ასასვლელი**

**11 მაისი**

ბაგრატი-ბათუმი

**პლეი ოფი**

**3 მაისი**

ლოკომოტივი-ჯიქები
ყოჩები-აია

**შესარჩევი ფინალი**

**10 მაისი**

არმია-ლელო

**ბესიკ ჯანგავაძე**


ლოკომოტივი-ხარები

შეხვედრა წარსულთან


ს. პ. ქ. ს. ფიზკულტურის ცენტრალური ბიურო

სახ. ცირკის შენობაში

პროგრამა
30 ივლისს

ჭიდაობენ:
1. ენაგელი და აბააზოვი
2. კახეთელიძე და ალავერდოვი
3. ბაბალოვი და მაისურაძე
4. ბასიაშვილი და ოსიტაშვილი
5. საგანელიძე და მჭედლიშვილი
6. ხირაძე და ოროქანოვი
7. სტეფანიშვილი და ფილაური
8. დავიდოვი და ბელიძე (პირველობაზე)
9. მინასიანცი და მიხანაშვილი შაქრო
10. ლომიძე და სხირტლაძე
11. ჟურაშვილი და ბოკვერაძე
12. დუმბაძე და მიხანაშვილი არტაშა
13. პაპიაშვილი და დიდიბაშვილი
14. მიქანაძე და ცხადიაშვილი
15. მესხიშვილი და ბადაშვილი
16. ფარსიევოვი და შარაბიძე
17. ახვერდოვი დათა და ჯიჯიაშვილი
18. თითაძე აქია და მიპინაძე
19. მექოქიშვილი და რჩეულიშვილი

დასაწყისი 8 საათზე

Главлит № 1290 Типогр. п-т. № 3. Заказ № 2053 Тираж 300 экз.

# რას მოგვითხრობენ აფიშები

*დასასრული. დასაწყ. იხ. „ლელოს" გუშინდელ ნომერში*

ქართული ჭიდაობის გარდა საჭიდაო მოედანზე გამოდიოდნენ ფრანგული ჭიდაობის ოსტატები, სრულდებოდა ძალისმიერი ნომრები და საცირკო წარმოდგენები. ხალხური და კლასიკური მუსიკა და ა.შ. სამწუხაროდ, ნაკლებადაა ინფორმაციები შედეგების შესახებ, თუ ვინ ვის მოუგო.

აფიშებში წინასწარ იყო დაბეჭდილი თუ, რომელი მოჭიდავე ვის შეერკინებოდა. 1910 წლის 19 აგვისტოს „სახალხო გაზეთი" კი აცხადებს: „ხუთშაბათს 19 აგვისტოს ქართულ საზაფხულო თეატრში ჭიდაობის ბენეფისი და ჯილდოთა დარიგებაა. გადამწყვეტი და დასაბოლოებელი ჭიდაობა!

1. საჩუქარი - ცისფერი ლენტი და ქ. ტფილისის ფალავნის წოდება.

2. საჩუქარი - დიდი ოქროს მედალი;
3. საჩუქარი - დიდი ვერცხლის მედალი.
4. საჩუქარი - ვერცხლის პატარა მედალი; 5. საჩუქარი - ვერცხლის აზარფეშა.

ბალში შესასვლელი ფასი - 20 კაპ.

1910 წლის ამავე გაზეთის 25 ივლისის ნომერში ასეთი აფიშაა: „დიდუბეში „კავკასიის ჭიდაობა" მამადავითის ეკლესიის სკოლის სასარგებლოდ".

9 საინტერესო ჭიდაობა კულას თანდასწრებით.

1. ნორიოელი ქონდარა ლონიაშვილი და გიორგი ჯიბგირი;

2. გიორგი დოთიაშვილი (გორელი) და მიხეილ ჩაგროვი;

3. გაგუა ვერელი და რაჟდენ გაბათაშვილი (ლილოელი);

4. პატარა კახელი და ირაკლი გოცაძე;

5. ბებერუა როსტიაშვილი და მერაბიშვილი (კუნძულა);

6. ნიკა ტილიშვილი და ალექსანდრე ისაკაძე;

7. ვასილ კოშკელაშვილი (ნავთლუღელი); 9. არტემ ყირიმელი (გლდანელის ძმის შვილი) და გიორგი ხალიანი (კახელი).

გარდა ამისა იჭიდავებენ მოყვარულები - წერია განცხადებაში. როგორც აფიშებიდანაც კარგად ჩანს - ბევრი ფალავანი შერქმეული სახელითა და გვარით ჭიდაობდნენ. სინამდვილეში კი, მაგალითად გიორგი ჯიბგირი - ოდიშვილია, შაშო ვერელი - კახნიაშვილი, ალექსი ლამისყანელი - ქენქაძე, ისაკა მთიელი - ახალაური და ა.შ.

ერთ-ერთი აფიშა გვამცნობდა: 1931 წლის 18 ივლისს, სახ. ცირკში გაიმართება ქართული ჭიდაობა ტფილისის პროფკავშირების ხაზით, სადაც 22 მოჭიდავე წყვილია ჩამოთვლილი მხოლოდ გვარებით. რამდენიმეს სახელსა და გვარს მოგახსენებთ: ვახტანგ ჭიჭინაძე, ლადო გოგიბედაშვილი, მიტო გლდანელი (სუხიტაშვილი), ნიკოლოზ პაპიაშვილი (პოხრო), ლავრენტი კახეთელიძე...

1939 წლის 12 აგვისტოს აფიშა იუწყება სახ. ცირკში გამართულ თბილისის პირველობას. აფიშას ბოლოში აქვს ასეთი მინაწერი - დაუკრავს ზურნა.

1946 და 1948 წლების საქართველოს აბსოლუტურ ფალავნობაზეც დაიბეჭდა სათანადო აფიშები.

ორივე შეჯიბრებაზე საქართველოს ფალავანი გახდა ზაქარია ბაკურაძე, რომელიც 1946 წელს ბათუმის, ხოლო 1948 წელს უკვე ახმეტის სახელით გამოდიოდა.

საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს პირველი ხუთგზის ფალავანი ქართულ ჭიდაობაში ახმეტელი ზაქარია ბაკურაძე (1924-1979), მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ე.წ. „ზურგში", ბათუმში მსახურობდა ჯარში და, რაღა თქმა უნდა, ამ ქალაქის სახელით ასპარეზობდა.

1948 წლის საქართველოს აბსოლუტურ ფალავნობაზე მაგალითად გამოდიოდნენ: ზაქარია ბაკურაძე, ესტატე ქარქუსაშვილი, შოთა დაუშვილი, შალვა ნათელაშვილი, შოთა ბარჯაძე, ვახტანგ ნასყიდაშვილი, შალვა გზირიშვილი, ვახტანგ ლაფაური, სულიკო ბადურაშვილი, სიმონ მაისურაძე, გიორგი როსტიაშვილი... სულ 16 ათლეტი. მსაჯთა კოლეგიაში იყვნენ: მიხეილ ხერხეულიძე, ილია თომაშვილი, აკაკი ადეიშვილი, გიორგი კახნიაშვილი, გიორგი ბოგდანოვი, ირაკლი ყანჩელი, დიმიტრი მიქაძე, ქრისტეფორე ნინიაშვილი.

1952 წლის აფიშიდან ვგებულობთ, რომ სპორტულ საზოგადოებათა გუნდურ პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში დაწესებული ყოფილა გარდამავალი ჯილდო - ვერცხლის ყანწი, რომელიც 1949 წლიდან მოუპოვებია საზოგადოება „მეცნიერების" გუნდს. ეს გუნდი თურმე თბილისის ამხანაგ ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოჭიდავეებისაგან შესდგებოდა...

ერთ-ერთი აფიშა იუწყება, რომ ს.პ.კ-ს ფიზკულტურის ცენტრალური ბიურო სახ. ცირკის შენობაში აწყობს ჭიდაობას. დასაწყისი: 30 ივლისს 8 საათზე. მაგრამ იქ არ წერია, რომელი წლისაა ეს აფიშა. სულ 19 წყვილი ანუ 38 მოჭიდავეა ჩამოწერილი. სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს 30-იანი წლები. უფრო ზუსტად 1928-1935 წლების პერიოდი, რადგან აფიშის მიხედვით ლეგენდარული არსენ მეკოკიშვილი აქ ერკინება რჩეულიშვილს (სახელი არ არის მითითებული) 1928 და 1931 წლებში საქართველოს ფალავნობა ანუ აბსოლუტური პირველობა შესაბამისად მოიპოვეს - შალვა რჩეულიშვილმა (თბილისი) და გიორგი-ჟორა რჩეულიშვილმა (გორი). როგორც ჩანს არსენა მეკოკიშვილი ერთ-ერთ რჩეულიშვილს სწორედ ამ წლებში დაეჭიდა. არსენი ხომ 1928 წლიდან გამოჩნდა საჭიდაო სარბიელზე.

**გაბრიელ ბარჯაძე**

● ფორმულა 1



# ბაჰრეინს აფეთქებას უპირებდნენ

ხუთწლიანი პატიმრობით დაისაჯა ხუთი ადამიანი, მათ შორის ერთი ქალი, რომლებიც 2013 წელს ბაჰრეინის გრან-პრის ჩაშლას ცდილობდნენ, - იტყობინება ადგილობრივი სააგენტო BNA.

სასამართლო მოსმენისას ცნობილი გახდა, რომ რბოლის ჩატარების დღეს ნახსენებმა ქალმა ავტოდრომზე ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობის შეტანა სცადა, მაგრამ პოლიციამ დააკავა.

2011 წლიდან მოყოლებული, ბაჰრეინში მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები მიმდინარეობს, რამაც ის გამოიწვია, რომ იმ სეზონში რბოლა გააუქმეს. 2012 წელს, გრანპრი კალენდარში დაბრუნდა, მაგრამ ადგილობრივი ოპოზიცია ძველებურად ცდილობს რბოლის გამოყენებას საკუთარი პრობლემებისთვის საზოგადოების ყურადღების მისაქცევად, იმ დროს, როცა მთავრობას იმედი აქვს, რომ ფორმულა 1-ის ეტაპი გაზრდის სახელმწიფოს პოპულარობას ტურისტებში და უფრო მიმზიდველი იქნება ინვესტორებისთვის.

# ბატონს ტრავმა არ აქვს



ჯენსონ ბატონი

გასულ უქმეებზე გაჩნდა ჭორი იმის შესახებ, რომ „მაკლარენის“ პილოტმა **ჯენსონ ბატონმა** კანარის კუნძულებზე გამართული ტრიატლონის შეჯიბრება ტრავმის გამო ვერ დაასრულა.

პრესამ ივარაუდა, რომ ბრიტანელ პილოტს ფეხის ტრავმა აქვს, ამიტომაც შეიძლება გამოტოვოს მომავალ კვირას ესპანეთის გრანპრი. მაგრამ გუშინ გაირკვა, რომ ეს ჭორი სიმართლეს არ შეესაბამება და ჯენსონს ბარსელონას ტრასაზე ვიხილავთ.

*„ჯენსონმა გადაწყვიტა არ დაესრულებინა ტრიატლონში გამოსვლა, მაგრამ ის აბსოლუტურად ჯანმრთელია და შესანიშნავად გრძნობს თავს, პრესამ კი მცდარი ვარაუდი გამოთქვა. მას არანაირი ტრავმა არ აწუხებს. დღეისთვის ჯენსონი სარბოლო სიმულატორზე მუშაობს და ესპანეთის მომავალი გრანპრისთვის ემზადება“*, - წერია „მაკლარენის“ განცხადებაში.

# ბაქოს ევროპის გრანპრი მისცეს

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ფორმულა 1-ის მთავარ პრომოუტერს **ბერნი ექსლტოუნს** სურს რბოლის ჩატარება ბაქოს ქუჩებში. როგორც ბრიტანული ვებგვერდი Inside the games წერს, ახლა ამ პროექტმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია: ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობასა და აზერბაიჯანის მთავრობას შორის.

*„ჩვენ ხელი მოვაწერეთ კონტრაქტს ბერნი ექლსტოუნთან და უახლოეს ხანში ოფიციალურ განცხადებას გავაკეთებთ, აგრეთვე ბაქოში პრეზენტაციას ჩავატარებთ“*, - განაცხადა აზერბაიჯანის ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრმა **აზად რაგიმოვმა**.

ვარაუდობენ, რომ აზერბაიჯანის ეტაპი მიიღებს სახელწოდებას - ევროპის გრანპრი და ის ბაქოს ქუჩებში 2016 წელს გაიმართება. ამასთან, ქალაქს აქვს რბოლების ჩატარების გამოცდილება: 2012 წლიდან საკონცერტო კომპლექს Cristal Hall-ისა და სახელმწიფო დროშის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე იმართება GT3-ის სერიის ეტაპი - City Challenge Baku.



# ჰაასი 2016 წლისთვის გადაიდო

ამერიკელმა ბიზნესმენმა **ჯინ ჰაასმა**, რომელმაც ამასწინ ფორმულა 1-ში გამოსვლის ლიცენზია მიიღო, გადაწყვიტა, 2016 წლისთვის გადადოს თავისი გუნდის დებიუტი „სამეფო რბოლებში. ადრე ამერიკელი ამბობდა, რომ ერჩივნა დებიუტი 2015 წლის სეზონში ჰქონოდა, თუმცა იმასაც აღნიშნავდა, რომ დრო ძალიან ცოტა რჩებოდა გუნდის შესაკრებად და კარგი ბოლიდის მოსამზადებლად.

ამ მომენტისთვის ახალი გუნდი „ჰაასი“ ჯერ არ ჩამოყალიბებულა არც შასის მწარმოებლისა და არც ძრავების მიმწოდებლის მხრივ. ვარაუდობენ, რომ ბოლიდის კორპუსს გუნდისთვის დაამზადებს „დალარა“, ხოლო ძრავებით მოამარაგებს „ფერარი“ ან „მერსედესი“.

● კალათბურთი. NBA პლეი ოფი

# ხარებმა სეზონი დაასრულეს

„ვაშინგტონი“ 2005 წლის შემდეგ პირველად გავიდა პლეი ოფის მეორე რაუნდში. „ჯადოქრებისა“ და „ჩიკაგოს“ ბოლო შეხვედრა ყველაზე დაბალშედეგიანი აღმოჩნდა წლევანდელ პლეი ოფში. პირველ ტაიმში გუნდები ძალიან ნელა გადადიოდნენ დაცვიდან შეტევაში, მეორე ნახევარში კი თამაშის ტემპი კიდევ უფრო დაეცა. ასეთი ნელი თამაშისას გამოჩნდა, რომ „ხარებს“ შეტევაში ფანტაზია ამოეწურათ. მესამე მეოთხედში მასპინძლებმა მხოლოდ 11 ქულა დააგროვეს და სტუმრები ბოლო 12-წუთეულის წინ 9 ქულით დაწინაურდნენ.

მაგრამ მეოთხე მატჩის მსგავსად, „ბულზმა“ შეძლო მეტოქის დაწევა და მატჩისთვის ინტრიგის ბოლომდე შენარჩუნება. მაშინ „ჩიკაგოს“ თამაშში დაბრუნებას **ტაჯ გიბსონი** მეთაურობდა, თუმცა, ამჯერად, გადამწყვეტ მომენტში „ხარები“ თავიანთი ჯოკერის გარეშე დარჩნენ. **ჯონ უოლისთვის** ხელის შეშლისას, გიბსონი ცუდად დაეცა მოედანზე და ფეხი დაიზიანა, რის გამოც ველარ შეძლო მოედანზე დაბრუნება.

მიუხედავად ამისა, „ჩიკაგომ“ გაიბრძოლა და სცადა სერიაში საკუთარ მოედანზე პირველი მატჩის მოგება. სხვაობა რვა ქულიდან სამამდე შემცირდა, თუმცა ბოლო წამებზე მასპინძლებმა გამარჯვების რამდენიმე კარგი შანსი გაანიავეს. ერთ მომენტში **ჯიმი ბატლერმა** ვერ შეძლო ფარქვეშიდან კარგი კომბინაციის დასრულება, სირენამდე 14 წამით ადრე კი საკუთარ ფარზე მოხსნა ვერ შეასრულეს.

„ვაშინგტონი“ მეოთხედფინალში მეტოქეს ელოდება, რომელიც „ატლანტასა“ და „ინდიანას“ სერიაში გაირკვევა. ამ მომენტისთვის „პოქსი“ წინ არის - 3:2.

**ჩიკაგო-ვაშინგტონი 69:75**

**15:23, 26:18, 11:20, 17:14**

**ჩ**: ჰაინრიხი (16), ბატლერი (16), გიბსონი (12+3 დაფარება), ბუზერი (10+9 მოხსნა), ნოა (6+18 მოხსნა+7 პასი+3 დაფარება).

**ვ**: უოლი (24+7 მოხსნა), ნენე (20+7 მოხსნა), ბილი (17+5 მოხსნა), გორტატი (2+13 მოხსნა+3 დაფარება).

**სერია: 4-1**



ვაშინგტონმა ცხრაწლიანი ნავსი გატეხა

# ოკლაჰომა ბეწვის ხიდზე



კლიპერსს ერთი მოგება დარჩა

„ოკლაჰომასა“ და „მემფისის“ სერია სანახაობრივად და დაძაბულობით არ ჩამოუვარდება „ჰიუსტონისა“ და „პორტლენდის“ დაპირისპირებას. წინა ოთხ მატჩში გუნდებმა სამი ოვერტაიმი ითამაშეს, გუშინ კი მეოთხედ გაირკვა გამარჯვებული დამატებით დროში. არადა, გარკვეულ მომენტში ინტრიგა თითქმის არ არსებობდა: „მემფისმა“ პირველივე წამებიდან მოიპოვა ლიდერობა და მესამე მეოთხედში სტუმრების უპირატესობამ 20 ქულას მიაღწია. მაგრამ მასპინძლებმა ამას მძლავრი გაქცევით უპასუხეს და მეოთხე მეოთხედში ბრძოლა თავიდან დაიწყო.

ძირითად დროს საინტერესო დასასრული ჰქონდა. სირენამდე 30 წამით ადრე, **ტონი ალენმა** მეორე ჯარიმა გააფუჭა, მაგრამ მოხსნა **ტაიშონ პრინსმა** აიღო. მასპინძლები ორ ქულას აგებდნენ, მაგრამ შეგნებული ჯარიმა მაინც არ აიღეს და ამ სვლამ გაამართლა. **მაიკ კონლი** შეტევას ამზადებდა, როცა მას ბურთი მოპარა **რასელ უესტბრუკმა**. რამდენიმე წამში ანგარიში თანაბარი იყო.

„მემფისს“ კიდევ რჩებოდა შეტევისთვის ოთხი წამი. სტუმრებმა სამსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს: კონლი-**გასოლი-რენდოლფი**. ამ უკანასკნელმა ჩაგდებაც შეძლო, მაგრამ ეს მაშინ გააკეთა, როცა დრო უკვე გასული იყო. დაინიშნა ოვერტაიმი, რომელშიც გადამწყვეტი აღმოჩნდა კონლის ფარქვეშ შესვლა ერთი წუთით ადრე. 20 წამის შემდეგ საჯარიმოს ხაზზე **კევინ დურანტი** დადგა, რომელმაც პირველი ბურთი ჩააგდო, მაგრამ მეორე ააცილა და „ოკლაჰომა“ ისევ მდევრის როლში აღმოჩნდა. სათამაშო რჩებოდა 30 წამზე ოდნავ მეტი.

„თანდერის“ მთავარი მწვრთნელი **სკოტ ბრუქსი** ისევ ენდო თავის დამცველებს და ისევ გაუმართლა. მასპინძლებმა „გრიზლისს“ თამაშის წესი დაარღვევინეს და ბურთის ფლობის უფლება მოიპოვეს სირენამდე 2.9 წამით ადრე. ბუნებრივია, ბურთი დურანტს მიაწოდეს, რომელმაც რთული სიტუაციიდან ვერ ჩააგდო, მაგრამ შეტევაში ბურთი იბაკამ მოხსნა და სირენასთან ერთად ჩააგდო. მოედანზე სრული გაურკვევლობა სუფევდა. „თანდერის“ წევრები ზეიმობდნენ, „დათვები“ კი მსაჯებისგან სამართლიანობის აღდგენას ითხოვდნენ. ვიდეოჩანაწერის დაწვრილებით შესწავლის შემდეგ, მსაჯებმა გაარკვიეს, რომ იბაკამ ბურთი მაშინ ისროლა, როცა თამაშის დრო უკვე ამოწურული იყო. ასე რომ, ხვალ მემფისში სერიის მეექვსე მატჩში „ოკლაჰომას“ წაგების უფლება არ აქვს.

**ოკლაჰომა-მემფისი 99:100 (ო)**

**25:30, 18:25, 27:21, 20:14, 9:10**

**ო**: უესტბრუკი (30+13 პასი+10 მოხსნა), დურანტი (26+8 მოხსნა), იბაკა (15+12 მოხსნა), ბატლერი (15+5 მოხსნა).

**მ**: მილერი (21+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), რენდოლფი (20+10 მოხსნა), კონლი (17), გასოლი (11+15 მოხსნა).

**სერია: 3-2**

■ ■ ■

რა თქმა უნდა, „კლიპერსთან“ დაკავშირებული რასისტული სკანდალი მთავარი განსახილველი თემაა და მასზე ამ ნომერში ცალკე მოგიყვებით. თუმცა არანაკლები დაძაბულობა იყო მოედანზე ლოსანჯელესური კლუბისა და „გოლდენ სტეიტის“ მეხუთე შეხვედრაში. „კლიპერსი“ თამაშის სტარტიდანვე დაეუფლა ინიციატივას, მაგრამ დროდადრო მეტოქეს მიახლოების საშუალებას აძლევდა. შესაბამისად, ბოლო მეოთხედის წინ, მასპინძლების უპირატესობა მხოლოდ 5 ქულას შეადგენდა.

მეოთხე 12-წუთეულის სტარტზე „კლიპერსმა“ 14 ქულა დააგროვა. ეს ორი კალათბურთელის - **ბლეიკ გრიფინისა** და **ჯამალ კროუფორდის** მონაგარი იყო. კიდევ ორი შეტევის შემდეგ კი **კრის პოლმა** სამი ზუსტი საჯარიმო ჩააგდო. სირენამდე 5.46 წუთით ადრე, სხვაობა 10 ქულამდე გაიზარდა. „უორიორზმა“ მეტოქის ცენტრალურ თავდამსხმელზე **დეანდრე ჯორდანზე** შეგნებული ჯარიმების ტაქტიკის გამოყენება სცადა, მაგრამ ეს კალათბურთელი ამჯერად საჯარიმოს ხაზიდან საკმაოდ დამაჯერებლად ესროდა. „გოლდენ სტეიტის“ რამდენიმე შეცდომის შემდეგ, სხვაობა 11 ქულამდე გაიზარდა და ცხადი იყო, რომ „კლიპერსი“ თავის შანსს ხელიდან აღარ გაუშვებდა.

**კლიპერსი-გ. სტეიტი 113:103**

**31:21, 24:29, 22:22, 36:21**

**კ**: ჯორდანი (25+18 მოხსნა+4 დაფარება), პოლი (20+7 პასი+6 მოხსნა+5 ჩაჭრა), კროუფორდი (19), გრიფინი (18+7 მოხსნა), კოლისონი (15).

**გ-ს**: ტომპსონი (21+5 მოხსნა), ლი (18+10 მოხსნა), იგუოდალა (18+8 მოხსნა+8 პასი), კარი (17), გრინი (10+11 მოხსნა).

**სერია: 3-2**

## კროუფორდი საუკეთესო მეექვსეა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ ინდივიდუალური პრიზების დარიგება დაიწყო.

„ლოს ანჯელეს კლიპერსის“ შემტევი მცველი **ჯამალ კროუფორდი** რეგულარული სეზონის შედეგების მიხედვით საუკეთესო მეექვსე მოთამაშედ დასახელდა. 34 წლის კალათბურთელმა ეს პრიზი მეორედ მოიპოვა. ადრე საუკეთესო რეზერვისტად ის 2009-10 წლების სეზონში აღიარეს.

ამ სეზონში კროუფორდმა 69 მატჩი ჩაატარა, აქედან 45-ჯერ ის სათადარიგოთა სკამიდან შევიდა მოედანზე. მცველმა საშუალოდ 18.6 ქულა, 3.2 შედეგიანი პასი და 2.3 მოხსნა დააგროვა. კროუფორდისთვის მიმდინარე სეზონი ზედიზედ მეხუთე იყო, როცა ის არ ითვლებოდა სასტარტო ხუთეულის წევრად.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL პლეი ოფი

# აქაც მეშვიდე იქნება

ისევე, როგორც წლევანდელი პლეი ოფის რამდენიმე სერია, ასევე შვიდ მატჩამდე გაიწელა „ფილადელფიასა“ და „ნიუ იორკ რეინჯერსის“ დაპირისპირება. „მფრინავებმა“ საკმაოდ იოლად შეძლეს მეექვსე მატჩში შინ „რეინჯერების“ დამარცხება.

„ფლაიერზის“ უპირატესობა თამაშის დასაწყისიდანვე ეჭვს არ იწვევდა. მასპინძლებმა ძალიან კარგად გამოიყენეს შექმნილი მომენტები. პირველ პერიოდში მათ გაათამაშეს ერთადერთი რიცხობრივი უპირატესობა, მეორეში კი **ჰენრიკ ლუნდკვისტის** კარში ზედიზედ სამი შაიბა აღმოჩნდა, რამაც მასპინძლებს შეხვედრის მშვიდად დასრულების საშუალება მისცა.

მატჩის გმირი აღმოჩნდა „ფილადელფიას“ ფორვარდი **უეინ სიმონდსი**, რომელმაც კარიერაში პირველი ჰეთთრიკი შეასრულა სტენლის თასზე.

სერიის მეშვიდე შეხვედრა ხვალ, ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“ გაიმართება და მისი გამარჯვებული მეორე რაუნდში „პიტსბურგის“ წინააღმდეგ ითამაშებს.

## იაგრი: კიდევ ერთი წელი ეშმაკებში

ჩეხური პრესის ინფორმაციით, „ნიუ ჯერსი დევილზმა“ და ჩეხმა ვეტერანმა ფორვარდმა **იარომირ იაგრმა** ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმებაზე შეთანხმებას მიაღწიეს.

42 წლის ფორვარდმა წელს შესანიშნავი სეზონი ჩაატარა. 82 მატჩში დაგროვებული 67 ქულით (24 შაიბა+43 შედეგიანი პასი) ის „დევილზის“ საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ამასობაში, ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ იარომირ იაგრი ერთ-ერთ პრეტენდენტად დაასახელა „ბილ მასტერტონ ტროფისთვის“ ბრძოლაში. ეს არის პრიზი ჰოკეის ერთგულებისთვის და ის რეგულარული ჩემპიონატის შედეგების გაიცემა. იაგრის გარდა, ამ ჯილდოს ნომინანტები არიან „კაროლინას“ 33 წლის ფორვარდი **მენი მალორტა** და „ნიუ იორკ რეინჯერსის“ 33 წლის თავდამსხმელი **დომინიკ მური**.

წელს მალორტა ჰოკეის ეროვნული ლიგაში თვალის მძიმე ტრავმის შემდეგ დაბრუნდა, მური კი ერთი წელი იყო ჩამოცილებული დიდ სპორტს, რადგან ამ დროის განმავლობაში ავადმყოფ მეუღლეს უვლიდა.

გამარჯვებული 24 ივნისს, ლას ვეგასში სპეციალურ ცერემონიაზე გამოცხადდება.

**ფილადელფია-რეინჯერსი 5:2**

1:0, 3:0, 1:2

გოლები: 1:0 სიმონდსი-2 (ჰარტნელი-3, ჟირუ-3), 2:0 სიმონდსი-3 (ბ. შენი-3), 3:0 გუსტაფსონი-1 (ქობურნი-2), 4:0 სიმონდსი-4 (ვორაჩეკი-2, ჟირუ-4), 4:1 ჰაგელინი-2 (სტრალმანი-1, ბ. რიჩარდსი-4), 5:1 ჟირუ-2, 5:2 ცუკარელო-2 (პულიო-2, მილერი-2).

სერია: 3-3



სიმონდსი ერთ-ერთ გოლს ზეიმობს

კრივი

# კლიჩკოს სრული კოლექცია სურს

სუპერმძიმეწონით კატეგორიაში სამი პრესტიჟული ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონს, უკრაინელ **ვლადიმირ კლიჩკოს** უკვე წელს შეეძლება WBC-ის საჩემპიონო ქამრისთვის ბრძოლა. ეს ის ტიტულია, რომელიც უმცროსი კლიჩკოს კოლექციაში არ მოიპოვება. მისი მოგების შემთხვევაში, უკრაინელი სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონად გამოცხადდება. ეს ინფორმაცია WBC-ის პრეზიდენტმა **მაურისიო სულეიმანმა** გაავრცელა.

*„WBC-ის საჩემპიონო ტიტული სუპერმძიმე კატეგორიაში 10 მაისს, ბერმეინ სტივერნსა და კრის არეოლას შორის ბრძოლაში გათამაშდება. ვლადიმირ კლიჩკო ყოველთვის ახლოს იყო ამ ტიტულთან, მაგრამ ვერასდროს ვერ შეძლო ამ ვერსიით საჩემპიონო ბრძოლაში მონაწილეობა. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩემპიონის ქამარს მისი ძმა - ვიტალი კლიჩკო ფლობდა და ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ რინგზე არ გადიოდნენ. ვლადიმირმა უკვე განაცხადა იმის შესახებ, რომ სურს WBC-ის ტიტულისთვის ბრძოლა. მე მას ტიტულზე აუცილებელ პრეტენდენტად ვაცხადებ. ვნახოთ, როგორ დასრულდება არეოლასა და სტივერნის ორთაბრძოლა. გამორიცხული არ არის, რომ კლიჩკომ უკვე წელს იბრძოლოს ჩემპიონობისთვის - ეს შესაძლებელია“.*

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას ვლადიმირ კლიჩკომ გერმანიის ქალაქ ობერჰაუზენში მეხუთე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა ავსტრალიელი **ალექს ლეაპაი**. იმ ბრძოლის შემდეგ უკრაინელმა განაცხადა, რომ სურს გააერთიანოს ოთხივე პრესტიჟული ვერსიის საჩემპიონო ქამარი. ამიტომაც, WBC-ის ტიტული, რომელსაც მანამდე ვლადიმირის უფროსი ძმა - ვიტალი ფლობდა, პრიორიტეტულია კარიერის ამ ეტაპზე.


ვლადიმირ კლიჩკო

ჩოგბურთი

# ერთი წელი გაძლეს

ჩეხმა ჩოგბურთელებმა - **რადეკ შტეპანეკმა** და **პეტრა კვიტოვამ** ურთიერთობის გაწყვეტის გადაწყვეტილება მიიღეს. მათი რომანი დაახლოებით ერთი წელი გრძელდებოდა.

*„ჩვენ ერთმანეთს დავშორდით. ორი პროფესიონალი ჩოგბურთელისთვის ძალიან რთულია ურთიერთობის აწყობა. ეს თითქმის შეუძლებელია“*, - განაცხადა კვიტოვამ.

მანვე დაამატა, რომ ის და რადეკი მეგობრებად დარჩებიან და ერთმანეთს მხარს დაუჭერენ ტურნირებზე.

შეგახსენებთ, რომ დიდი ხნის წინ, შტეპანეკს რომანი ჰქონდა ცნობილ შვეიცარიელ ჩოგბურთელთან **მარტინა ჰინგისთან** და ისინი დანიშნულებიც კი იყვნენ. შემდეგ კი იყო ქორწინება ყოფილ ჩეხ ჩოგბურთელთან **ნიკოლ ვაიდიშოვასთან**. ჩეხურ პრესაში წერდნენ, რომ მათი დაშორების მიზეზი სწორედ პეტრა კვიტოვა გახდა.

ამბები

**ჩოგბურთი**

## დანაკარგი გერმანიისთვის

გერმანიაში 64 წლის ასაკში გარდაიცვალა მსოფლიოს რეიტინგის ტოპ-ოცეულის ყოფილი წევრი, ცნობილი გერმანელი ჩოგბურთელი და მწვრთნელი **კარლ მაილერი**. საკუთარ სახლში კიბიდან გადმოვარდნის შემდეგ, ის 2013 წლის ნოემბრიდან კომაში იმყოფებოდა.

მაილერი ATP-ის ტურში 1970-86 წლებში გამოდიოდა. მან ATP-ის ოთხი ტურნირი მოიგო, 1973 წელს კი ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალამდე მიაღწია, სადაც ახალზელანდიელ **ონი პარუნთან** წააგო. იმავე წლის აგვისტოში მას მე-20 ადგილი ეკავა ATP-ის კლასიფიკაციაში.

მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ, მაილერი სამწვრთნელო სამუშაოზე გადავიდა. ის თანამშრომლობდა ცნობილ გერმანელ ჩოგბურთელებთან - უიმბლდონის ჩემპიონ **მიხაელ შტიხთან, კარლ-უვე შტეებთან, ბერნდ კარბახერთან**.

**ცურვა**

## ტორპი სახლში გაუშვეს

ლეგენდარული ავსტრალიელი მოცურავის **იან ტორპის** ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრება. შეგახსენებთ, რომ ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი 8 აპრილს, სიდნეის ერთ-ერთ საავადმყოფოში მხარზე გადატანილი ოპერაციისას მიღებული ინფექციით მოათავსეს. მოცურავეს მარცხენა ხელის პარალიჩი ემუქრებოდა.

*„მან მოიშორა ინფექცია, მაგრამ ყოველთვის შეიძლება ასეთი პრობლემა შეექმნას, რადგან ადრე ორჯერ აღმოჩნდა საფრთხის წინაშე“*, - განაცხადა სპორტსმენის მენეჯერმა **ჯეიმს ერსკინმა**.

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| ჩელსი-ატლეტიკო | 1:3 (პირ. მატჩი 0:0) |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| ჰალიფაქსი-კემბრიჯი | 1:0 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ბაიერნი)** | |
| ვიქტორია-როზენჰაიმი | 2:2 |
| ბუხბახი-ჰაიმშტეტენი | 1:1 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| მარიენლისტი-ჰვიდოვრე | 1:4 |
| **ნორვეგია** | |
| ბრანი-ჰაუგესუნდი | 1:3 |
| სანდნესი-სტაბეკი | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| სუნდსვალი-ჰამარბიუ | 3:1 |
| **ფინეთის თასი** | |
| მარიეჰამნი-იუვიასკიულა | 2:0 |
| ჰაკა-ჰიკ | 0:3 |
| კუოპიო-ინტერი | 1:2 |
| სეინაიოენი-ლაჰტი | 0:1 |
| **საბერძნეთი** | |
| **პლეი ოფი** | |
| ატრომიტოსი-პანათინაიკოსი | 1:1 |
| პაკო-ასტერასი | 1:1 |
| აიგინიაკოსი-ოლიმპიაკოსი (ვ) | 0:0 |
| ფოსტირასი-ჩანია | 2:1 |
| ირაკლისი-კასიოპი | 1:1 |
| ნიკი ვოლუ-ირაკლისი (ვ) | 0:0 |
| **ჩეხეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| სპარტა-იაბლონეცი | 4:0 (1:3) |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ენისეი-ბალტიკა | 0:2 |
| სიბირი-ლუჩ ენერგია | 1:1 |
| ხიმიკი-ანგუშტი | 4:0 |
| მორდოვია-როტორი | 2:0 |
| შინიკი-ნეფტეხიმიკი | 3:0 |
| ნალჩიკი-უფა | 0:0 |
| არსენალი-ტორპედო | 1:0 |
| **უნგრეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| დიოშდიორი-ფერენცვაროში | 1:1 |
| **ბულგარეთი** | |
| პირინი-ლიუბიმეცი | 5:0 |
| ჩერნო მორე-ბოტევი | 0:1 |
| ბეროე-ლოკომოტივი (ს) | 1:0 |
| ნეფტოხიმიკი-ჩერნომორეცი | 2:3 |
| ლუდოგორეცი-ცსკა | 1:0 |
| **ლატვია** | |
| დაუგავა-მეტალურგსი | 5:3 |

| | |
|---|---|
| **ლიგის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| გრანიტასი-ბანგა | 1:1 (0:2) |
| **ჩერნოგორიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩები** | |
| ლოვჩენი-პეტროვაცი | 3:0 (0:0) |
| მოგრენი-მლადოსტი | 0:0 (0:2) |
| **ჩილე** | |
| **პლეი ოფი** | |
| კობრესალი-უნ. კონსეპსიონი | 0:0 |
| **გვატემალა** | |
| **პლეი ოფი** | |
| მუნისიპალი-საჩიტეპეკესი | 4:1 |
| **სინგაპური** | |
| ბალესტიერი-ჰარიმაუ | 2:0 |
| ვუდლენდსი-ბრუნეი | 0:2 |
| **ჩინეთი** | |
| დალიანი-გუიჟოუ | 1:1 |
| ჩანგჩუნი-შანდონგი | 1:0 |
| ბეიჯინგი-ჟიანგსუ | 1:0 |
| ჰანგჟოუ-ტიანჯინი | 2:0 |
| ჰენანი-ჰარბინი | 1:1 |
| შან. შენსინი-ლიაონინგი | 0:0 |
| გუანგჯოუ-შან. ისტ აზია | 5:0 |
| **ს. აფრიკა** | |
| ბიდვესტი-ორლანდო | 0:0 |
| კაიზერ ჩიფსი-ფრი სტეიტი | 1:1 |
| **კალათბურთი** | |
| **თურქეთი** | |
| გაზიანთეფი-ტრაბზონი | 68:73 |
| ბანვითი-ეფესი | 73:72 |
| პინარი-უსაქი | 93:72 |
| თოფასი-ალიაგა | 117:82 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (მ)-ლევი | 7:4 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მიუნხენი** | |
| **ისტომინი**-მატოშევიჩი | 6:7, 6:3, 7:5 |
| სტახოვსკი-**შტრუფი** | 3:6, 3:6 |
| **კლიჟანი**-იუჟნი | 6:7, 6:2, 7:6 |
| ბერანკისი-მელცერი | 7:6, 3:6, 2:2 შეწყდა |
| **ATP. ოეირაში** | |
| ვოლანდრი-**ელიაში** | 4:6, 3:6 |
| მაშადო-**ხიმენო ტრავერი** | 3:6, 4:6 |
| მონტანიესი-**გრანოლერსი** | 6:3, 6:7, 2:6 |
| **WTA. ოეირაში** | |
| ვიკმაიერი-**ვინჩი** | 0:6, 2:6 |
| **ბაშჩინსკი**-ჟაბორი | 7:5, 6:0 |
| შვედოვა-**ბუშარი** | 4:6, 2:6 |
| **კუზნეცოვა**-ტორო ფლორი | 5:7, 6:4, 6:1 |
| **ვესნინა**-იოვანოვსკი | 5:7, 7:5, 7:6 |
| **სუარეს ნავარო**-ზახვალოვა | 6:0, 6:0 |
| **ბეგუ**-კანეპი | 6:4, 7:5 |
| **ჰერცოგი**-საფაროვა | 6:3, 4:6, 6:2 |

ჩოგბურთი

# მეტი ფული უიმბლდონისგან

„დიდი სლემის“ რიგით მესამე ტურნირის - უიმბლდონის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ წელს გაიზრდება ჩემპიონატის საპრიზო ფონდი. გასულ სეზონთან შედარებით, გათამაშდება 10 პროცენტით მეტი თანხა და ის ჯამში 42 მილიონ დოლარს შეადგენს.

ერთეულთა თანრიგში გამარჯვებულები 2.9 მილიონ დოლარს გამოიმუშავებენ, რაც 600 ათასით მეტია როლან გაროსის ჰონორარზე და 250 ათასით მეტი, ვიდრე ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონებმა მიიღეს.

გარდა ამისა, 12.5 პროცენტით გაიზრდება ის თანხა, რომლებიც ეკუთვნით უიმბლდონის ადრეულ სტადიაზე გავარდნილ მოთამაშეებს.

შეგახსენებთ, რომ უიმბლდონის მოქმედი ჩემპიონები არიან - ბრიტანელი **ენდი მარეი** და ფრანგი **მარიონ ბარტოლი**, რომელმაც შარშანდელი ტრიუმფის შემდეგ დაასრულა კარიერა. ამ დღეებში გავრცელდა ჭორი იმის შესახებ, რომ ბარტოლი, შესაძლოა, უიმბლდონისთვის დაბრუნდეს დიდ სპორტში.

ამასთან დაკავშირებით, უიმბლდონის ერთ-ერთ ორგანიზატორს **ფილიპ ბრუკს** ჰკითხეს - გამოუყოფს თუ არა ტურნირის ხელმძღვანელობა ფრანგს უაილდ-ქარდს. *„ჭორებს საფრანგეთიდან ლონდონამდე არ ჩამოუღწევია, ასე რომ, მოცდა მოგვიწევს“*, - თქვა ბრუკმა.



■ ■ ■

უიმბლდონის ტურნირს წინ უძღვის მოსამზადებელი შეჯიბრებები გერმანიის ქალაქ ჰალესა და ლონდონში.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ჰალეს ტურნირზე ვიხილავთ მსოფლიოს პირველ ჩოგანს **რაფაელ ნადალს**, ექვსგზის ჩემპიონს **როჯერ ფედერერს**, აგრეთვე **მილოშ რაონიჩს, რიშარ გასკესა** და **ტომი ჰაასს**.

ლონდონის Queen's Club-ზე ითამაშებენ: სამგზის ჩემპიონი **ენდი მარეი, ტომაშ ბერდიხი, ჟო-ვილფრიდ ცონგა, გრიგორ დიმიტროვი** და **ლეიტონ ჰიუიტი**.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი

# ბრავო, კომისარო სილვერ!

„ლოს ანჯელეს კლიპერსის" მფლობელს **დონალდ სტერლინგს** სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცეს რასისტული გამონათქვამების გამო, თან მას სოლიდური ფულადი ჯარიმის გადახდაც მოუწევს.

გასულ კვირას გავრცელდა აუდიოჩანაწერი, რომელშიც სტერლინგი თავის მეგობარ ქალს დაჟინებით ურჩევს, რომ თავი შეიკავოს შავკანიანებთან ურთიერთობისგან და არ მიიყვანოს ისინი „კლიპერსის" თამაშებზე. სტერლინგის სიტყვებმა ააფორიაქა საკალათბურთო სამყარო და მთლიანად ამერიკა. სკანდალს თვით აშშ-ის პრეზიდენტი **ბარაკა ობამაც** გამოეხმაურა.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია ოპერატიულად გამოეხმაურა ამ სკანდალს, მოკლე ვადაში ჩაატარა გამოძიება და სპეციალურ პრესკონფერენციაზე NBA-ის კომისარმა **ჯონ სილვერმა** გამოაცხადა - სტერინგს სიცოცხლის ბოლომდე არ ექნება უფლება, მონაწილეობა ნებისმიერ ღონისძიებაში, რომელიც NBA-ის რანგში გაიმართება. სილვერმა განაცხადა, რომ დისკვალიფიკაცია დაუყოვნებლივ შევა ძალაში და დაიწყება „კლიპერსის" გაყიდვის პროცედურა. რაც შეეხება ფულად ჯარიმას, „კლიპერსის" ან უკვე ყოფილი მფლობელი 2.5 მილიონ დოლარს გადაიხდის.

NBA-ის ყოფილმა და ამჟამინდელმა ვარსკვლავებმა მოიწონეს ადამ სილვერის პრინციპული პოზიცია.

*„ასე გააგრძელეთ, კომისარო სილვერ! NBA ყველასთვისაა"*, - დაწერა თავის „ტვიტერზე" **შაკილ ო'ნილმა.**

*„მადლობა კომისარ სილვერს ჩვენი შესანიშნავი და მძლავრი ლიგის დასაცავად! ის ბრწყინვალე ლიდერია!"* - ასეთი კომენტარი გააკეთა ლებრონ ჯეიმსმა.

### ვინ იყიდის კლიპერსს?

ამასობაში, დღის წესრიგში დადგა „კლიპერსის" გაყიდვის საკითხი. თავდაპირველად უნდა ვთქვათ იმის შესახებ, რომ დონალდ სტერლინგმა ცალსახად განაცხადა - ის კლუბის გასხვისებას არ აპირებს. შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით მას სხვა კომენტარი არ გაუკეთებია.

არადა, სტერინგისთვის კლუბის შენარჩუნებას აზრი არ აქვს. ბიზნესმენის სამუდამო დისკვალიფიკაციის გამოცხადების შემდეგ, კალიფორნიული კლუბიდან სპონსორებმა წასვლა დაიწყეს. მათთან გაფორმებულ კონტრაქტებში არსებობს პუნქტი რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების შესახებ, რომლებსაც კომპანიები გამოიყენებენ ხელშეკრულების გასაუქმებლად.

გარდა ამისა, Yahoo! Sports იტყობინება, რომ კლუბის დატოვებას აპირებს მთავარი მწვრთნელი **დოკ რივერსი**. ეს იმ შემთხვევაში მოხდება თუ დონალდ სტერლინგი კლუბში დარჩება. ასევე რამდენიმე კალათბურთელმა, რომელთა გვარები არ დასახელებულა, მსგავსი სურვილი გამოთქვა.

„კლიპერსის" შეძენის მსურველები კი უკვე გამოჩდნენ. როგორც უკვე ვწერდით, ერთ-ერთიი მთავარი პრეტენდენტია ლეგენდარული **მეჯიქ ჯონსონი**, რომელიც თავის რასისტულ გამონათქვამებში მოიხსენია დონალდ სტერლინგმა.

ასევე საკალათბურთო კლუბის შეძენის სურვილი გამოთქვა თანამედროვე კრივის მთავარმა ვარსკვლავმა **ფლოიდ მეივეზერმა**. მოკრივემ უკვე განიხილა თავის მრჩეველთან **ელ ჰაიმონთან** მსგავსი პერსპექტივა.

*„დღეს ველაპარაკე ელს იმის შესახებ, რომ მე და ჩემი რამდენიმე მილიარდერი მეგობარი შეკრებასა და რაღაცის მოფიქრებას ვაპირებთ. იმედია, შევძლებთ კლუბის გამოსყიდვას და საქმე მხოლოდ ლაპარაკით არ შემოიფარგლება. ჩვენ დაინტერესებული ვართ „კლიპერსის" ყიდვით. როცა არ ვვარჯიშობ, საკალათბურთო მატჩებს ყოველთვის ვესწრები"*, - განაცხადა მეივეზერმა.

დაუმარცხებელმა მოკრივემ ასევე ილაპარაკა სტერლინგთან ურთიერთობაზე: *„მან ბევრი ნეგატიური პრესა მიიღო. თუმცა ჩემს მიმართ ყოველთვის დიდი პატივისცემით გამოირჩეოდა და ყოველთვის მპატიჟებდა საკუთარი გუნდის თამაშებზე. ის მეუბნებოდა: „ფლოიდ, მინდა, რომ შენ ჩემს გვერდით იჯდე"*.

საკუთარ „ტვიტერზე" „კლიპერსის" მიმართ დაინტერესება გამოხატეს ცნობილმა რეპერებმაც:

*„მე მაინტერესებს ინვესტიციები „კლიპერსში"*, - დაწერა **რიკ როსმა.**

*„ყოველთვის „ნიუ იორკ ნიქსის" ფანი ვიყავი, მაგრამ, პირველ რიგში, ბიზნესმენი ვარ"*, - ასეთი „ტვიტი" გაავრცელა პი დადლიმ და იქვე მიაწერა: „ფასი დაასახელეთ".

გუშინ, გვიან გახდა ცნობილი, რომ „კლიპერსისთვის" იბრძოლებს ცნობილი ტელეწამყვანი **ოპრა უინფრი**. მისი პარტნიორები იქნებიან 71 წლის მილიარდერი **დევიდ გეფენი** და **ლოურენს ელისონი**, რომლის ქონება 41 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. გეფენი 2010 წელს 700 მილიონად ცდილობდა „კლიპერსის" შეძენას, მაგრამ დონალდ სტერლინგმა არ მოისურვა კლუბის გაყიდვა.

ყველაზე უცნაური წინადადებით კი NBA-ის ყოფილი ვარსკვლავი **ლარი ჯონსონი** გამოვიდა. მას სურს შეიქმნას ცალკე საკალათბურთო ლიგა აფროამერიკელებისთვის.

*„შავკანიანო ბიჭებო, ჩვენ, უბრალოდ, არასწორად ვფიქრობთ. უკეთესი იქნება, თუ კონცენტრაციას მივმართავთ საკუთარი ლიგის შექმნისკენ"*, - დაწერა საკუთარ „ტვიტერზე" „შარლოტისა" და „ნიუ იორკის" ყოფილმა მოთამაშემ.



ადამ სილვერი

ჩოგბურთი



ჯოკოვიჩი და რისტიჩი

# ნოვაკი: შვილი რეიტინგზე წინ

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** იმ ემოციების შესახებ ელაპარაკა ჟურნალისტებს, რაც მისი პირველი შვილის მოლოდინს უკავშირდება. შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას, ნოვაკმა და მისმა შეყვარებულმა **ელენა რისტიჩმა** თაყვანისმცემლებს აცნობეს, რომ ისინი პირველ ბავშვს ელოდებიან.

*„შვილი - ყოველთვის დიდი სიხარულია. ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. ბავშვის დაბადების შემდეგ, მსოფლიო კლასიფიკაციის პირველი ადგილის დაბრუნება აღარ იქნება ჩემი მთავარი ამოცანა"*, - ამბობს ჯოკოვიჩი ერთ-ერთი ავსტრალიური ვებგვერდისთვის მიცემულ კომენტარში.

*„რა თქმა უნდა, ბავშვების აღზრდა - რთული საქმეა. მაგრამ ეს მეტ ძალასა და მოტივაციას მომცემს. იმედია, ჩემგან კარგი მამა დადგება"*, - აღნიშნა ჯოკოვიჩმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილე: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28)
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვქდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608